# საერთო გაზეთი

№46 (175) ● 23-25.XI, 2011 წელი ● გამოდის ოთხშაბათს და შაბათს ● www.saertogazeti.net; E-mail: saertogazeti@yahoo.com ● ფასი 1 ლარი

# gilocavT giorgobas!



saqarTvelos eklesia, saqarTvelos moqalaqeebi moiTxoven: _
daubrundes saqarTvelos moqalaqeoba saqarTvelosTvis _
Tavdadebul qarTvels _ biZina ivaniSvils!

## yvelas, yvelas, yvelas!

იმის გამო, რომ ნაციონალების თვალთმაქცობას საზღვარი არა აქვს, იმის გამო, რომ უსირცხვილო და უკანონო გზებით ებრძვიან ბიძინა ივანიშვილს და არ აძლევენ საშუალებას შეკრიბოს „ქართული ოცნების“ საზოგადოება, იმის გამო, რომ მას უარი უთხრეს სპორტის სასახლეში, სტადიონზე, ფილარმონიაში შეკრებაზე იმ მიზეზით, თითქოს იქ ამ დღეებში ღონისძიებები ყოფილა დაგეგმილი, მოვუწოდებ ყველას, ვისაც ქვეყნის გადარჩენა და ნაციონალური შავი ჭირისგან განთავისუფლება გვინდა, ბოიკოტი გამოვუცხადოთ და არ მივიდეთ იმ ღონისძიებებზე, რომლებიც ამ ჯოჯოხეთის მოციქულებს ჰქონიათ დაგეგმილი, რითაც კიდევ ერთხელ გამოვუცხადოთ სოლიდარობა ბიძინა ივანიშვილს და ყველა ღირსეული ქართველისათვის სანუკვარ „ქართულ ოცნებას“!



რეზო ამაშუკელი

## ბალათერ არაბული:



ivaniSvilisTvis moqalaqeobis Camortmeva sveticxovlis amSeneblis, arsakiZisTvis, marjvenis moWris tolfasia!



`didgvarovan~ `nacionals~ mis aRmatebulebas boco (nugzar) wiklaurs `mdabio~ biZina ivaniSvili i TvalSi epataraveba?

რედაქტორის სვეტი

# biZina ivaniSvilis `karcerluqsi~ xelisufalTaTvis

თვენახევარი გადის, რაც ბიძინა ივანიშვილი ქართულ პოლიტიკაში შემოვიდა, რასაც ხელისუფლებამ მისთვის ჩვეული ძალისმიერი მეთოდებით უპასუხა.

ბიძინა ივანიშვილს ხელისუფლების ამ აგრესიული ნაბიჯებისთვის აგრესია არ შეუგებებია და არც ქართველი ერისთვის უხმია საშველად — გამოდით, გვერდით დამიდექით და დამიცავითო — არ უთქვამს.

არადა, რომ ეთქვა, ასიათასობით ადამიანი გამოვიდოდა ქუჩაში.

ასიათასობით რას მიჰქვია, ალბათ მთელი საქართველო გამოვიდოდა, ნაცმოძრაობის გამოკლებით.

არ გააკეთა ეს ბიძინა ივანიშვილმა, არ იკადრა, უფრო ზუსტად, ვერ გაიმეტა ქართველი ხალხი ხელისუფლების მხრიდან მოსალოდნელი რეპრესიებისა და ძალადობისთვის.



**ბიძინა ივანიშვილი ქართულ რეალობაში ახალი პოლიტიკური კულტურის, ქცევის ახალი წესების, ახალი პოლიტიკური სინტაქსის, ურთიერთობებისა და ოპონირების ახალი ფორმების დამკვიდრებას ცდილობს.**

ამ მხრივ ის პრაგმატულად, ცივი გონებით მოაზროვნე პოლიტიკოსს კი არა უფრო აღმზრდელსა და განმანათლებელს ჰგავს, რომელიც თავისი ოპონენტების დამარცხებას და ძლევას მათი გაკეთილშობილებით, მათი გარდაქმნით, მათი ზნისა და ხასიათის შეცვლით აპირებს და არა უხეში ძალის გამოყენებით.

— მე თქვენ გაიძულებთ, რომ შეიცვალოთ!

— მე თქვენ გაიძულებთ, რომ უკეთესები გახდეთ!

— მე თქვენ გაიძულებთ, პატივი სცეთ და არ გადაუხვიოთ დემოკრატიულ ღირებულებებს!

— მე თქვენ გაიძულებთ, გადაეჩვიოთ არჩევნების გაყალბებას, გადაეჩვიოთ ძალადობას, გადაეჩვიოთ ადამიანების აბუჩად აგდებას!

— მე თქვენ გაიძულებთ, იყოთ ტოლერანტულნი, იყოთ სამართლიანნი, იყოთ ღირსეულნი, უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, იყოთ ადამიანები!

აი, ასეთი ქვეტექსტი იკითხება ბიძინა ივანიშვილის ქმედებებსა და მის განცხადებებში.

გურამ დოჩანაშვილის ერთ-ერთმა პერსონაჟმა ,,კარცერლუქსი" ,,გამოიგონა" უწიგნურთა და უმეცართათვის, რომ იძულების წესით წიგნების კითხვა შეეყვარებინა მათთვის და ამით მიეღწია მათი გაადამიანურებისათვის.

**ბიძინა ივანიშვილის მიერ „გამოგონებული" „კარცერლუქსი", ძნელად აღსაზრდელი, მოხულიგნო და თავნება ხელისუფლებისთვის, — არჩევნებია!**

**არჩევნებია ის „კარცერლუქსი", სადაც იძულების წესით უნდა მიიყვანო ეს ხელისუფლება და ასევე იძულების წესით იქ უნდა გამოამწყვდიო, რომ ბოლოსდაბოლოს გონს მოეგოს და ცოტათი უკეთესი გახდეს, ვიდრე არის.**



# biZina ivaniSvilis pressamdivnos gancxadeba

საზოგადოებრივი მოძრაობა ,,ქართული ოცნების" პრეზენტაცია, რომელიც 25 ნოემბრისთვის იყო დაგეგმილი, ხელოვნურად შექმნილი წინააღმდეგობების გამო გადაიდო. გვინდა საზოგადოებამ იცოდეს, რომ 3 ნოემბრიდან მოყოლებული დღემდე ბიძინა ივანიშვილის წარმომადგენლები მოლაპარაკებებს აწარმოებდნენ სპორტის სასახლისა და მიხეილ მესხის სახელობის სტადიონის ადმინისტრაციასთან, რათა ყველა მსურველს ჰქონოდა ,,ქართული ოცნების" პრეზენტაციაზე დასწრების საშუალება. მოლაპარაკებების პროცესში მუდმივად გვთავაზობდნენ ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზს, მაგრამ შემდგომში გაირკვა, რომ 25 ნოემბერს შენობის ნაწილი, ე.წ. ივენთ-ჰოლი სხვა ღონისძიებით იყო დაკავებული. ამ ფაქტის გადამოწმება სატელეფონო ზარით ვცადეთ და აღმოჩნდა, რომ ის სიმართლეს შეესაბამებოდა. ისედაც შეზღუდული სივრცის ფართის ნაწილში პრეზენტაციის გამართვა შეუძლებელი გახდებოდა და საზოგადოების უკმაყოფილებას გამოიწვევდა.

კიდევ ერთხელ ხაზგასმით აღვნიშნავთ, რომ 3 ნოემბრიდან დღემდე მიმდინარეობს მოლაპარაკება სპორტის სასახლის ადმინისტრაციასთან. ჩვენ ვითხოვდით დარბაზის გამოყოფას ნებისმიერ დღეს 25 ნოემბრიდან 10 დეკემბრის ჩათვლით. მივიღეთ სიტყვიერი უარი, მიზეზად კი უკვე ჩანიშნული ღონისძიებები დასახელდა. სპორტის სასახლის ხელმძღვანელობამ განგვიცხადა, რომ დარბაზი 1 იანვრამდეა დაკავებული, თუმცა არ დაუკონკრეტებია თუ რომელი წლის 1 იანვრამდე. ამის შემდეგ ბიძინა ივანიშვილის წარმომადგენლები იძულებული გახდნენ მოლაპარაკების ოფიციალურ ფორმაზე გადასულიყვნენ, გაიგზავნა წერილი სპორტის სასახლის ადმინისტრაციის სახელზე. პასუხი ამ დრომდე არ მიგვიღია.

ეს არ არის პირველი შემთხვევა საორგანიზაციო საკითხებთან დაკავშირებით მოლაპარაკებების გაჭიანურების. ანალოგიური სიტუაცია შეიქმნა ბიძინა ივანიშვილის პირველი პრესკონფერენციის პირდაპირ ეთერში ტრანსლირების საკითხის გადაწყვეტის დროს. აშკარაა, რომ გადაწყვეტილებების მიღების სქემა ერთი და იგივეა და ამ სქემაზეა მორგებული სპორტის სასახლის ადმინისტრაციის გადაწყვეტილებაც.

ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე, 25 ნოემბრისთვის დაგეგმილი საზოგადოებრივი მოძრაობა ,,ქართული ოცნების" პრეზენტაცია დროებით გადაიდო და ბიძინა ივანიშვილის პრესსამდივნო შეეცდება პრეზენტაციის კონკრეტული თარიღი უახლოეს დღეებში გაცნობოთ.

# *guram doCanaSvili:* kaci, romelsac literaturaZlier uyvarda

(ნაწყვეტი მოთხრობიდან)



,,არის ქვეყნად სიტყვები, რომლებისთვისაც ძალზედ ძნელია გვერდიგვერდ ყოფნა, ამ შემთხვევაშიც ასეა, სად ,,კარცერი", და სად ,,ლუქსი", მაინც არ არსებობს დედამიწაზე ისეთი ორი სიტყვა, ოდესმე ერთმანეთს რომ არ შეეხამოს, ახლაც ასეა, - ეს იქნებოდა კარცერი-ლუქსი, წიგნებიანი თაროებით სავსე, რბილი, მოხერხებული სავარძლით, კოხტა მაგიდაზე ნათურა - სოკოთი, ეს იქნებოდა კარცერი - ოცნება ყოველი წიგნის მოყვარულთათვის, რას იზამ, ყველას არ შეუძლია ბიბლიოთეკაში კითხვა, და ვინც თავისი ფეხით შევა ჩემს მიერ შემოღებულ მოწყობილობაში, მაშინ ეს ოთახი იქნება უბრალოდ - ლუქსი, მრავალთათვის კი - კარცერი-ლუქსი... აი, სწორედ აქედან უნდა დამეწყო - მე და ჩემნაირები, ეე, ჩემნაირები - ეს იქნებოდა უთვალავი კლიმი, ქუჩა-ქუჩა ვივლიდით, აი, ვთქვათ, მივდივართ... მივდივართ, ავიარეთ, ჩავიარეთ, კედელს ორი ჯეელი მიყუდებია, დგანან, მასლაათობენ, იფურთხებიან, დგანან, არსად არ აპირებენ წასვლას, ფეხებზე ჰკიდიათ, რომელი საათია, რა დროა, ღამეა თუ შუადღე, დგანან, გოგოებს ენაგლებიან, წაუსტვენენ, წაუღიღინებენ, ხანდახან ერთმანეთს გაეხუმრებიან თავისებურად - პანღურს ამორარტყამენ ერთურთს, იკრიჭებიან და სწორედ ამ დროს მე და ჩემნაირები - ტაც! - ხელს ვსტაცებთ და ზემოაღწერილ კარცერში მიგვყავს...

- ძალით? - აინტერესებს ხელმძღვანელს, და პირველად იწერს რაღაცას.

- დიახ, დიახ, ძალისძალათი. - მტკიცედ ამბობს რესპონდენტი, შეუვალია, - შესაძლოა, ხელის ამოტრიალებაც კი დაგვჭირდეს. იცით რა, გეთაყვათ, ზოგს მშობლების ზემოქმედებისა სჯერა, ზოგს - სკოლის, ზოგს - ორგანიზაციის, სხვას - უჯრედისა, ზოგს - ცემა-ტყეპისა და კიდევ რა ვიცი რისა აღარ, მაგრამ, ჩემის აზრით, ეს ჩემი ლუქსი, აჰ, უბადლოა - დგას ჩვენი ჯეელი, რაღა თქმა უნდა, ცალკე ვათავსებთ, ამ ჩვენს კარცერში, ჭერში შტერივით იყურება, ფანჯარაზე გისოსებია აკრული, კარიც, რასაკვირველია, დახშულია, გარეთ რომელიმე - რომელიმე კლიმი დარაჯობს, სკამზე ჩამომჯდარი, მუხლებზე - წიგნით, ჩვენი ჯეელი კი უყურებს მაგიდას, სკამსა და... კარადა-თაროებს, მაგრამ ჯერჯერობით - არაფერი. მიდის ქათქათა საწოლთან, წვება, იყურება, იყურება, თვალი უშტერდება და იძინებს. მშობლები, რა თქმა უნდა, გაფრთხილებულნი არიან, ,,ნუ გეშინიათ, ქალბატონო, თქვენი შვილი კარცერ-ლუქსშია", ,,კი ბატონო, კი, ოღონდ ეგ ქუჩა-ქუჩა წანწალს გადაეჩვიოს და..." ◆

„საერთო გაზეთი"
მთავარი რედაქტორი: ვახტანგ ხარჩილავა
გამომცემელი: შპს საგამომცემლო ცენტრი „საერთო სიტყვა"
მის: თბილისი, ალმაშენებლის 164;
ტელ.: 2 14 40 19; 2 34 28 97
რეგისტრაციის №202375349

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. შესაძლოა, ავტორის პოზიცია არ ეთანხმებოდეს რედაქციის აზრს. ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. გასაჩივრება შესაძლებელია მასალის გამოქვეყნებიდან ერთი კვირისვადაში. შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.
◆ ამ ნიშნით აღნიშნულია სარეკლამო მასალები.

თავმოსულელებულნი. თავმოსულელებულნი. თავმოსულელებულნი. თავმოსულელებულნი.

# rasmusenis halstuxi

— წინა ჩამოსვლაზე ჰალსტუხი რომ ჩამომიტანეთ, მეგონა, ახლა კოსტუმს ჩამომიტანდით... რატომ არ ჩამომიტანეთ კოსტუმი? — უსაყვედურა სააკაშვილმა ნატოს გენერალურ მდივანს ანდერს ფონ რასმუსენს.

რა უნდა ეთქვა რასმუსენს? იმას ხომ არ ეტყოდა, შენ ნატოს კოსტუმი კი არა სხვა კოსტუმი უფრო მოგიხდებოდა, ისეთ რაღაცებს ჩადიხარ, გენაცვალეო.



ცხადია, ამას ვერ ეტყოდა, ამიტომაც ასე დააიმედა ანდერსმა გაბუტული სააკაშვილი — 2012-13 წლებში თუ დემოკრატიულად ჩაატარებ არჩევნებს, კოსტუმსაც ჩამოგიტან და ჩოხა-ახალუხსაცო.

არა, მთლად სიტყვასიტყვით ასე არ უთქვამს, მაგრამ მის ნათქვამში ეს ქვეტექსტი და ეს ქვეშინაარსი იკითხებოდა.



ბატონი მიშა დემოკრატიული, სამართლიანი, მიუკერძოებელი არჩევნების ჩამტარებელი არ არის, ასე რომ, სააკაშვილი დიდხანს ირბენს შიშველ ტანზე „ჩამოცმული" რასმუსენის ჰალსტუხით და საქართველოც დიდხანს იქნება აბეზარი მათხოვარივით ატუზული ნატოს „ღია" კარებთან.

# daviT aRmaSenebeli musulmanebTan loculobda _ amtkicebs saakaSvili

ქართველ მუსულმანებს სააკაშვილმა ყურბან-ბაირამის დღესასწაული მიულოცა და იქვე დასძინა: ჩვენი დიდი მეფე დავით აღმაშენებელი მეჩეთში დადიოდა და ლოცულობდაო.

რაო, კაცო, რაო? აღმაშენებელი მეჩეთში ლოცულობდაო?

საიდან მოგაქვთ, თქვენ, პატივცემულო, ასეთი გამაოგნებელი ინფორმაციები?

რომელმა ისტორიკოსმა გითხრათ ასეთი რამ, სად წაიკითხეთ, სად მოისმინეთ, ვინ შეგიყვანათ შეცდომაში, იმ ჩვენი ცოდვით სავსემ?

ერთხელ სააკაშვილმა თელავში, კახელების გულის მოსაგებად განაცხადა: — ჩვენ არ წავალთ მარკოზაშვილების გზით, ჩვენ ერეკლეს გზით ვივლითო.

ერეკლეს გზა, მოგეხსენებათ, რუსეთისკენ მიდიოდა, რისი წინააღმდეგნიც იყვნენ ე.წ. მარკოზაშვილების დარბაზის წევრები. ანუ ბატონ სააკაშვილს, როგორც რუსეთის შეურიგებელ ოპონენტს, სადაც სამართალია, პირიქით უნდა ეთქვა: ჩვენ ერეკლეს გზით არ წავალთ, ჩვენ მარკოზაშვილების გზით უნდა ვიაროთო.

თუმცა, ვინ იცის, სააკაშვილს იქნებ ზუსტად ის წამოსცდა, რაც გულში უდევს?

ხომ გაგიგონიათ, თუ კარგად მიუგდებ ყურს, ქურდი დღეში ათჯერ მაინც გამოტყდებაო.

სააკაშვილი, რომელსაც მისი ოპონენტები რუსეთთან ფარულ გარიგებაში სდებენ ბრალს, სინამდვილეში სწორედ რუსეთისკენ ხომ არ მიისწრაფვის და დასავლეთი, თავის ნატოიანად, ისე, სიტყვის მასალად და თავისი ნამდვილი ზრახვების შესანიღბად ხომ არ სჭირდება?

რა ვიცი... რა ვიცი...

ყოველ შემთხვევაში, სიფრთხილე გვმართებს, რომ ნატოს ნაცვლად პუტინის ფეხებთან არ აღმოვჩნდეთ გაკოტრიალებელნი.



— ერთ თვის წინ მე დავსვი კითხვა: აქ შეკრებილ ადამიანებს — შეგიძლიათ თუ არა გაიმეოროთ, რომ საქართველომ დაიწყო ომი?

დღეს მე ისევ მინდა გავიმეორო ეს შეკითხვა, ოღონდ გავუმეორო სხვებსაც — „რესპუბლიკელებს" ირაკლი ალასანიას, აღზევებულ მდაბიოს — ბიძინა ივანიშვილს: — შეგიძლიათ თუ არა დღესაც გაიმეოროთ, რომ საქართველომ დაიწყო ომი?

თქვენო აღმატებულებავ, დიგვაროვანო და კეთილშობილო ბატონო ბოცო, როდის აქეთ მოგანიჭეს ნაციონალებმა თავადის ტიტული, რომ ბიძინა ივანიშვილს მდაბიოს ეძახით?



# didgvarovan `nacionalsmis aRmatebulebas boco (nugzar) wiklaurs `mdabio~ biZina ivaniSvili TvalSi epataraveba?

ივანიშვილი რომ თვალში გეპატარავებათ, ალბათ, დანარჩენი ქართველები, თქვენი გუნდის ბელადის და თქვენი გუნდის მიერ გაღატაკებულ-გაპროლეტარებულნი, ალბათ, მთლად ჭიაღუებად გეჩვენებათ.

რაც შეეხება თქვენს მიერ დასმულ „ჩამჭრელ" კითხვას, ვინ დაიწყო ომი? სულ ტყუილად აფოფინდით, თქვენო აღმატებულებავ, სულ ტყუილად გგონიათ, რომ მედვედევმა აღიარებითი ჩვენება მოგცათ და ამიერიდან თავი ქუდში გექნებათ.

საქმე ის არის, რომ დღემდე პასუხგაუცემელია მთავარი კითხვა, რატომ და როგორ მოხდა, რომ საქართველოს ხელისუფლებამ ყველაფერი გააკეთა იმისთვის, რუსეთს ხელ-ფეხი გახსნოდა და თავისი მთავარი მიზანი განეხორციელებინა?

ამ კითხვას დრო აუცილებლად დასვამს თქვენს წინაშე და შეიძლება ისეთი შემზარავი სიმართლე გაცხადდეს, რომ საქართველომ სამუდამოდ შეგაჩვენოთ.

თავმოსულელებულნი. თავმოსულელებულნი. თავმოსულელებულნი. თავმოსულელებულნი.

# biZina ivaniSvilma politikuri brZolis yvela gza unda gamoiyenos



გვესაუბრება ფილოსოფოსი
**გოჩა მსხილაძე:**

**— გოჩა როგორ შეაფასებთ ბიძინა ივანიშვილის შემოსვლას ქართულ პოლიტიკაში? მოვლენების რა განვითარებაა მოსალოდნელი?**

— ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკაში მოსვლა შეიძლება ერთი სიტყვით დავახასიათოთ — ეს არის მოლოდინი. ჯერჯერობით ეს არის ერთგვარი დისბალანსი მოლოდინებსა და მოლოდინების შესრულებას შორის. ივანიშვილის პოლიტიკურ სივრცეში გამოჩენის ყველაზე დიდი საშიშროება სწორედ ესაა. მან მოლოდინების იმხელა თამასა ასწია, არა როგორც პოლიტიკურმა მოღვაწემ, არამედ საკუთარი პიროვნებიდან გამომდინარემ, თავისგან დამოუკიდებლად, ღმერთმა არ ქნას, რომ ეს მოლოდინები საზოგადოებას გაუცრუვდეს. თუ მართლაც ასე მოხდა, ჩათვალეთ, რომ „ნაციონალური მოძრაობის", სანამ დავბერდებით და ჭაღარა არ შეგვეპარება იქამდე ყურება და ატანა მოგვიწევს.

**— ბიძინა ივანიშვილის საკუთარ რეზიდენციაში 18 სახელმწიფოს ელჩი ესტუმრა. როგორ ფიქრობ, აქვს ივანიშვილს დასავლეთის მხრიდან მხარდაჭერა?**

— ამ მოვლენას ძალიან საინტერესო წახნაგები აქვს. კერძოდ, თუ ვისაუბრებთ იმაზე, რისთვის მივიდა 18 ქვეყნის ელჩი ივანიშვილთან, ამას ძალიან მარტივად ვხსნი — ესაა უზარმაზარი ინტერესი ამ პერსონის მიმართ, მათ უნდოდათ გაეგოთ, თუ რა პოლიტიკურ პლატფორმაზე დგას ივანიშვილი. მაგრამ ერთ საინტერესო დეტალზე მინდა გავამახვილო თქვენი ყურადღება, კერძოდ, რა დამართა პროპაგანდისტულმა მანქანამ ქართულ საზოგადოებას. ეს გახლავთ ცნებებით ჟანგლიორობა, რასაც პრო-დასავლურობა და პრო-რუსულობა ჰქვია. მიშას პროპაგანდისტულმა მანქანამ საზოგადოება ისეთ ვერბალურ ველში მოაქცია, რომ მხოლოდ ურთიერთგამომრიცხავი კატეგორიებით ვსაუბრობთ — პოლიტიკოსი უნდა იყოს ან პრო-რუსული ან პრო-დასავლური. ამავე დროს, ნათელია, რომ პრო-რუსულობა მოღალატეობაა, პრო-დასავლურობა — პატრიოტიზმი. ასეთი აზროვნების დროს ძალიან მარტივია ცნობიერების მანიპულირება, რადგან იარლიყის მიწებებაა ადვილი და მტრის ხატის შექმნა. არადა, საზოგადოებას ბოლომდე არ აქვს გაცნობიერებული და გააზრებული, რას ნიშნავს ცალკე პრო-რუსულობა და პრო-დასავლურობა — ეს დიდი კითხვის ნიშნის ქვეშაა. ჩვენ ღირებულებებს, იქნება ეს პოლიტიკური თუ კულტურული, ხშირ შემთხვევაში, პრო-დასავლურობასთან საერთო არაფერი აქვს. მას განაპირობებს ის ისტორიული გზა, რომელიც საქართველომ გაიარა დასავლეთისგან განსხვავებით. ჩვენ არ გაგვივლია რეფორმაცია, განმანათლებლობა, არ გვიბრძოლია სოციალური თანასწორობისთვის. ჩვენ მუდმივად ეროვნული გადარჩენისთვის ვიბრძოდით. არ გაგვივლია 1968 წელი, არ გვყოლია ბლოკი და მონტესკიე. შესაბამისად, როდესაც პრო-დასავლურობასა და პრო-რუსულობაზე ვსაუბრობთ, გაურკვეველ სიტუაციაში ვართ. უნდა დავფიქრდეთ, რას ნიშნავს პრო-დასავლურობა და პრო-რუსულობა. თუ რამდენად შეეწინააღმდეგება იგი იმ პოლიტიკურ ნებას, ტკბობას, რომლის წინაშეც შეიძლება აღმოჩნდეს გაკერპების შემთხვევაში, მეორე — რამდენად ისწავლა საზოგადოებამ ჭკუა კერპებთან მიმართებაში. ივანიშვილი ლაკმუსის ქაღალდია, რომელიც ბევრ კითხვაზე გასცემს პასუხს. თუ საზოგადოება უფრო ჭკვიანი აღმოჩნდება, ვიდრე მე მგონია, მაშინ ამ საშიშროებას თავიდან ავიცილებთ. როგორ უნდა მივიდეთ არჩევნებამდე? — პოლიტიკა თავისთავში გულისხმობს ქუჩასაც. ივანიშვილს დეკლარირებული აქვს, რომ ქუჩაში გამოსვლებს არ მიმართავს, მაგრამ დროთა განმავლობაში პოლიტიკური საჭიროება რას მოითხოვს, ამის მცოდნე დედამიწის ზურგზე არავინაა. ამიტომ, ბატონი ბიძინა პოლიტიკურ ნიუანსებში უფრო მეტად როცა გაერკვევა, მიხვდება, რომ შეიძლება ეს გზაც იყოს გამოსაყენებელი.

**— გოჩა, ბოლო დროს ბევრს საუბრობენ, რომ ივანიშვილი, როგორც პოლიტიკოსი შედგა. თუმცა, ავიწყდებათ მისი ძირითადი ოპონენტი — ხელისუფლება, რომელიც**



პოლიტიკური ღირებულებების დონეზე დავალთ, მაშინ ისინი ერთმანეთს საერთოდ არ კვეთენ.

**— ცნობილია, რომ ბიძინა ივანიშვილი გამარჯვებას არჩევნების გზით აპირებს. თუმცა იქამდე ხელისუფლებას ერთი წელი აქვს. როგორ ფიქრობ, მოსალოდნელია თუ არა გარკვეული საფრთხეები, ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკიდან ჩამოშორების კუთხით?**

— საფრთხე იცით რა არის? — ის პოლიტიკური დივიდენდები, რომელიც თავისი მოსვლით ბიძინა ივანიშვილს აქვს, პოლიტიკურმა ბრძოლამ არ გააფერმკრთალოს და მაღალი ღირებულებითი კონოტაცია, რაც მას აქვს, არ დააკარგვინოს. ამის რეალური საფრთხე არსებობს. აქვე არსებობს სხვა საშიშროებაც — თუ გავითვალისწინებთ ქართულ საზოგადოებაში მესიანიზმის ერთგვარ ელემენტს, ანუ მესიის მოსვლას — არის საშიშროება, რომ მისგან კიდევ ერთი კერპი შეიქმნას. აქვე იკვეთება ორი მოძრაობა — ერთი თავად ბიძინა ივანიშვილის პერსონაჟი,

**გულხელდაკრეფილი ნამდვილად არ ზის.**

— თუ კიდევ ვინმე ფიქრობს, რომ ხელისუფლებას სძინავს, ის ან ყრუა ან ბრმა. კონტრდარტყმების რეჟიმი ხელისუფლების მხრიდან მუდმივად გაგრძელდება. გარდა ამისა, ჩართულია პროპაგანდისტული მანქანა. ხელისუფლება საკმაოდ კრეატიულია ოპოზიციის დისკრედიტაციის თვალსაზრისით. არის კიდევ ერთი გარემოება — ხელისუფლებასთან კამათი საკმაოდ ძნელია. ძალიან ძნელია ხელისუფლებას რაციონალურ კამათში აჰყვე, სადაც ერთი მხარე მეორე მხარეს არგუმენტებით ესაუბრება. რადგანაც ისინი ამ არგუმენტის ველს მიღმა არიან. მათთან შეუძლებელია კამათი იმიტომ კი არა, რომ სიმართლე მათ მხარესაა და მეორე მხარეს ეს სიმართლე არაა, არამედ იმიტომ, რომ ხელისუფლება არ ოპერირებს სიმართლე-არსიმართლის კრიტერიუმებით. მათ მხოლოდ ერთი ენა ესმით — ისინი უნდა მართავდნენ ისე, როგორც აქამდე მართავდნენ და მორჩა. როგორც კი მათ არგუმენტებით ეპაექრები, მუდამ ხელი გეცარება, რადგან თუ ერთი მხარე ცდილობს ხელისუფლებას არგუმენტები დაუპირისპიროს, იგი წინასწარ ჩამოყალიბებული ვარაუდებით გესაუბრება, შესაბამისად, ყოველგვარი რაციონალური დავა მასთან აზრს მოკლებულია. ამიტომ ივანიშვილმა პოლიტიკური ბრძოლის ყველა ფორმა უნდა გამოიყენოს.

**თამარ შველიძე**

იხილეთ „საერთო გაზეთი"
ინტერნეტში
www.saertogazeti.net
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი



## ბატონი ჭაბუა იუბილარია

**18 ნოემბერს გამოჩენილ ქართველ მწერალს ჭაბუა ამირეჯიბს 90 წელი შეუსრულდა.**

**„საერთო გაზეთმა" ორიოდე კითხვით მიმართა მას.**

**— ბატონო ჭაბუა, როგორ უყურებთ თქვენს განვლილ ცხოვრებას დღევანდელი გადასახედიდან და მოგანიჭათ თუ არა ბერულმა ცხოვრებამ სულიერი სიმშვიდე?**

— ჩემს მიერ განვლილი ცხოვრება, უპირველესად ყოვლისა, ღმრთის მიერ ბოძებული სულიერების პროდუქტია და ამდენად, დადებითად ვაფასებ ყოველ ნაბიჯს, რომელიც ჩემი და თქვენი სამშობლოს აწმყოსა და ჩემი და თქვენი ერის მომავლისთვის გადამიდგამს, რაც შეეხება ბერულ ცხოვრებას, მოგახსენებთ, რომ ბერად აღკვეცას ჩემს ცხოვრებაში გადამწყვეტი ცვლილებები არ მოუტანია, ჯერ კიდევ ჭაბუკობის დროიდან მართლმადიდებელი ქრისტიანი ვიყავი და ვარ დღესაც. სულიერი სიმშვიდე შიშის გრძნობის ძლევამ მომანიჭა — სიცოცხლესთან განშორების შიშს, ტრაბახში ნურავინ ჩამომართმევს, ჭაბუკობიდანვე ვძლიე.

**— როგორ უყურებთ საქართველოს დღევანდელ რთულ მდგომარეობას დანარჩენ მსოფლიოსთან მიმართებაში?**

— არ მიმაჩნია, რომ ქართველ ერს და მთლიანად საქართველოს დღეს ტრაგიკულად რთული მდგომარეობა ჰქონდეს.

ჩვენი ისტორია რთული და უმძიმეს განსაცდელთა ისტორიაა. მაგრამ აგერა — ვართ, ვვითარდებით, მომავალს ვიმზადებთ მიუხედავად იმისა, რომ ნაკლულ შესაძლებლობათა მეთაურების ხელთ ვართ. ამაოდ ფაფხურობენ, სააკაშვილები და მისთანანი ვერ მოგვერევიან, გამარჯვებებით აღნიშნული ერი ვართ და მომავალიც ასეთი გვექნება.

**ეთერ კასრელიშვილი**



## ბატონო ჭაბუა,

თქვენი ცხოვრება ნათელი მაგალითია იმისა, თუ როგორ შეიძლება შეცვალოს ერთი ადამიანის მიერ განვლილმა წლებმა და ნააზრევმა მთელი საზოგადოება. თქვენ ზნეობრივი გმირის სახე შექმენით მაშინ, როდესაც ბოლშევიზმი ყველაფერს აკეთებდა ჩვენი სულების დასაკნინებლად. ამ გმირმა უკვე თაობები აღზარდა და გზაც გააკვლევინა ჩვენ ურთულეს სამყაროში.

მეტადრე იგი გვჭირდება დღეს, როდესაც ქვეყანას დაეუფლნენ ადამიანები, ვისთვისაც ჩვენ მხოლოდ ისტორიის საშენი მასალანი ვართ და ვისაც ერთი ადამიანის მიერ მეორისთვის გაწეულ სიკეთეშიც კი ანგარებისა და ბოროტი ზრახვის ამოკითხვა შეუძლია. ღვთის მადლით და თქვენი და თქვენისთანების ნააზრევის შემწეობით ჩვენ ყველანი მათაც დავძლევთ და ერთად აღვისრულებთ ქართულ ოცნებას.

სულით და გულით გილოცავთ იუბილეს! დაე, კიდევ მრავალ წელს გვყავდეთ, კიდევ მრავალ წელს მოგვყვებოდეს თქვენი ფხიზელი ზნეობრივი თვალი!

უღრმესი პატივისცემით
**ბიძინა ივანიშვილი**

# ivaniSvilisTvis moqalaqeobis CamorTmeva sveticxovlis amSeneblis _ arsakiZisTvis marjvenis moWris tolfasia

გვესაუბრება პოეტი
**ბადათერ არაბული:**

— „საერთო გაზეთი“ ძალიან ობიექტურად აშუქებს დღევანდელ პოლიტიკურ ვითარებას. ქართული პოლიტიკური ცხოვრება აჭრილია და დაწმენდას საჭიროებს. „საერთო გაზეთი“ ქართული საზოგადოების სწორად ჩამოყალიბებაში დიდ როლს ასრულებს. ამისათვის მის რედაქტორს ვახტანგ ხარჩილავას დიდ მადლობას ვუხდი. აქვე მინდა ვისარგებლო შემთხვევით და მივულოცო მას გალაკტიონ ტაბიძის პრემია ქართულ მწერლობაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის. იგი არის გამოჩეული პიროვნება, პოეტი, რომელმაც თავისი ლექსებით, გაზეთით დიდი როლი შეასრულა ქვეყნის სამსახურში. რაც შეეხება თქვენს შეკითხვას, ბოლო დროს ქართული პოლიტიკური მდინარება ჩამკვდარი იყო იმიტომ, რომ „ნაციონალურმა მოძრაობამ“ ყველაფერი გააკეთა, რათა საქართველოში ოპოზიციური ხმა არ ყოფილიყო. ბოლო დროს დავინახეთ, თუ როგორ გაიყიდა თავი არაერთმა პოლიტიკურმა პარტიამ, რომლებიც ხელისუფლებას შეეკრნენ. პრეზიდენტი გვეუბნება, რომ ეკონომიკური აღმასვლაა ჩვენს ქვეყანაში, თუმცა რეალური სურათი სულ სხვაა — საზოგადოების 70 პროცენტი უმუშევარია, ვისაც შეუძლია ყველა საქართველოდან გარბის და საკუთარი ნებით უკან დაბრუნებული არავინ მინახავს. დღეს, თუ „ნაციონალური მოძრაობის“ წევრი არ ხარ, არ არსებობს სამსახურის შოვნის, ბიზნესის წარმოების გარანტია, ასეთი ტერორი კომუნისტების დროსაც კი არ ყოფილა არაპარტიულების მიმართ. თუ ნაციონალი არ ხარ, ე.ი. ქვეყნის მტერი ხარ და მაშინვე კრიმინალად, რუსეთის აგენტად გამოგაცხადებენ. ებრაელებს აქვთ ბრძნული გამონათქვამი — არც შენი იცოდე და არც სხვისი გჯეროდესო. ასე სჭირს ჩვენს ხელისუფლებას. ხალხს პოლიტიკური ცხოვრების მიმართ რწმენა დაკარგული აქვს. არ სჯერათ, რომ მათი ხმის მიცემით ქვეყანაში რაიმე შეიცვლება, რადგან „ნაციონალური მოძრაობა“ ქვეყანაში პოლიტიკური დიქტატის წარმმართველია და ყველაფერი ისე იქნება, როგორც მათ ენდომებათ. ამ დროს გამოჩნდა ქართულ პოლიტიკაში ახალი სახელი ბიძინა ივანიშვილის სახით. დაჭაობებული გარემო უცებ გაცოცხლდა, მოსახლეობამ თითქოს გაიღვიძა, გამოდის იმ ძილბურანიდან, საღათას ძილიდან, რომელშიც იგი ხელისუფლებამ შეიყვანა. იწყება საზოგადოების ახლებური აზროვნება, ხალხს აღარ უნდა იყვნენ მონები, სიცრუის სამყაროში ცხოვრება. ხალხს უნდა სიმართლის მთქმელი მედია, ხელისუფლება, პარლამენტი, რომელიც თეთრზე იტყვის თეთრიაო, შავზე კი — შავიაო. ბიძინა ივანიშვილი წლების მანძილზე ანგარების, ყოველგვარი აჟიტირების გარეშე აფინანსებდა ყველაფერს, რასაც ხელისუფლება შემდგომ საკუთარ თავზე იწერდა. ბიძინა ივანიშვილი უანგაროდ აფინანსებდა კულტურას, მეცნიერებას, იმ პიროვნებებს, ვისაც მწერლობაში დიდი წვლილი აქვთ შეტანილი და ა.შ.

**— თავდაპირველად ბიძინა ივანიშვილზე ხელისუფლების მიერ განხორციელებულ დარტყმებს დუმილით შეხვდნენ კულტურის, მეცნიერებისა თუ სხვა დარგის მოღვაწეები, რომელთაც ბიზნესმენი წლების მანძილზე საკმაოდ სოლიდურ თანხებს ურიცხავდა. როგორ ფიქრობთ, რატომ დუმს ინტელიგენციის დიდი ნაწილი?**

— თქვენი მოსაზრება მთლად ზუსტი არ არის. ამ ხალხის ნაწილმა მოგვიანებით, თუმცა თავიანთი პოზიცია პრესის ფურცლებიდან გამოხატა. მწერლების მხარდასაჭერი განცხადებაც გამოქვეყნდა, ასევე მხატვრების, მსახიობების და ა.შ. თუმცა, მეორე მხრივ, გეთანხმებით, საზოგადოების ნაწილი ისეა დატერორებული, რომ შეშინებულნი არიან და ხმამაღლა ვერ აფიქსირებენ საკუთარ აზრს. ვერ ბედავენ პრეზიდენტს უთხრან, აღუდგინოს მოქალაქეობა ბიძინა ივანიშვილს. მაშინ, როცა საქართველოს მოქალაქეობას აძლევენ ისეთ პირს, ვინც რუსეთში პუტინზე რაღაც წაიბჟუტურა. ვიღაც პანფილოვების და ვიღაცების სახეტიალო არ უნდა იყოს საქართველოს ტერიტორია.



**საქართველოს პრეზიდენტის უდიდესი შეცდომაა ბიძინა ივანიშვილისთვის საქართველოს მოქალაქეობის ჩამორთმევა, პირიქით მისთვის სააკაშვილს საპატიო მოქალაქის წოდება უნდა მიენიჭებინა.**

სააკაშვილმა კარგად უნდა იცოდეს, რომ მის ხელისუფლებაში დარჩენას არც ევროპა, არც აშშ მხარს არ უჭერს იმიტომ, რომ იგი კავკასიის რეგიონში დესტაბილიზაციის ერთ-ერთი მუხტია. ივანიშვილმა 1 მილიარდ 300 მილიონი ლარი დახარჯა საქართველოსთვის, ეხმარებოდა ხელისუფლებას, მაგრამ როდესაც ის მიხვდა, რომ სააკაშვილის პოლიტიკა დიქტატორულია, გადაწყვიტა მას გასცლოდა. და ეს ბიძინა ივანიშვილმა გააკეთა 2008 წელს, როდესაც დაინახა, რომ საქართველომ გაუაზრებლად დაიწყო ცხინვალის, საკუთარი მოქალაქეების დაბომბვა. ივანიშვილს განსაკუთრებული არაფერი უთქვამს, ეს ტალიავინის დასკვნაშიც წერია, რომ ფართომასშტაბიანი საომარი ქმედება საქართველოს მხარემ დაიწყო. ბიძინა ივანიშვილი თეთრზე-თეთრს და შავზე-შავს ამბობს. იგი ამბობს, რომ მოსწყინდა სიცრუეში ცხოვრება. მას უნდა მისი ოჯახი და ყველა ცხოვრობდეს ისეთ საქართველოში, სადაც არ ეშინიათ ტელეფონზე დარეკვისას ვინმემ არ მოგისმინოს და სადაც არ ატყუებენ თითქოს რუსეთზე გავიმარჯვეთ. რეალურად სამარცხვინოდ დავმარცხდით 3 დღეში. ბიძინა ივანიშვილმა პოლიტიკაში მოსვლისას თქვა — რუსეთთან გვქონდა კონფლიქტი, მაგრამ ამ გეოპოლიტიკიდან ვერ ამოვვარდებით, ვერ დავიმალებით ვერსად. ვერცერთი ვერ გამოვიცვლით ბინას და სხვა კორპუსში ვერ გადავალთ საცხოვრებლად. ჩვენ ვალდებულნი ვართ მეზობლებთან ჩვენი პოლიტიკით, ურთიერთობით მოვაგვაროთ პრობლემა და მერე ვეძებოთ გარეთ სხვა მეგობრები, რადგან თუ კარის მეზობლებთან არ გაქვს პრობლემა მოგვარებული, ყოველთვის გექნება სახლში პრობლემები. ბიძინა ივანიშვილმაც სწორედ ეს თქვა — რუსეთთან უნდა მოვაგვაროთ პრობლემები, თუ გვინდა აფხაზეთსა და სამაჩაბლოს დაბრუნებაზე ვიფიქროთ. მათთან ურთიერთობის მოგვარების გასაღები კი, ჩემი აზრით, სწორედ რუსეთში დევს. აქვე მინდა აღვნიშნო, რომ თავად რუსეთს სამაჩაბლო და აფხაზეთი საკმაოდ მძიმე ტვირთად აწევს კისერზე. მათ შესანახად, მას მილიარდების დახარჯვა უწევს. პუტინმა არაერთხელ განაცხადა — შეიძლება მოლაპარაკებები და საუბრის დაწყება ტერიტორიების შესახებ. საუბრის დაწყების შემთხვევაში დაბრუნების შანსი რეალურად ჩნდება. საქართველოში სოციალურ-ეკონომიკური გარემო პირობები უნდა შეიქმნას, რათა ოსს და აფხაზს თბილისში ჩამოსვლა უფრო უხაროდეს, ვიდრე მოსკოვში. როცა ბიზნესი და სხვა სფეროები ტერორისგან განთავისუფლდება, ყველას გაუხარდება ჩამოსვლა.

**— დღეს ბიძინა ივანიშვილის ბიზნესიც ხელისუფლების ტერორის ქვეშ აღმოჩნდა. ხელისუფლების უკანონო ქმედებების მიმართ ივანიშვილი ჯერჯერობით უძლურია. როგორ გესახებათ მოვლენების განვითარება?**

— ამაზრზენია ხელისუფლების ქმედება. სანამ ბიძინა ივანიშვილი ხელისუფლებაში მოსვლის თაობაზე განაცხადებდა, მანამდე მის მზეს ფიცულობდნენ, ახლა კი ხელისუფლებისთვის მიუღებელი გახდა, ახლა აღმოჩნდა ისიც, რომ ლებედის, პუტინის მეგობარი ყოფილა, შეიძლება ივანიშვილს არც ჰყავს პირისპირ პუტინი ნანახი. საოცარია, კაცი, რომელმაც ამდენი ფული ჩადო საქართველოს გადარჩენისთვის, ახლა მტრად იქცა. ამ დროს კი ხელისუფლებას ჰყავს ბენდუქიძე, რომელიც გაურკვეველი ცნობიერების, ფსიქოლოგიის, წარმომავლობისაა, რომელმაც რუსეთის ხელისუფლებას სტრატეგიული ობიექტები მიჰყიდა და მტრად არ ითვლება. ხელისუფლება ორმაგ თამაშს ეწევა — ერთი მხრივ ბიძინა ივანიშვილის ფულს, რომელიც მან რუსეთში დააგროვა და საქართველოს საკეთილდღეოდ გამოიყენა, რუსულ ფულად მიიჩნევს, მეორე მხრივ — კახა ბენდუქიძეს, რომელსაც დღესაც რუსეთში აქვს ბიზნესი, უფლება მისცეს ყველა სტრატეგიული ობიექტი რუსეთისთვის მიეყიდა. კახა ბენდუქიძე გამოდის საქართველოს პატრიოტი, ივანიშვილის ქველმოქმედება კი პოლიტიკაში მოსვლის განცხადების გამო, ხელისუფლებას აღარ ახსოვს. ხელისუფლებამ უნდა იცოდეს, რომ იგი მარადიული ვერ იქნება. რაც შეეხება „ქართუ ბანკის“ საინკასაციო მანქანაზე თავდასხმას, ეს ხელისუფლების მხრიდან დიდი დანაშაული იყო. ეს არის ღია ყაჩაღობა, რაც არცერთ ცივილურ ქვეყანაში არ ხდება. ასეთი რამ დემოკრატიის შუქურა ქვეყნებში არ ხდება. ასეთი ფაქტის გამო ნორმალურ ქვეყანაში პრეზიდენტს შეიძლება იმპიჩმენტიც გამოუცხადონ. როგორც იცით, ახლა იგონებენ ახალ-ახალ კანონებს, რათა ბიძინა ივანიშვილის ფული ნაკლებად იყოს ჩართული არჩევნებში. მინდა გავახსენო ნაციონალებს, წინა არჩევნებში მათ საარჩევნო ყულაბა ბიზნესმენების დატერორების შედეგად 13 მილიონი ლარით შეივსო. მაშინ, როდესაც ყველა ოპოზიციურ პარტიას ერთად აღებული მხოლოდ 500 ათასი ლარი ჰქონდათ. დღეს, თურმე აღარ შეიძლება საარჩევნოდ ამ ფულის გამოყენება. ხელისუფლება ეცდება ბიძინა ივანიშვილის ფინანსები სააგიტაციო-საპროპაგანდო სისტემაში აქტიურად არ იყოს ჩართული. თუმცა არაფერი გამოუვათ. როდესაც ეროვნული ძალები ხელისუფლებაში მოვიდნენ, ზვიად გამსახურდიას და მის გუნდს კაპიკი არ ჰქონდათ ჯიბეში. კომუნისტებს კი ჰქონდათ ყველა ბერკეტი რაიკომის მდივნებიდან დაწყებული ფულით დამთავრებული. ისე, როგორც დღეს აქვს ფული „ნაციონალურ მოძრაობას“, რომელიც კომუნისტური პარტიის იდეოლოგიის ტყუპისცალია და სავსეა მათი შთამომავლებით, თუნდაც გიორგი არველაძე, რომელიც დღეს „იმედს“ მართავს, მამამისი — ტახირ არველაძე ქალაქის მერის მოადგილე იყო და კაგად წველიდა კომუნისტებს. დღეს მისი შვილი იგივე იდეოლოგიით მართავს „იმედს“. ზვიად გამსახურდიამ კომუნისტური პარტია ფულის გარეშე დაამარცხა ღია მოედანზე. დღეს, აბსოლუტურად იგივე მოხდება, რადგან ფაქტობრივად საქართველოს მთელი მოსახლეობა საღათას ძილიდან უკვე გამოდის და იღვიძებს ის ეროვნული სულის მუხტი, რომელიც ზვიად გამსახურდიას დროს არსებობდა. ვერავითარი წინაღობა, ჯებირი მას წინ ვერ დაუდგება. ბიძინა ივანიშვილი არის პიროვნება, რომელსაც შეუძლია ყოველგვარი ფინანსების გარეშე მოვიდეს ხელისუფლებაში და დაარქვას თეთრს — თეთრი, შავს — შავი.

**— თქვენ ბიძინა ივანიშვილის გაპრემიერმინისტრებაზე ჯერ კიდევ 2009 წელს გააკეთეთ განცხადება პრესაში. მაშინ ბიძინა ივანიშვილი ჩუმად ეწეოდა ქველმოქმედებას და მის პოლიტიკაში მოსვლას ვერავინ იფიქრებდა. რას ემყარებოდა მაშინ თქვენი მოსაზრება და რას ელოდებით ახლა მისგან?**

— დიახ, ეს იყო 2009 წელს, როდესაც ბიძინა ივანიშვილი არცერთ პოლიტიკურ გამოკითხვებში არ ფიგურირებდა, ამ პერიოდში გავაკეთე გათვლები. ივანიშვილმა თავისი ნიჭით, შრომით შექმნა დიდი ბიზნესი. რუსეთში, ამ უზარმაზარ ქვეყანაში უპატრონო ქართველმა, ყოველგვარი მხარდაჭერის გარეშე დიდ წარმატების მიაღწია. ეს ნიშნავს, რომ ასეთი ადამიანი, თითოეული ქართველის ვალდებულებაა, მოვაბრუნოთ საქართველოში და ქვეყნის საკეთილდღეოდ გამოვიყენოთ და არა მტრებად და მოღალატეებად გამოვაცხადოთ. 2009 წელს „ასავალ-დასავალს“ ჰქონდა რუბრიკა „ვინ გესახებათ მომავალ პრეზიდენტად და პრემიერ მინისტრად?“ მაშინ დავწერე, რომ პრემიერ-მინისტრი ბიძინა ივანიშვილი უნდა ყოფილიყო, ანუ ადამიანი, რომელიც მეურნეა და საქმის კეთება შეუძლია. ვფიქრობ, ჩემი წინასწარმეტყველება აუცილებლად აღს-

6 gv.



# ras fiqroben qarTvelebi `qarTul ocnebaze~



**მწერალი**
**გურამ ოდიშარია:**

—ჩემთვის „ქართულ ოცნებაში“ ქართველების გაერთიანება მოიაზრება. ბოლო 25 წელია ერთ ხელისუფლებას მეორე ცვლის და ასე უწყვეტად. ქართველებს შორის მუდმივ დაპირისპირებას მტკივნეულად და მძაფრად აღვიქვამ.

ყველა ადამიანი ბედნიერებაზე და უკეთესზე ფიქრობს, თავისი ოჯახის კეთილდღეობას ნატრობს. თუმცა, უპირველეს ყოვლისა, ალბათ, ძალიან ბევრი სამშობლოს ბედნიერ მომავალზე ფიქრობს. ყოველ შემთხვევაში, ასე უნდა იყოს. სამშობლოს მივუსადაგებთ ჩვენ ამ ფრაზას-„ქართულ ოცნებას“ ამიტომ ჩემი გადასახედიდან და ჩემი სამრეკლოდან ვამბობ: ქართული ოცნებაა, საქართველოს შვილებმა მოძებნონ ერთი საყრდენი. თითოეულმა წარმოაჩინოს თავისი ძლიერება, ანუ რაც მას უკეთ გამოსდის: პოლიტიკური აზროვნება, ზნეობრივი სიმაღლე, მატერიალური რესურსი...ყველაფერი ერთად... რადგან ეს ერთობლიობა ხვალ და ზეგ მთელ საქართველოს წაგვადგება. უფრო მეტად ვისწავლოთ ერთმანეთში დიალოგი, ურთიერთგაგება გვქონდეს და თანაც, სიტყვა საქმედ ვაქციოთ.

ის საშინელი დაპირისპირება, რაც წლებია უსასრულოდ გრძელდება, ბოლოს და ბოლოს დასრულებულიყოს.

თითოეულ ქართველში ვხედავ ბევრ დადებითს და მინდა ამ რესურსის შეკრება. (არა მარტო ქართველები, საქართველოში მცხოვრები სხვა ერებიც მყავს მხედველობაში-საქართველოს მოქალაქეები.)მაშინ ჩვენზე ბედნიერი, ლამაზი და მოწესრიგებული ქვეყანა იშვიათად იქნება ამ დედამიწაზე და გარდა იმისა, რომ თავსაც გადავარჩენთ, გადავრჩენთ სხვებსაც, რადგან სხვებისთვისაც ვიქნებით მაგალითი.

ბევრს ვმოგზაურობ და ვიცი: ყოფილ საბჭოთა კავშირში ყველაზე მწარე, ყველაზე მწვავე პოლიტიკური დაპირისპირება ჩვენ გვაქვს ერთმანეთში. მოვა დრო და რა თქმა უნდა, ეს პროცესები დალაგდება, არ იქნება მწვავე დაპირისპირებები, მაგრამ შევამციროთ, შევამოკლოთ ის დრო.

სოხუმელი კაცი ვარ და ერთი რამ კარგად გავისიგრძეგანე-დაბრუნდება მხოლოდ ფრინველთა გუნდი, მარტო ფრინველს არ შეუძლია დაბრუნება. ასე რომ, ჩვენ-ყველანი ერთად ვიქნებით გამარჯვებულები, ან დავმარცხდებით იმ ქრონიკული დამარცხებით, რომელშიც ბოლო პერიოდია ზედიზედ ვმარცხდებით. ეს არის ჩვენი უბედურება, რომ ვერ ვსწავლობთ ჭკუას საკუთარ დამარცხებებზე. კიდევ ერთხელ ვამბობ ხაზგასმით, „ქართული ოცნების“ ასრულებას ვუკავშირებ თითოეულ ჩვენგანს გუნდურად და არა ცალ-ცალკე.

**— ბატონო გურამ, როგორ ფიქრობთ, ეკუთვნის თუ არა ბიძინა ივანიშვილს საქართველოს მოქალაქეობა?—**

— ეკუთვნის, რა თქმა უნდა. ვის ვის და ბიძინა ივანიშვილს საქართველოს მოქალაქეობა უნდა ჰქონდეს, ამაზე ორი აზრი არ მაქვს. კაცმა ამდენი გააკეთოს თავისი ქვეყნისთვის-საქართველოსთვის და მერე რაღაც კანონებით ჩავეძიოთ, რომ იქ რაღაც დარღვეულა და ამიტომ არ შეიძლება და ა.შ...არ არის მართებული მიდგომა.

ნეტავ, ამ კანონის გარდა ჩვენ ქვეყანაში დარღვეული წესები და კანონები არ არსებობდეს.

**ნათია ნოდია**



**მსახიობი გურამ ფირცხალავა:**

**— ბატონო გურამ, რას ფიქრობთ იმ „ქართულ ოცნებაზე“, რაც ბიძინა ივანიშვილმა სამომავლოდ აღგვითქვა?—**

— „ქართული ოცნება“—ყველაფერია თქმული ამ ორი სიტყვით. ორი სიტყვა, რომ ასე შეაერთა და მიუსადაგა, მაგას ვენაცვალე. მართლაც შესანიშნავი სლოგანია.

მსურს ის ოცნება აუსრულდეს ქვეყანას, რისი ოცნებაც დღევანდელმა მთავრობამ დაუკარგა. იმედი მაქვს ჩანაფიქრი აგვისრულდება.

პირველ რიგში, თავისუფლების წყურვილი გვაქვს ქართველებს. ეს იქნება სასამართლო, მედია საშუალება, თუ ადამიანის უფლებების დაცვისათვის სხვა აუცილებელი პირობა.

ქართველების ოცნებაა თავისუფალი საქართველო და ჩვენ ქვეყანაში ხალხს ერთმანეთი უყვარდეს.ამათ, აი ამ ხელისუფლებამ, ადამიანებს ერთმანეთი შეაძულა.

ხოლო „ქართული ოცნება“ ეს მხოლოდ ივანიშვილის ოცნება კი არა, სრულიად საქართველოს ოცნებაა და ზუსტად არის მიგნებული სიტყვები. ბატონი ბიძინას დიდი იმედი მაქვს, რომ ამ ოცნებას აგვისრულებს.

**ნათია ნოდია**

5 gv.

რულდება. ვანგა არ ვარ, თუმცა ვისაც ანალიზის უნარი აქვს დამეთანხმება, რომ საქართველოში საკუთარი თავის რეალიზების უფლება ასეთ ადამიანს უნდა მიეცეს. იგი წლებია საქართველოდან არ გასულა და მოქალაქეობა კი არ უნდა წაართვა, პირიქით საპატიო მოქალაქის წოდება უნდა მიანიჭო. ხელისუფლებამ თუ არ გააკეთა, ეს ხალხი გააკეთებს ამას. ხელისუფლებას კი ძალიან ცუდად შემოუბრუნდება ეს ყველაფერი იმიტომ, რომ თუ ბიძინა ივანიშვილს ხელი შეეშლება, მთელი მოსახლეობა გარეთ გამოვა და შეიძლება რამე უბედურებაც დატრიალდეს. აქვე უნდა აღინიშოს, რომ ხელისუფლებამ უკვე დაიწყო აქტიური მზადება არჩევნებისთვის. ხელისუფლებამ შეიძლება ნაადრევად მომავალი წლის შემოდგომამდე დანიშნოს არჩევნები, იმაზე გათვლით, რომ ივანიშვილს ჯერ პოლიტიკური პარტია შექმნილი არ აქვს. მაქვს ინფორმაცია, რომ ხელისუფლებას უნდა, დაასწრონ ივანიშვილს და სანამ იგი სტრუქტურებს შექმნის ჩაატარონ არჩევნები. ხელისუფლებამ სამშობიარო სახლებში „ნაციონალური მოძრაობის“ ეგიდით უკვე დაიწყო მშობიარეების დაფინანსება. ფაქტობრივად, სააკაშვილმაც უკვე გააქტიურა საარჩევნო გასვლები რეგიონებში. ამიტომ ბიძინა ივანიშვილს თქვენი გაზეთის მეშვეობით მინდა მოკრძალებით ვურჩიო — სასწრაფოდ შექნას სტრუქტურები, მრჩეველთა საბჭოში აუცილებლად შეიყვანოს აზერბაიჯანელების, სომხების წარმომადგენლები, იმიტომ, რომ ხელისუფლებას ძალიან დიდი იმედი აქვს მიძინებული, მათი მხარდამჭერი არაქართული რეგიონების მოსახლეობის. ამიტომ ივანიშვილმა დიდი აქტიურობა უნდა გამოიჩინოს ამ რეგიონების მოსახლეობის ჩართულობისთვის. აუცილებელია იგი შეხვდეს სამეცნიერო წრის წარმომადგენლებს, ინტელიგენციას, მწერალთა კავშირს, სხვა შემოქმედებით კავშირებს. აუცილებელია ადგილებზე შეხვედრები არაქართულ მოსახლეობასთან. უნდა მოხდეს არაქართულენოვანი — აზერბაიჯანული, სომხური პრესის ხელშეწყობა, რათა მიეწოდოს ინფორმაცია ვინ არის და რას საქმიანობს



ბიძინა ივანიშვილი. ამ სტრუქტურების შექმნის დაჩქარებაა საჭირო, წინააღმდეგ შემთხვევაში ხელისუფლება ყველაფერს გააკეთებს, რათა ბიძინა ივანიშვილის ავტორიტეტი გაანეიტრალოს. ღმერთმა არ ქნას, ეს მოხდეს, რადგან ეს იქნება ქართველი ხალხის ტრაგედია. ქართული ოცნება აუცილებლად უნდა ახდეს. ხაზგასმით მინდა აღვნიშნო — მან გვერდით დაიყენა დასავლური აზროვნების, ღირებულებების დამცველი პარტიები. თუ ხელისუფლება არჩევნების ადრეულად დანიშვნას გადაწყვეტს, ივანიშვილი იძულებული გახდება ირაკლი ალასანიას პარტიით თავისი იდეოლოგიის, ინტერესების რეალიზება მოახდინოს. აქვე მინდა აღვნიშნო, რომ ქართველი მწერლების უმრავლესობა გვერდით დაუდგება სიმართლეს, ქართული ოცნების ახდენას.

**— თქვენთვის რა არის ქართული ოცნება და როგორ გესახებათ მისი ახდენა?**

— ეს არის ქართული ინტერესების, ცნობიერების, კულტურის, ფესვების, ტრადიციების მოაზრება და ამ მიმართულებით სახელმწიფოს მშენებლობა. ამ ყველაფრის გარეშე ქვეყნის შენება ნიშნავს, რომ მას სილაზე ვაშენებთ. ასეთი აშენებული ქვეყანა ჩამოიშლება. დღეს, ხელისუფლება გვეუბნება ყველამ ინგლისური ენა უნდა ისწავლოთო, ეს ცუდი არაა, მაგრამ იაპონიამ, ჩინეთმა ინგლისური ენის ცოდნის გარეშე მიაღწიეს უდიდეს ეკონომიკურ წარმატებებს. როცა ყველაფრის მოსპობას და ახალი ქართველის შექმნას ცდილობ, ეს დროებითი მოვლენაა და სწორედ სილაზე სახლის მშენებლობას ჰგავს, რომელიც აუცილებლად ჩამოიშლება. დღეს, ჩვენ ძალიან ბევრი, სილაზე აშენებული აზროვნების ნიმუში გვაქვს საქართველოში. ახლა არაპროფესიონალების პოლიტიკით იმართება საქართველო და დრო დადგა პროფესიონალები ემსახურონ ქვეყანას. ბიძინა ივანიშვილი სწორედ ამას ამბობს — შევქმნი ისეთ გარემოს, რომ საქართველოში ყველამ თავისი საქმე აკეთოს და ყველა პროფესია დაფასებული იყოს. საქართველო სოფლის მეურნეობის ქვეყანაა და ივანიშვილიც პრიორიტეტს სწორედ ამას ანიჭებს. საქართველო, თავისი გეოგრაფიული მდებარეობიდან გამომდინარე, იმ სფეროების წარმმართველი უნდა იყოს, რაც ქართველ ხალხს ოდითგანვე ეხერხებოდა. ტურიზმზე არ უნდა ააგო ქვეყანა, რადგან იგი ყველა ქვეყანაში არის მათი წყაროების, პროდუქციის პროპაგანდის რეკლამის საშუალება და არა მათი ძირითადი შემოსავალი. ტურისტების მეტი არაფერი ჰყავდა ეგვიპტეს, მაგრამ დავინახეთ როგორ ჩამოიშალა ეს ქვეყანა. ყველა ქართველის მცდელობა, ბიძინა ივანიშვილთან ერთად, მიმართული უნდა იყოს უკეთესი საქართველოს შენებისკენ.

**— ბოლოს პატრიარქის განცხადებაზეც მინდა გკითხოთ. მან სააკაშვილს ბიძინა ივანიშვილისთვის მოქალაქეობის დაბრუნებისკენ მოუწოდა.**

— ბიძინა ივანიშვილმა ააშენა სამების ტაძარი. საქართველოს სწორედ ამ კულტურული ძეგლით შეაფასებენ და არა მტკვარზე გადაჭიმული ლოკოკინის მსგავსი ხიდით. ქართველი კაცისთვის მოქალაქეობა-არმოქალაქეობის მინიჭება ერთი კაცის ხუშტურებით არ უნდა ხდებოდეს. ის ვინც ქართულ საქმეს აკეთებს, ქართული ცნობიერების მატარებელია — უცხოეთში იქნება თუ აქ, იგი იმსახურებს საქართველოს მოქალაქეობას. სწორედ ეს ბრძანა პატრიარქმა. თუ სააკაშვილი გონიერებას გამოიჩენს და შეცდომას გამოასწორებს, ამით საქართველოში ცხოვრების და მოღვაწეობის პერსპექტივას გაიხანგრძლივებს. წინააღმდეგ შემთხვევაში, თუ ივანიშვილს მოქალაქეობას არ მისცემენ, ჩავთვალოთ, რომ საქართველოში ძალიან ბევრს, სააკაშვილის, მინაშვილის, გილაურის და იმ ხალხის, ვინც პარლამენტში სხედან და კაცმა არ იცის მათი წარმოშობის შესახებ, მათი ბედიც გასარკვევი იქნება სამომავლოდ. მინაშვილის თუ მინასიანის გადასაწყვეტი არ უნდა იყოს იქნება თუ არა ივანიშვილი საქართველოს მოქალაქე. ივანიშვილისთვის მოქალაქეობის ჩამორთმევა სვეტიცხოვლის ამშენებლის — არსაკიძისთვის მარჯვენის მოჭრის ტოლფასია.

**თამარ შველიძე**

**ნაირა გელაშვილი, მწერალი:** „...ჩემის აზრით, ხელისუფლებამ გადაწყვიტა, არც ერთი დანაშაული არ დატოვოს ჩაუდენელი. ეს იქნება უზარმაზარი მასშტაბის დანაშაული, რომელიც არავითარ შემთხვევაში არ უნდა მოხდეს. მინდა მივმართო საზოგადოებას: არ უნდა აშენდეს ხუდონჰესი, არც ერთი გიგანტური ჰესი, ეს არის ანტიმეცნიერული, სრული უმეცრებიდან ამოზრდილი გადაწყვეტილება. და რაც მთავარია, ამის ერთადერთი იმპულსი არის მხოლოდ ფულის შოვნა. ეს არის იმ ძალების მიერ წამოწყებული დამღუპველი პროექტები, რომლებიც არ აპირებენ ამ ქვეყანაში ცხოვრებას. რომელთა მიზანია, მოასწრონ, თავიანთი ხელისუფლებაში ყოფნის ვადა ბოლომდე გამოიყენონ, რაც კი შეიძლება ყველაფერი გამოწურონ ამ გაუბედურებულ ქვეყანას, ფული იშოვონ და მერე აქედან წავიდნენ. მე ასეთი შთაბეჭდილება მრჩება, იმიტომ რომ თუ ეს დაფინანსდა აქ იტრიალებს დიდი ფული და ჰუდონ ჰესიდან არავითარი სარგებლობა არ ექნება საქართველოს. ეს ელექტრონი გასაყიდად არის გამოიზნული და არ დაიჯეროს ხაიშის მოსახლეობამ, რომ მათ ვინმე რაიმე კომპენსაციას მისცემს. ყველაფრის გარეშე დატოვებენ, როგორც დატოვეს ლტოლვილები და ისევე მოექ-



ცლილებაზე და ა.შ. ანუ იწვევს სოციალურ, ეკონომიურ, ბიოლოგიურ, გეოქიმიურ და სხვა სახის ცვლილებებს. ანუ ირღვევა ეკობალანსი. და დავუკვირდეთ უმთავრეს, რაც ჩვენთვის სეისმურად აქტიური რეგიონისათვის, არის დანმღუპველი, რომ დიდი წყალსაცავის ხელოვნურად შექმნა ხშირად იწვევს აღძრულ მიწისძვრებს, რის შედეგადაც გამოწვეული ზარალი არაფრით ჩამოუვარდება ჩვეულებრივი მიწისძვრებით მიყენებულ ზარალს. პრაქტიკა აჩვენბს, რომ გიგანტური ჰესები იწვევდა ადამიანურ მსხვერპლს და ეროვნულ უბედურებასაც. ყოველწლიურად აღინიშნება კაშხალთა ნგრევა და ავარიები. ჩვენს ქვეყანაში წყალსაცავები

და გამსახურდიასა და იმ პროცესებისადმი, ყველამ იცის, არის სრულიად კრიტიკული. მაგრამ ზვიად გამსახურდიას ჰქონდა ძლიერი მხარე, არსებობდა სფერო, სადაც ის იყო ძალიან კომპეტენტური. ეს იყო მისი ჰუმანიტარული, ეკოლოგიური და თეოლოგიური განათლება. ამიტომ ამ სფეროში ის აყო შეუმცდარი. ეხლა მივმართავ ზვიადის მომხრეებს, იმ ადამიანებს კი არ უნდა დასდევდეთ ლანძღვით, ვინც მას სამართლიანად აკრიტიკებს, არამედ იყოთ იმ მაღალი იდეალების ერთგული, რომლის ერთგულიც იყო ზვიად გამსახურდია. ეს ლექსი არის პატარა, ხატოვნად მოცემული პროგრამა. მოდით, ყველანი ვიყოთ ამ იდეალის ერთგული. რომ არ დავუშვათ გიგანტური ჰესების მშენებლობა საქართველოში. მე და ზვიადი ერთ წრეში ვიყავით, ერთად ვოცნებობდით აყვავებულ საქართველოზე, რომელიც იქნებოდა წალკოტი, ქალაქები სავსე იქნებოდა პარკებით, აყვავდებოდა სოფლის მეურნეობა და ა.შ. ეს არის სფერო რომელიც აერთიანებს ყველას და აქ მაინც შევრიგდეთ, ეკოლოგიურ სფეროში. ჩვენ ხომ ყველას გვიყვარს ჩვენი ბუნება, ხომ არ გვინდა ვაჟა-ფშაველა მიწაში ტრიალებდეს. შეიძლება იმ მთებისა და მდინარეების განადგურება რომელიც ჩვენს ბუნებას, ჩვენს სულს ქმნის?!

ჭო, რომელიც მოუწოდებს ყველა პოლიტ პარტიასა და არასამთვრობო ორგანიზაციას, გამოხატონ თავიანთი პოზიცია გიგანტური ჰესების მშენებლობასთან დაკავშირებთ. ეკოლოგიურ საბჭოს მომზადებული აქვს წერილი მსოფლიო გარემოსდამცევლი ორგანიზაციებისადმი, სადაც ჩვენ ვითხოვთ დახმარებას ეკოლოგიური გენოციდის თავიდან ასაცილებლად. წერილს გავუგზავნით სამშენებლო ორგანიზაციას, რომელიც შემოსულია, ასევე პოტენციურ ინვესტორებს. და რამეთუ ეს ხდება ქართველი ხალხის ნების წინაალმდეგ, როგორც კი ეს ხელისუფლება წავა, ყველა ეს ხელშეკრულება გაუქმდება. ვეცდებით, რომ ძალიან ფართო რეზონანსი მივცეთ მთელი ევროპის მასშტაბით. რადგან უკან დასახევი გზა აღარ გვრჩება.

...თავის დროზე, როცა ქართველმა ხალხმა ხმა მისცა მწვანეთა პარტის ზურაბ ჟვანიას მეთაურობით, მან ხმა მისცა თავიანთი შვილების მომავალს, მაგრამ სწორედ ამ გუნდის - მიშა მაჭავარიანი, ხათუნა გოგორიშვილი, გია ბარამიძე, გიგი წერეთელი- ხელში დასამარდა საქართველოს ბუნება, მწვანეებმა იმედები ვერ გაუმართლეს თავიანთ ამომეჩეველს. ნუთუ შეიძლება ხელფასისთვის გაყიდო ყველა იდეალი? ერთი პარკი ვერ უნდა

# xudonhesi ar unda aSendes!
# xudonhesi ar unda aSendes!!
# xudonhesi ar unda aSendes!!!

ცევიან, როგორც ლტოლვილებს ექცევიან დღეს.

მე მაინტერესებს, ვინ წყვეტს ამას? სად იყო კომისია ეკოლოგების, ჰიდროლოგების, ვინ გააუქმა მაშინდელი დასკვნა, რომელიც იყო საუკეთესო მეცნიერების მიერ შემუშავებული ხუდონჰესთან დაკავშირებით. ვინ იღებს გადაწყვეტილებას, გილაური?! რა იცის გილაურმა საერთოდ ამ სფეროსი?! აბა ვინ?! როგორ უნდა აშენდეს კონკრეტული ნაგებობა, ეს არის ამ სფეროს სპეციალისტის საქმე, მაგრამ ნაგებობა, რომელიც წარმოადგენს უხეშ შეჭრას ბუნების ცოცხალ ორგანიზმში და რა გავლენას მოახდენს მასზე და ადამიანზე, ეს არის ჰუმანიტარული სფეროს წარმომადგენელთა კომპეტენცია. და ეს შეიძლება ყველაზე უკეთ პოეტმა დაინახოს, რადგან პოეზია ეს არის უმოკლესი გზა ნაწილიდან მთელისაკენ და სწორედ პოეტური სულის ადამიანმა ყველაზე კარგად იცის, რა არის გასაფრთხილებელი და ყველაზე ფაქიზი, რისი ხელყოფა არ შეიძლება. ერს ვაჟა-ფშაველა გყავდეს, რომელიც ბუნების მესიტყვეა, ხმელი წიოფელი და შვლის ნუკრი დაგიტოვოს წიანპარმა, და ესე ექცეოდე ბუნებას?! ხომ უნდა აირჩიო, ვისი მემკვიდრე ხარ - ვაჟასი თუ ბარბაროსების?

...ყოველი წყალსაცავი მოქმედებს არა მარტო ფიზიკურ-გეოგრაფიულ გარემოზე, არამედ დასახლებული პუნქტების სანიტარულ მდგომარეობაზე, ლანდშაფტის

იმაზე მეტია, რაც შეიძლება ქვეყანამ აიტანოს. ავიღოთ ენგური და ჟინვალი, რა შეიძლება მოხდეს სამომარი მოქმედებების დროს მათი დაბომბვის შემთხვევაში? ან მიწისძვირს დროს, თუკი ეპიცენტრი იქნება ამ ტერიტორიებზე?! ეს ხომ დამოკლეს მახვილია საქართველოს თავზე. ჩვენ ხომ მთლიანად ვართ განწირულები!

ამ საკითხებმა გაგავერთიანეს მაშინ ჩვენ, მთელი ქართული საზოგადოება. ახლა წაგიკითხავთ ერთ ლექსს:

**საუკუნე უახლესი**

**ამ ენგურჰესით და ჟინვალჰესით**
**სურთ, საქართველოს აუგონ წესი.**
**ჩვენს ბრგე ციხეებს, ტანკენარ ტაძრებს**
**ეს საუკუნე სპობს უახლესი.**
**მალე გვექნება მინაძეჰესი**
**დაშლის ვარძიას, ზარზმას და ხერთვისს,**
**გმინვა-გოდება ჯავახის, მესხის**
**აბობოქრებულ ტალღებს შეერთვის.**
**ამ ხუდოინჰესით, ნამოხვანჰესით**
**სვანეთს და ლეჩხუმს სურთ,**
**დასცენ მეხი,**
**რომ სამუდამოდ ჩვენს მთიანეთში**
**ამოუკვეთონ ქართველ კაცს ფეხი.**
**ამ ენგურჰესით და ჟინვალჰესით**
**სურთ, საქართველოს აუგონ წესი.**
**თან გვარწმუნებენ, იცავსო ძეგლებს**
**ეს საუკუნე უდიადესი.**

ამ ლექსის ავტორი გახლავთ ზვიად გამსახურდია. ჩემი დამოკიდებულება ზვი-



ეს არის ჩვენი ბედისწერის, კულტურის ხატი. აქ ვიბრძოლოთ ერთად.

პროექტის მიხედვით ხუდონჰესი ეს არის კაშხლების კასკადი, რის შედეგადაც ხაიშიდან მესტიამდე წყლით უნდა დაიფაროს. ამით სავნეთს ვჭრით ყელს. შემოსულია გაურკვეველი წარმოშობის ინდურ-ინგლისური კომპანია, რომლის აშენებულიც ჯერ არაფერია ცნობილი, რომლის წარმომადგენელიც არის ვინმე წერეთელი და ხაიშის მოსახლეობას ეუბნება, რომ უნდა გაასახლოს იქედან. აი სადამდე დავეცით ჩვენ. ეს არის გმირი სოფელი, რომელმაც ამდენი ხანი შეინარჩუნა ის ადგილი. და დღეს იქ ხალხი არის დატერორებული, მოსყიდული, ისე როგორც კომუნისტების დროს, თუმცა მაშინ არ გაუვიდათ, ელემენტარულად საზოგადოებრივ აზრს გაუწიეს ანგარიში.

...რა დააშავა ამ ხალხმა, როდემდე უნდა იყოს ამ ხუდონჰესის საფრთხის ქვეშ?! ახლა იქმნება ეკოლოგიური საბ-

გადაარჩინო?! ადრე სხვათა შორის მუსირებდა აზრი, ზურაბ ჟვანია იმიტომ მოიშორეს თავიდან, რომ აპირებდნენ გიგანტური ჰესების პროექტის გატანას, რასაც ის არცერთ შემთხვევაში არ დაუშვებდაო. ფაქტია, როცა ბატონი ბენდუქიძის მიერ, რომელიც ალბათ უბედურად ჩათვლის თავს თუ ყველაფრის გაყიდვა ვერ მოასწრო ამ ქვეყანაში, პირველად იქნა წამოყენებული საკითხი ტყეების გაყიდვის შესახებ, რაც ნიშნავდა რომ ტერიტორიებს ასხვისებდა, ზურაბ ჟვანიამ ეს პროექტი გააჩერა. მერე როცა ბენდუქიძემ გამოიტანა მდინარეების გაყიდვის პროექტი, ეს ნოღაიდელმა გააჩერა. და ეხლა აღისრულეს ყველა სურვილი. მაგრამ ხუდონჰესს ბევრი გადაჰყვა, ეს არის რაღაც ნიშნული, რომლის იქით წასვლა არ შეიძლება. ამიტომ ამის დაშვება არაფრით არ შეიძლება.

**ტელეკომპანია „მაესტრო“**
**ფრაგმენტები ინტერვიუდან**

იხილეთ „საერთო გაზეთი“
ინტერნეტში
www.saertogazeti.net
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

teleNEWS

# ruseTTan urTierTobis mogvarebis aucileblobaze marto biZina ivaniSvili ar gvelaparakeba, amaze mTeli msoflio migviTiTebs





*„საერთო გაზეთის“ სტუმარია პოლიტოლოგი* ***გიორგი ვოლსკი.***

**— ბატონო გიორგი, თქვენ ბატონი ბიძინა ივანიშვილის მრჩეველთა საბჭოს წევრი გახდით, მალე ახალი საზოგადოებრივი მოძრაობა „ქართული ოცნება“ მრავალჯერ იმედგაცრუებულ ჩვენს მოსახლეობას თავს გააცნობს, ვინ ჩაუდგება მას სათავეში, წარმოადგენს თუ არა იგი თავის პროგრამას?**

— მოძრაობა „ქართული ოცნების“ წარდგენა ხალხის წინაშე მალე მოხდება. შეხვედრაზე დასწრების მსურველთა რაოდენობა ძალიან დიდია, მაგრამ ყველას ვერ დაიტევს დარბაზი. ამიტომ სტუმრების შემოსვლა მოსაწვევებით გადაწყდა. მგონია, რომ სპორტის სასახლე ან სტადიონი იმიტომ არ დაგვითმეს, რომ ბევრი უკმაყოფილო დარჩეს. იმედი გვაქვს, რომ ამას ყველა კარგად გაიგებს, ვინც ვერ მოახერხებს დარბაზში შესვლას. მოძრაობას ბატონი ბიძინა ჩაუდგება სათავეში და იგი თავად გააცნობს საზოგადოებას თავის პროგრამას, შეხედულებებს, მიზნებსა და ამოცანებს. ხალხი მართლაც იმედგაცრუებულია. ხანგრძლივი პოლიტიკური ბრძოლის შემდეგ მოსახლეობაში წინააღმდეგობის მუხტი მნიშვნელოვნად დაეცა, ორიენტირები გაიფანტა. ვფიქრობ, კრეატიულად მოაზროვნე ძალების გაერთიანებაა საჭირო. დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, თუ გამაერთიანებელი ძალა რას შესთავაზებს საზოგადოებას. რადიკალიზმი, არეულობები, ქუჩა — არავის არ უნდა, რაც მთავარია, ქვეყნისათვის საზიანოა, რევოლუციური კატაკლიზმები გაურკვეველ მომავალს გვიქადის. სოციალური ფონი ძალიან მძიმეა და მოსახლეობის დიდ ნაწილს გაურკვევლობაში "გადაშვება" ურჩევნია ასეთ "გარკვეულობაში" ცხოვრებას. მაგრამ თუკი ჩვენს საზოგადოებას ინტელექტუალურ რესურსს და ჩართულობას შესთავაზებ, დაანახვებ ქვეყნის განვითარების რეალურ კონცეფციას, ვფიქრობ, ევოლუციის იმედიც გაიღვიძებს და წარმატებაც გარდუვალია.

**— ხელისუფლება ყველაფერს აკეთებს იმ მუხტის გასანეიტრალებლად, რომელიც პოლიტიკაში ახალი ძალის გამოჩენამ გამოიწვია. გააქტიურდნენ უწყებები, სამინისტროები, დატვირთული საგარეო გრაფიკით, გაუთავებელი პრეზენტაციებით და პიარით ცდილობენ ხალხის ყურადღების მიქცევას.**

— ხელისუფლების გააქტიურება არ მიკვირს, მაგრამ არ მიდის პროფესიონალური დავა იმათთან, ვისაც განსხვავებული აზრი აქვს ქვეყნისთვის საჭირბოროტო საკითხებზე — სოფლის მეურნეობაზე, ეკონომიკაზე, მრეწველობაზე, საგარეო პოლიტიკაზე თუ კონფლიქტების მოგვარების და სხვა თემებზე. ამოჩემებული აქვთ ძველი რიტორიკა, რუსეთის საფრთხის განეიტრალების შესახებ, ამ რიტორიკით მუხტავენ საზოგადოებას. ამ "საფრთხით" მართლდება ჩამორჩენა დემოკრატიული ინსტიტუტების მშენებლობაში და დაუშვებელი მეთოდები ოპონენტებთან ბრძოლაში. სწორედ ამ რიტორიკით შევედით იმ ფაზაში, როდესაც სახელმწიფომ გაფანტა საგარეო და საშინაო ურთიერთობების მოგვარების ყოველგვარი რესურსი.

**— ხელისუფლება სვამს კითხვას: როგორ და რის ფასად აპირებს მომავალი პოლიტიკური ძალა რუსეთთან პოლიტიკურ-ეკონომიკური საკითხების მოგვარებას? არის რუსეთის საკითხი ის მთავარი, რაც ჩვენი ხელისუფლების კრიზისის გაღრმავებას უწყობს ხელს შინ და გარეთ დდა რამაც შეიძლება სამთავრობო ცვლილებები გამოიწვიოს, თუნდაც არჩევნების გზით?**

— რატომღაც ფიქრობენ, რომ ბიძინა ივანიშვილს რუსეთთან ურთიერთობის დარეგულირება წარმოუდგენია დასავლეთთან დაპირისპირების ხარჯზე. კატეგორიულად არასწორი მიდგომაა, უფრო სწორედ, სპეკულაციაა დასავლეთის წინაშე. ბიძინა ივანიშვილს კარგად ესმის, რომ საერთაშორისო თანამეგობრობის გაერთიანებული ძალისხმევის გარეშე პროგრესი შეუძლებელია. ხელისუფლების მხრიდან მძიმე სტრატეგიული შეცდომებია დაშვებული და ახლა მათი მხრიდან კომპრომისებზე ლაპარაკი ზედმეტია. ამ თემებზე სამუშაოდ ახალი ხელისუფლება უნდა მოვიდეს! როცა კონფლიქტების მოგვარების საკითხებში მინისტრის მოადგილედ ვმუშაობდი, ჩვენ საერთაშორისო დონეზე ოფიციალურად მხარდაჭერილი სამშვიდობო გეგმით ვმუშაობდით და შედეგიც სახეზე იყო. 2006 წლის მაის-ივნისში ჩვენ პრაქტიკულად დავასრულეთ მოლაპარაკებების სტრუქტურების რეფორმა, პროცესებში საერთაშორისო პოლიტიკურ და ფინანსურ მონაწილეობას შეუქცევადი ხასიათი მიეცა. აფხაზეთის ხელისუფლების ერთ-ერთი მაღალჩინოსნის თბილისში ჩამოსვლისას ხელი მოეწერა შეთანხმებას, რომელიც გზას გვიხსნიდა ინტენსიური დიალოგის რეჟიმში შესასვლელად. ევროკავშირიდან ერთობლივი სარეაბილიტაციო პროექტის განხორციელებაზე ვაწარმოებდით მოლაპარაკებებს. ქართულ-ოსური კონფლიქტის სრულმასშტაბიანი მოგვარების პროცესს კი ბრიუსელის საერთაშორისო, მართლაც უპრეცედენტო, კონფერენციამ ჩაუყარა საფუძველი. რა თქმა უნდა, რუსეთს თავისი ინტერესები ჰქონდა, მაგრამ დასავლეთი არ იხილავდა რუსეთის რეგიონიდან გაპანღურების შესაძლებლობას. ეს უგუნური მიდგომა მხოლოდ საქართველოს უმაღლესი რგოლის რიტორიკაში აისახებოდა, რაზედაც არაერთხელ გაგვაფრთხილა გაეროს უშიშროების საბჭომ. სწორედ დასავლეთი მოგვიწოდებდა დავბრუნებოდით ცივილიზებული მოლაპარაკებების გზას. დიპლომატიური გზა, რომელსაც ახლა თვალს ვადევნებთ აშშ-რუსეთის ურთიერთობათა "გადატვირთვის" პროცესში ერთადერთი გამოსავალია. სხვათა შორის, თბილისში ჩამოსულმა ნატოს გენერალურმა მდივანმაც კვლავ ამ მიმართულებით სვლის აუცილებლობაზე მიუთითა ხელისუფლებას. მაგრამ გვიანაა. ეს დასავლეთშიც კარგად ესმით. მოკლედ, რომ გამოვხატო თუ რა მოხდა, მართებული იქნება ასეთი შედარება — საერთაშორისო მონაწილეობით მიმდინარე სამშვიდობო პროცესი შეცვალა ვიდეოკლიპმა "კოკოითი ფანდარასტ" და უაზრო ბერიკაობამ, რომლის წინამძღოლი სანაკოევი ბოლოს "ფსბ"-ს აგენტი აღმოჩნდა. აფხაზეთის პრობლემა კი "მოგვარდა" ვიდეოკლიპით "გამარჯობა, აფხაზეთო შენი!", რომლის მონაწილეები საბრძოლო ორდენებითაც კი დააჯილდოვეს. ნამდვილი კომედიაა ასეთი ტრაგიკული შედეგები რომ არ მიგველო. ჯობს ხელისუფლებამ თვითონ უპასუხოს, თუ რატომ მოხდა, რომ ცხინვალში ამერიკელების ეგიდით ბიზნესცენტრის გახსნა არაეფექტურად ჩაითვალა. ამერიკელები ხომ მზად იყვნენ ერთობლივი ქართულ-ოსური ბიზნესპროექტები დაეფინანსებინათ. რატომ არის იგნორირებული ის ფაქტი, რომ 2006 წლის 14 ივლისს ბრიუსელის კონფერენციაზე 12 მლნ. დოლარი გამოიყო იმ სარეაბილაციო პროექტებისთვის, რომელიც ქართველმა და ოსმა სპეციალისტებმა წარადგინეს 5 თვის ერთობლივი მუშაობის შემდეგ. ხელისუფლებას ამ თემაზე კამათი არ სიამოვნებს, არავის ეძახიან, ვისაც ჭკუა ეკითხება. სწორედ ასეთმა დამოკიდებულებამ გამოიწვია ჩვენი პოლარიზაცია. ომიდან სამი წლის შემდეგ„კონდოლიზა რაისის გულახდილი საუბრის უკან უამრავი მასალა დევს, ეს ჩვენს ხელისუფლებასთან ურთიერთობის მხოლოდ ერთ ეპიზოდს ეხება. სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ აშშ ოფიციალურმა წრეებმა არაერთხელ გაგვაფრთხილეს, გვთხოვეს, რომ არ წავსულიყავით კონფრონტაციაზე რუსეთთან, გვეუბნებოდნენ, რომ გააჩნიათ რეალური რესურსები რუსეთთან საერთო ენის მოსაძებნად. გაგვაფრთხილეს, რომ პარლამენტში არ დაგვეყენებინა საკითხი დსთ სამშვიდობო ძალების გაყვანის თაობაზე. მე თავად გახლდით ამ საკითხების ამერიკელ დიპლომატებთან განხილვის მონაწილე. ხშირ შემთხვევაში, პატრიოტული ლოზუნგით არაპატრიოტული საქმე კეთდება. 2008 წლის 17 ივნისს, საქართველოში ჩამოვიდა გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრი, როგორც მეგობართა ჯგუფის ხელმძღვანელი, რომელმაც საფრანგეთის, ბრიტანეთის, ამერიკის, გერმანიის სახელით შესთავაზა ჩვენს ხელისუფლებას გადაუდებლად დაეწყო მოლაპარაკებები ძალის გამოუყენებლობის გარანტიების შესახებ. ეეს რა ფონზე ხდება იცით? 2008 წლის იანვარში საპრეზიდენტო არჩევნებში სააკაშვილი რომ იძლევა გარანტიას „რუსთავი 2“-ის ეთერში, წლის ბოლოს სოხუმში ვიქნებითო. ანუ თუ შენ მოლაპარაკებების ფორმატიდან გამოდიხარ და გარანტიებს იძლევი, ეს ცოტა საშიში განცხადებაა. 2006 წლის ივლისში გაეროს უშიშროების საბჭოს სერიოზული კრიტიკა დაიმსახურა საქართველოს პარლამენტის უსაფრთხოების კომიტეტის განცხადებამ იმის თაობაზე, რომ კოდორის ხეობა ის სტრატეგიული ადგილია, საიდანაც სოხუმამდე შეიძლება 5 წუთში მოხვდე. ეს განაცხადები საომარი რიტორიკაა. ხელისუფლებამ უარი თქვა მოლაპარაკებებზე, რომლის დაწყებაც კი შეანელებდა დაძაბულობის პროცესს. სწორედ ამ ნაბიჯის გადადგმა უნდოდა ჩვენგან ამერიკის შეერთებულ შტატებს. შეიძლებოდა თუ არა კონფლიქტის აცილება? შეიძლებოდა. მიგვატოვეს? როგორც სააკაშვილმა განაცხადა ომის მერედ- მიგვატოვეს, რამაც აშშ-ს სახელმწიფო მდივნის უკიდურესი უკმაყოფილება გამოიწვია. რუსეთმა გააკეთა ის, რაც თავის ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციაში უწერია. ჩვენი კონცეფციის დიდი ნაწილი დახურულია, ნაწილი სადღეგრძელოს უფრო ჰგავს, ვიდრე კონცეფციას. საქართველოს ხელისუფლება მხოლოდ რიტორიკაში, სატელევიზიო პროგრამებში და მომიტინგეთა სასტიკი დარბევებით გამოხატავს თავის წინააღმდეგობას.

**— რას ფიქრობენ მიმდინარე პროცესებზე აფხაზები და ოსები?**

— ურთიერთობები დახურულია, მაგრამ არის არაფორმალური და არასამთავრობო ორგანიზაციების უმნიშვნელო კავშირები, საიდანაც მეტ-ნაკლებად სარწმუნო ინფორმაციის მიღება შეიძლება. აფხაზებისა და ოსების დიდი ნაწილი რუსეთს აღიქვამს, როგორც არასასურველ მბრძანებელს, მაგრამ მათი შვილების უსაფრთხოების ერთადერთ გარანტს, ხოლო საქართველოს, როგორც პოტენციურ აგრესორს. სამწუხაროდ, დღეს ჩვენ არ გაგვაჩნია არანაირი რესურსი, რომ ეს მიდგომა გავაბათილოთ. იმის მუდმივი განცხადება, რომ აფხაზეთის პრეზიდენტი იქნება საქართველოს ვიცე-პრეზიდენტი, არათუ საკმარისი არ არის, არამედ დაცინვადაც ჟღერს. შედეგი სახეზეა — ტერიტორიები ოკუპირებულია, ჟენევის მოლაპარაკებები უშედეგოა.

**— როგორ ფიქრობთ, მსოფლიო თანამეგობრობის გაღიზიანებას ჩვენი რუსეთთან დაულაგებელი ურთიერთობები იწვევს?**

— ხელისუფლება ცდილობს რუსულ-ქართული, რუსულ-ამერიკული და, საერთოდ, საერთაშორისო ურთიერთობები შავ-თეთრ ფერებში წარმოადგინოს, ან მტერი ან მეგობარი. ამ დროს დიპლომატიური ურთიერთობები მრავალპლანიანია. რუსეთს არცთუ ცუდი ურთიერთობები აქვს ევროპის ქვეყნებთან, ამერიკასთან კი პრაგმატულ მოლაპარაკებებს აწარმოებს. საქართველო-რუსეთის დამოკიდებულების არსებული რეჟიმი გაღიზიანებას არა, მაგრამ შეშფოთებას ნამდვილად იწვევს. მოგვარებელი პრობლემა საერთაშორისო უსაფრთხოებისათვის რეალურ გამოწვევად აღიქმება და ამას არც მალავენ. საერთაშორისო თანამეგობრობა საქართველოს ხელისუფლებისაგან ითხოვს წინადადებებს, ხელისუფლების წინადადება კი ერთადერთია — წიხლი ჩააზილეთ რუსეთს. ჩვენთან სტუმრად ჩამოსული აშშ-ს ვიცე პრეზიდენტი ჯოზეფ ბაიდენი მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლეში ბავშვებს შეხვდა, ბავშვებმა სთხოვეს, დაგვაბრუნე ჩვენს მშობლიურ კუთხეშიო. მან უპასუხა, რომ დაბრუნება მაშინ იქნება შესაძლებელი, თუ თქვენი სახელმწიფო იქნება იმ ფასეულობების გამზიარებელი, რომელიც დასავლურ ცივილიზაციას გააჩნია. ხელისუფლება კი საზოგადოებას შთაბეჭდილებას უქმნის, რომ პრობლემების მოგვარება შესაძლებელია, თუ რუსეთს კეტს ურტყამენ თავში, ამ დროს კეტიც არა გაქვს და არც რუსეთი გიშვერს თავს. რუსეთთან ურთიერთობის მოგვარების აუცილებლობაზე მარტო ბიძინა ივანიშვილი არ გველაპარაკება, ამაზე მთელი მსოფლიო მიგვითითებს.

**— რა მოლოდინი უნდა ექნეს საზოგადოებას „ქართული ოცნებისაგან?“**

— ქართულ ოპოზიციას არასოდეს ჰყოლია ასეთი ძლიერი, პრაგმატული, პატრიოტი ლიდერი. ბიძინა ივანიშვილმა გამოთქვა სურვილი დააფუძნოს მოძრაობა, რომელსაც „ქართული ოცნება“ ჰქვია. მოძრაობას აქვს ფართო თემატიკა, რეალური რესურსი; გადაწყვეტილება, რომ სამოქალაქო საზოგადოებას მიეცეს საშუალება მონაწილეობა მიიღოს სამომავლო გეგმების შემუშავებაში. შესანიშნავი იდეაა. უყურადღებოდ არ დარჩება სამოქალაქო საზოგადოების არც ერთი ფენა. ეს არ ნიშნავს იმას, რომ ფულის ტომარას თავი მოეხსნება და კარდაკარ ჩამორიგდება.

**— მომავალ არჩევნებზე რას იტყვით?**

— არჩევნებთან დაკავშირებით ერთი ისტორია მინდა გაგიზიაროთ. ჩემი დიდი წინაპარი, ქართველი პოეტი და პედაგოგი გრიგოლ ვოლსკი, ილია ჭავჭავაძის მეგობარი და თანამებრძოლი, წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ თურქეთიდან ახლადშემოერთებულ აჭარაში მიავლინა. 1888 წელს ბათუმში ქალაქის თავის არჩევნები იყო. დავით კლდიაშვილი აღწერს თავის მოგონებებში თუ როგორ ემზადებოდნენ არჩევნებისთვის. საინტერესოა, რომ რუსეთს თავისი კანდიდატი ჰყავდა, ბათუმში კი იმ დროს იმპერიის გარნიზონი იდგა. ქართველების კანდიდატმა გაიმარჯვა. სოფრომ მგალობლიშვილი წერდა, რომ ეს გრიგოლ ვოლსკის და მისი დაუღალავი გუნდის დამსახურებაა. რასაკვირველია, ეს ამბავი სიამაყით მოვყევი, მაგრამ მთავარი სხვა რამეა: იმ დროს ბათუმში ცხოვრობდნენ სომხები, ბერძნები, რუსები, მუსულმანი ქართველები. ილიამ და გრიგოლ ვოლსკიმ ყველას დაანახეს რეალობა, რომ საქართველო სხვა ერის წარმომადგენელთა მშვიდად ცხოვრების გარანტორია და არჩევნებიც მათი დახმარებით მოიგეს. დღეს, 21-ე საუკუნეში რატომაა შეუძლებელი სამართლიანი არჩევნების ჩატარება, თუკი ეს ჩვენმა წინაპრებმა, ცარიზმის მმართველობის ქვეშ მყოფმა საქართველომ მოახერხა მე-19 საუკუნის ბათუმში?!

**ნათია გოგიტიძე**

იხილეთ „საერთო გაზეთი“
ინტერნეტში
www.saertogazeti.net
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

# `darispanis gasaWiri~ anu miSasa da `nacebis~ kvercxbeki aWaris `redison blus~ win

სააკაშვილის ყველა გამონათქვამისა და ფრაზის ზუსტ ფსიქოლოგიურ შეფასებას ცერეუსა და კაგებეს ინსტიტუტებში აკეთებენ. ერთი შეხედვით, ეს ჩვენი საქმეც არ არის, მაგრამ, საუბედუროდ, ამ გამონათქვამების პატრონს დღეს ჩვენი პრეზიდენტი ჰქვია. ამ პრეზიდენტის ენას კი ძვალი ისევე არა აქვს, როგორც კოკაინით გაჟღენთილ მის ტვინს ხვეულები. “მიშას ვაგონი ნაციონალების მატარებელსაც” საბოლოოდ რომ ჩამოეხსნა და სადღაც მიექანება. მისი ზღვარგადასული ტყუილებიდან და ზღაპრებიდანაც სჩანს. რომ უკვე ისე აიბნა, რომ გუშინ ნათქვამი დღეს აღარ ახსოვს. სააკაშვილის გრამატიკისა და მეტყველების გასწორება შორს წაგვიყვანს. არასწორი ქართული” „საერთო გაზეთსა” და მის კორექტორს რომ არ დაბრალდეს, მის გამონათქვამებს, სტილის დაცვით ბრჭყალებში მოვიტანთ. მიშას უკვე უცხოეთშიც აღარ უსმენენ, ამიტომ ეს “ქვეყნის ბედზე ზრუნვით გაჭალარავებული კაცი” საქართველოს სოფელ-სოფელ, ქალაქ-ქალაქ დაწანწალებს. სახელისუფლებო ტელევიზიებით “გაბურანებულ” რეგიონის მოსახლეობას და ყველას უმტკიცებს “მე ისევ კარგი ბიჭი ვარ” დამტოვეთ, პრეზიდენტად თუ არა — პრემიერად მაინცო. დადის ყინვაშიც და უამინდობაშიც. შავადა აქვს საქმე. ერთი ასეთი “კაი ბიჭობის” მტკიცება “საქართველო ბანკის” სათავო ოფისის პრეზენტაცია იყო. ყველა სისულელეს არ ჩამოვთვლით. მხოლოდ რამოდენიმეზე შევჩერდებით. მიუხედავად იმისა, რომ ქართულმა საზოგადოებამაც, უცხოურმაც შესანიშნავად იცის, რომ აგვისტოს ომი მიშამ დაიწყო და ტალიავინის დასკვნას “რაისის მოგონებებიც” დაემატა. სააკაშვილს სხვა გზა აღარ დარჩენია და მაინც ყველგან და ყველას



რუსეთის “ურჩხულობას” უმტკიცებს. კომუნისტების აშენებული შენობაც, “მსოფლიო ჰაბიტატაის ერთ-ერთ მთავარ შედევრად მონათლა”. “პირველი ბანკირებიც სვანეთში ყოფილან და საქართველოში “შენახვის ინსტიტუტი”, თურმე ძველთაგანვე არსებობდა”?! ქართველებიც, თავის მსაგავსად, სოლომონ ისაკიჩ მეჯღანუაშვილის შთამომავლებად მიაჩნია, თორემ “ვეფხისტყაოსანი” მაინც რომ ესწავლა თავის დროზე, ეცოდინებოდა, რომ ქართველს „შენახვის” კი არა, „გაცემის ინსტიტუტი” ჰქონდა.

“ფაინეშნლ თაიმსის” სტატიის მიხედვით, საქართველოს ბანკი სამ რუსულ ბანკთან არის შედარებულიო, განსხვავება კი ის ყოფილა, რომ “ “საქართველოს ბანკი” ნამდვილი ბანკი ყოფილა, რომელიც ჯანსაღი ეკონომიკური ცხოვრების მაჩვენებლებს ეფუძნება, მაშინ როცა რუსული კომპანიები ეფუძნებიან ბუნებრივ რესურსებს, მაგრამ ამ რესურსების უკან არ დგას საკმარისი ინტელექტუალური რესურსებიო”. ჩიორა თაქთაქიშვილის, ოჩიაურის, თორთლაძის, წიკლაურის და კირკიტაძის “ინტელექტუალური რესურსის” პატრონს ამისი თქმის უფლება ნამდვილად აქვს?! ეს ის რუსული ეკონომიკა ყოფილა, “რომელიც 2003 წლის შემდეგ მოვიშორეთ”, მაგრამ ქართული ბაზარი მაინც სავსეა ხელისუფლების მიერ შემოტანილი რუსული პროდუქციით. ამ ბანკის სასწრაფო წესით გახსნაც ხომ მხოლოდ ივანიშვილის “ქართუ ბანკთან” დასაპირისპირებლად დასჭირდა. ჩვენმა ეკონომიკამ თურმე “მსოფლიოში მიმდინარე ეკონომიკურ ბიძგებს გაუძლო. სწორი განვითარების მიმართულებით მიდის. ეს არის ეკონომიკა, რომელიც არ არის გადახურებული. არ ეფუძნება კორუფციას და პირამიდის სქემებს”. კარგი რაა, მიშა, რეგიონში გაუბედურებულ ხალხს და შენს მონებს კი “აბოლებ”, მაგრამ ჩვენ რომ არ ვბოლდებით? სწორედ შენი პირადი ოჯახი, ძმები, დედა, მეუღლეც თავის სანათესავებიანად, გარემოცვა რომაა ამ კორუფციულ პირამიდაში ჩართული, ესეც ხომ ვიცით? ეკონომიკაში “არის ძალიან დაბალი საბიუჯეტო დეფიციტი და ეკონომიკა, სადაც, რომელშიც არის ვალის ძალიან დაბალი შესაბამისობა ეროვნულ პროდუქტთან”. რომელ ეროვნულ პროდუქტს გულისხმობს ეს სულ მთალად “სახურავდაცურებული” პრეზიდენტი, თურქეთის, ირანის, ჩინეთის, სასომხეთის პროდუქციით გაჯერებულ ქართულ ბაზარს? “რა თქმა უნდა, ჩვენ ავიღეთ ვალები, მაგრამ ბევრად მეტი გვაქვს ერთიანი ეროვნული პროდუქტი”. ჩემო მიხელ, თუ უკვე “მიტუა”(კახური ქუდის დახურვის გამო), ეს ვალები ჩვენი შვილების გასახდელი რომ გახდება და “ერთიან ეროვნულ პროდუქტადაც” ჯერჯერობით გაუნათლებელი, გარყვნილი, უსამშობლოო, უეროვნებო და გადახრილი ფსიქიკის ახალგაზრდობის აღზრდა რომ აქციეთ — ამასაც ვხვდებით. მოდერნიზაციის გეგმა, უმუშევრობის საშუალოდ 10%-ზე გასვლა ყოფილა. ეს კი ის 10%-ია, რომელიც სახელისუფლებო სტრუქტურებშია დასაქმებული და დღეს კარგ ხელფასებს იღებენ. დანარჩენი საქართველო კი უმუშევარი და მშიერია! “მთავარი” უახლესი წლების განმავლობაში მომზადება-გადამზადება ყოფილა. რისთვის და ვისთვის გადამზადება? უცხოელების სექსუალური მომსახურეობისთვის და მშობლიური ენის დავიწყებისთვის? ინგლისური ენის სწავლის პროგრამაც, პირველ რიგში, დასაქმების პროგრამა ყოფილა. ჩვენი უბედურებაც მაგაშია, რომ საქართველოში სამსახურის შოვნისთვის “თავარი” ინგლისურის ცოდნა გაგვიხადე. თურმე “თუ რეგიონის ზოგიერთ სხვა ქვეყანას“ “ჩავაკვირდებით”, დავინახავთ, რომ, როდესაც ჩვენ ისინი, როგორც ჩვენ 2003 წლამდე როგორც ნემსზე იყვნენ შემჯდარნი “ერთი ქვეყნის” ეკონომიკაზე, ახლა ჩვენ “ამ ნემსზე აღარ ვზივართ”.” სამაგიეროდ, ჩვენი პრეზიდენტია კოკაინზე შემჯდარი და მისი ზემოქმედების ქვეშ, რა და როგორიც მოეჩვენება, ჩვენც იმ ფერებში უნდა დავინახოთ. თანაც როდესაც “ამ ქვეყანას” (გულისხმობს რუსეთს) პოზიციები შერყევია, რეგიონის სხვა ქვეყნებიც მას ჩაყოლია, “ჩვენ კი, მართლაც, 2006 წლის დიდი დარტყმა მივიღეთ, მაგრამ გრძელვადიანად ვისწავლეთ ფეხზე დადგომა და წელში გამართვა საკუთარი ძალებით.” მიშა ისემც შენი და ნაციონალური მოძრაობის ოჯახები და ძალები ვნახეთ ფეხზე დამდგარი და წელში გამართული, როგორი ფეხზე დამდგარ-გამართულიც საქართველოა თქვენს ხელში?! ნიშანდობლივი და სიმპტომატურია, რომ, როგორც მისთვის გამოუვალ ვითარებაში სჩვევია, მიშამ ცხვირზე ხელის გასმას ახლაც მოუხშირა. “ყიდის ეს ცხვირი”. ახლა დგას და საქვეყნოდ ამტკიცებს რამდენი გაუკეთა საქართველოს, რა “მაგარია”, რათა დაგვანახოს, რომ ეგ რომ არა, “დავიღუპებოდით”. ადრე, უვარგისი ოპოზიციის ხელში, ვიღაცის მოტყუება, ვიღაცისთვის კი, “ოპოზიციაც ასეთივე ნაგავიას” პრინციპი მუშაობდა. ახლა კი როდესაც ბიძინა ივანიშვილი გამოჩნდა, თავს იკლავს, რომ ყველას “თვალში გაეჩხიროს” და თავისი “საქმენი საგმირონი” შეახსენოს, მაგრამ ძალიან გვიანია. “ეროვნული სულისკვეთება” რომ გამოაჩინოს, ახლა სულ ილია ჭავჭავაძე აკერია პირზე. კახეთშიც კი “დასახლდა” ვენახითურთ და “ზავოდობაც” გადაიხადა. ესაო და ვაზი და ქართული მიწა მიყვარსო. როდის შეუყვარდა ასე, ეს ქართული მიწა-წყალი და ვაზი? “კაგებეს ჯარში” რომ მსახურებდა, თუ “პეტერსონ-ბელქნაფის” (პეტროსიან-ბელქანიანის სომხურ ფირმაში)? თურმე “ბევრ ევროკავშირის ქვეყანაზეც წინ ვყოფილვართ წასული. ხალხი შედის ევროკავშირში იმისთვის, რომ ევროსტრუქტურა ააშენოს. ჩვენ უკვე როცა შევალთ ევროკავშირში და ეს არის ჭეშმარიტება, რომელზეც ყველა ლაპარაკობს, შევალთ იმ პოზიციებზე, ქვეყანა იქნება უფრო განვითარებული, ვიდრე აქვს პოლონეთს, ლიტვას, ლატვიას და ამას ვახერხებთ ჩვენი ძალებით, რა თქმა უნდა, დონორების და სხვების დახმარებით. ევრობაზარზე გასავლელად “პროდუქტიულობის აყვავებაც” ყოფილა საჭირო. სოფლის მეურნეობისა და ეკონომიკის დაბალი პროდუქტიულობა ყველა სფეროში “ძალიან ცუდი ამბავი” ყოფილა, მაგრამ ამავე დროს, ძალიან კარგი ამბავიც არის თურმე. ამ აბდაუბდა ნააზრევს მხოლოდ დარჩიაშვილი თუ გაიგებს, რომელსაც “ბევრი ეთნიკურად ქართველი “პოლიტიკურად ქართველად” არ მიაჩნია. ახლა ხომ გავიგეთ, რატომ ანგრევდა და ანადგურებდა ეკონომიკას და სოფელს, 2000 ლარად გლეხებს ვაზს რატომ აჩეხინებდა? თურმე იმიტომ, რომ დაბალგანვითარებულიდან უფრო მეტი წარმატებების მიღწევა შეიძლება. ასე ყოფილა, ჩვენ კი არ გვცოდნია. ჩვენი “დაბალგანვითარებული აზროვნებისთვის” ასეთი “დიდი სიბრძნეები” ჩაუწვდომელია. თურმე ყველაფერში დაბალი დონე იმიტომაა კარგი, რომ “მისი პროდუქტიულობის გაზრდა შეიძლება ძალიან ჩქარა და რა ცუდმა პროცესებმაც არ უნდა იყოს მსოფლიოში, (სტილი დაცულია. “შენი სახელი რა გვარაია” –ასეთი ფრაზაა) ჩვენ დაბალი დონიდან მოვდივართ და ამიტომ მაინც გავიზრდებით.”



“მიშას ღამეული ბოდვები”, თუ “ათას ერთი ღამის ზღაპრები” გრძელდება. არჩევნებამდე კიდევ ბევრი ასეთი სისულელის მოსმენა მოუწევს საქართველოს იმ მოსახლეობას, რომელიც რაღაც სიკეთის მოლოდინში, სააკაშვილის ტელევიზიებს მაინც მისჩერებია. მიშასვე სიტყვებით, ჩვენ ხომ ის ქვეყანა ვყოფილვართ, ბანკის “რომელი შენობის” სიმბოლოდაც სააკაშვილმა გვაქცია. ჩვენ ხომ ის ქვეყანა ვართ, სადაც “ბენდუქიძის ოყნის”, “პრომეთეს ქანდაკების”, “მიშას პამპერსის”, “ნინო და ალის”, “ველისაპეტის” შემდეგ, “ნაციონალური მოძრაობის ერთობის” გამომხატველ სკულპტურულ ჯგუფსაც ველოდით ამდენ ხანს. ისე ჰიტლერის უკუღმა მბრუნავი “სვასტიკის” მსგავსად, ორივე ბოლოში საჭეებიანი “ველისიპეტიც” მიშას გამოუვალი გზის — არც წინ და არც უკან წასასვლელის მაჩვენებელი შეიძლება გახდეს. “ნატოში” აღარავინ ეძახის, რუსეთი “ცუდ ქირურგიულ მანიპულაციებს” უქადის, საქართველოს აღარ უნდა. “მიტუააა” კი გახდა, მაგრამ საეჭვოა, ევროპაშიც მოუნდეს ვინმეს ასეთი! ამიტომაც ადგა და თავი რომ არ გადაგვავიწყოს, “ამდენ ნაამაგარს გვიტოვებს”. თავისი მმართველობის სრულყოფილი გამოხატულების სიმბოლოს გარეშე როგორ დაგვტოვებდა? ადგა და ქართველი ხალხის ხარჯზე მართლა ამ “ოჯახაშენებულმა” კაცმა და ფალოსების, ნაციონალებისთვის “ბიდეებთან ასოცირებული” შადრევნების შემდეგ, ახლა მთლად “კვერცხების კომპოზიცია” დადგა ბათუმის “რედისონ ბლუსთან”. ჯერ ეს “ბლუ” (ცისფერი) და ბლუკუნი ხომ ამათი საყვარელი საქმიანობაა. მერე “ევროპული ხელოვნებისა და კულტურის” ცოდნის დიდი გამოვლინებაც. ხელოვნებათმცოდნეებს, ფსიქოლოგების, ფსიქიატრებისა სექსოპათოლოგებისგან განსხვავებით — ამაზე პასუხი ჯერ არა აქვთ. არქიტექტორ კოკა ამირეჯიბს მიაჩია, რომ ეს, შესაძლოა, ავტორისგან აჭარის სიმბოლოდაც იყოს აღქმული (აჭარული ხაჭაპურის ასოციაციით). მაღიდან გამომდინარე თუ მივუდგებით — იდეა უფრო მიშას უნდა ეკუთვნოდეს. ან აჭარლემბა კვერცხებთან ასოცირება რით დაიმსახურეს? ელზა ფანტოცის „პოპ-არტის შედევრზე“ — კვერცხების კომპოზიციაზე მოგახსენებთ. ივანიშვილის ფულის გასაკალათ დაინტერესებულ ადამიანებს, რუსულანს ჩამოყვანიდან მოყოლებული, ყინულის მოედანით, მილიონიანი კარუსელით, ხულიოებისა და “ყავლგასული მომღერლების” ჩამოყვანაზე დახარჯულ თანხებზე რატომ არ უჩნდებათ შეკითხვა?

ბევრმა იმტვირა თავი, რას ნიშნავდა “ეს კვერცხებზე დადებული ფლოსტი”, მაგრამ პასუხიც ამაზე, როგორც სხვა დანარჩენზე, ისევ მიშამ გასცა “ყვარლის ტბის” გახსნისას. ტბას ილია ჭავჭავაძის “სიყვარულით”, “ილიას ტბა” დაარქვა. მოკლედ, “მიშას ზღაპრებს” თუ დავუჯერებთ, ილიას მოღვაწეობა და შემოქმედება სულ “თავიდან ბოლომდე გადაუბულბულებია”. “თავარი პოლიტიკური მეცნიერება დღემდე ჩემთვის მოდის ილია ჭავჭავაძისგანო”. ერთადერთი “ქვათა ღაღადისის მეცნიერებას” ვერ ჩაწვდა ეს კაცი დღემდე?! ვერტმფრენით იმიტომ კი არ დავფრინავ, რომ გზებს ვარიდებ თავს, არამედ იქედან ჩვენი დაპატარავებული ქვეყანა უფრო კარგად სჩანსო. (ამ დაპატარავებაშიც მე არაფერ შუაში ვარო?! — ბ.ა.) მოკლედ ეს დაგუბებული წყალსაცავი გავანათეთ, თოფურიძე კიდევ გაწმენდს და “თუ კარგად მოიქცევით, წყალსაც ჩაგისხამოთო”. ეს ტბა იმიტომ კი არ გავაკეთე, ჩემს კარმიდამოსთან ახლოს რომაა და ველოსიპედით წრეები რომ ვარტყაო. (ისევ წამოცდა) არა, ზაფხულის სიცხეში ერთად უნდა “ვიჭყუმპალაოთო”. ვაი, შენს საქართველოს, ყვარელში საჭყუმპალაოდ თუ ექნება მიშას კიდევ საქმე? შემდეგ წავიდა ჩვეული აგონიური ფრაზები: “რომ არც ერთ ეპოქაში, არც ერთ დამპყობლის (ისევ წამოცდა, რომ დამპყრობელია) არც ერთი მთავრობის, თუ დამოუკიდებელი საქართველოს პატარა პერიოდების დროს არაფერი აუშენებია იმდენი, როგორც ამ ბოლო ხუთი წლის განმავლობაში. (აქაც “ენამ გასცა”. ხუთი წლის შემდეგ, ოფიციალურად, არალეგიტიმურად რომ ზის — თავად აღიარა) ქუთაისელებსაც წამოაყვედრა, რომ ბათუმის შემდეგ უკვე ქუთაისი ხდება „საპარლამენტო დედაქალაქი”. აწი, ელოდეთ ქუთათურებო, ბოთლებში საჯდომებზე მობმული კალმების დამიზნებით მოხალისე დეპუტატებს მაქაურ პარლამენტში. იმაზეც ისაუბრა, რომ ილიას ეჭვი არ ეპარებოდა საქართველოს დამოუკიდებლობაშიო. თუმცა მიშა თვლის, რომ ქართველებს რატომღაც ღმერთი უწყრებათ და მონობის, ვასალის სურვილით, “ვიღაცის ერთი ადგილის ლოკვა უნდათ”. ეტყობა, აშშ-სთვის “ამ ერთი ადგილის ლოკვას” სხვანაირი გემო დაჰკრავს. აი, ამის შემდეგ იწყება ყველაზე საინტერესო. “გამიტუებული მიშიკო” უკვე თავს ვეღარ იკავებს და “კვერცხების საიდუმლოსაც” ეხდება ფარდა: “შეიძლება შენი ქვეყანა ისე არ გაფასებდეს და არ აყავხარ **კვარცხბეკზე,** როგორც შენ დაიმსახურე”. არ მოგესმათ. “კვარცხბეკიო”. მიშას “კვერცხბეკი” უნდოდა ეთქვა, მეგობრებო. ამიტომაც გამოუვიდა “კვარცხბეკი”, თორემ ქართული ენის არცოდნა აქ არაფერ შუაშია. “კვარცხბეკზე” სდომებია კაცს ასვლა ნერონისა და კალიგულასავით. თავისი პერსონის “კვარცხბეკს” ასე ღიად ვერ დაიდგამდა, ადგა და „კვეცხბეკი“ — „ნაციონალური მოძრაობა და ზედ დადებული ფლოსტით” დაიდგა კაცმა. მაცხოვრის აღდგომასთან და სააღდგომო კვერცხებთან რომ არა გვაქვს საქმე, ალბათ, მიხვდებოდით. ამ ე.წ. სკულპტურით თავისი გარემოცვის რეალური სახეც გამოაჩინა ამით და „კვეცხბეკზეც” ავიდა. რა მნიშვნელობა აქვს ახლა, „ვისი ფლოსტი” და „ჩვარი” გერქმევა, აშშ-ს, რუსეთის თუ „ცეერუს პაგონებიანი ცოლის”? ჩვენ კი თავს ვიმტვრევთ აქ, „აჭარული ხაჭაპურია“ ეს თუ კიდევ რამე სხვა. „კვერცხბეკია“, ბატონებო, მიშას „კვეცხბეკი“. „ნაციონალურ „კვეცხებს“ კი, ის გამოუსადეგარი „ფლოსტი“ ადევს, რომელსაც „ნახმარი ჩინური ფლოსტივით“ გადააგდებს მალე ქართველი ხალხი.

**ბაია ამაშუკელი**



# axali ZaliT axali saqarTvelosTvis anu isev Zveleburad, isev qvemZromulad



ანეკდოტი გავრცელდა, ბოკერიამ ჰკითხა სააკაშვილს: — ინგლისში, კონფერენციაზე თარგამაძეს (გიორგი) და გამყრელიძეს გაიყოლებ თუ ქარდავა-თარგამაძესო? სააკაშვილმა უპასუხა: — არა, ქარდავა არ მინდა, ჩემს ამ ნაცრისფერ პიჯაკს გამყრელიძე უფრო უხდებაო.

დავინტერესდი, ეს, ჩვენს პრეზიდენტად წოდებული კაცი, მუდამ რაღაც კონფერენციაზე დადის, ამჯერად რაზეა საუბარი-თქო, ყურადღება არ გამიმახვილებია თანმხლებ პირებზე. მგონი, ლოგიკურიცაა, — სააკაშვილი თარგამაძესთან ერთად გამყრელიძეს აიღევნებდა თუ ქარდავას, ან სამივეს ერთად, რა დიდი ამბავი და გამოსადევნებელია, მაინც კუდად ჰყავს მობმული სამივე (და არა მხოლოდ ისინი), თავთავიანთი პოლიტიკური შემადგენლობით და ლონდონშიც თუ გაასეირნა, რა მოხდა. მიპასუხეს, მსოფლიო დემოკრატების საერთაშორისო კავშირის ყრილობაზეა საუბარიო, სადაც სიტყვით უნდა გამოსულიყო თურმე სააკაშვილი.

**გაოცდი, დემოკრატიის მტერი მიშა რა სახის კავშირში იყო დემოკრატების მსოფლიო ყრილობასთან, ვერ მივხვდი. ჩემი თანამოსაუბრე იქით გაოცდა, ამ შეკრებაზე 45 ძირითადი და ასოცირებული წევრია მთელი მსოფლიოდან, მათ შორისაა „ნაციონალური მოძრაობაც“, არ იციო?**

მაინც ვერ დავიოკე ინტერესი, ჩავეძიე, იმ უცნაური შეკრების თუ ყრილობის წევრები, საკუთარ პოლიტიკურ პარტიებს წარმოადგენენ თუ თავიანთ ქვეყნებს-მეთქი. რა ვიცი მე, უყურე და სხვა რამით „ისიამოვნე,“ რაში გაინტერესებს სხვისი ამბავი, ჩვენი გვაქვს საგლოვიო, არადა, თვითონ სად ნახა ეს ამბავი და რომელ რიცხვში, ვერაფრით გაიხსენა.

ვინც ეძებს, ის პოულობსო, მართალი ყოფილა, — ვიპოვე და რა ვიპოვე, სააკაშვილის გვერდზე გუგულებივით მიმსხდარი გიორგი თარგამაძე და დავით გამყრელიძე. ისე ხმაშეწყობილად უკრავდნენ ტაშს ეს ჩვენი „დემოკრატი ყმაწვილები,“ დროული იქნებოდა სააკაშვილს ერთი კარგი დავლური ჩამოევლო შეძახილით „თქვენ გენაცვალეთ ბიჭებოოო!“

როგორც ჩანს, გიტარა და ჩქარი ტაში დემოკრატთა შეკრების (თუ ყრილობის) ფორმატში არ ჯდებოდა, ანდა, ქართული დემოკრატიისგან განსხვავებით, არასერიოზულად უყურებენ ამგვარ სერიოზულ საკითხებს. გენაცვათ, სააკაშვილი რომ დემოკრატიაზე საუბრით პირს აიქაფებდა, საქართველოს დემოკრატიულობის ხარისხით აღფრთოვანებულ შეკრების ყველა წევრს, საკუთარი ქვეყნის თუ ტომობრივი გაერთიანების თითო სავალდებულო საკულტო ცეკვა კი უნდა შეესრულებინა...

ერთი რამ ვერაფრით გავიგე ვერც მე და ვერც ბევრმა სხვამ, ეს ოხერი ქართული დემოკრატია ქართველებისთვის უხილავი ფორმით რატომ ვითარდება, მხოლოდ რაღაც უცხოური ორგანიზაციები რატომ ხედავენ მას?

ჯავრიშვილის კლინიკას რას ვერჩი, მაგრამ კი უნდა დაატყდეს თავს საქართველოს მოსახლეობის თითქმის მთელი და იმ „თვალხილული“ უცხოელების სრული შემადგენლობა, ლათინურად ოკულისტად და ბერძნულად ოფთალმოლოგებად წოდებულ თვალის ექიმებს, ან ჩვენ ავადმყოფ თვალებიდან ლიბრი, ან უცხოელებს. მსოფლიო „დემოკრატების“ სამკურნალოდ ოტიატრებიც გვჭირდება და ბარე ყველა განხრის ექიმი, მაგრამ ჩემი თანამოსაუბრის თქმისა არ იყოს, ჯერ ჩვენი თავი გვაქვს სამკურნალოც და საგლოვიც. აბა, ოპოზიციონერებად წოდებული „ყმაწვილკაცები“ რომ უკვე ასე აშკარად მიეხუტებიან მეჩეჩზე შეგდებულ ძირგამომპალი ხომალდის ჩასვრილ კაპიტანს, საგლოვი არ არის? რას ნიშნავს ეს, ერთგულებას უმტკიცებს, ვთქვათ, სამგზის (აბაშიძე, პატარკაციშვილი, საქართველოს მოსახლეობა) ღალატში ეჭვმიტანილი გიორგი თარგამაძე ერთგულებას ამ შემთხვევაში სააკაშვილს, საქართველოს მრავალგზის ღალატში ეჭვმიტანილ პირს?

გამყრელიძე რა, მუდამ ბახმაროს ნიავივით უბერავს, ხან აქედან მიუდგება სანუკვარ ოცნებას, რომელიც ცხადია, ქართული ოცნება არ არის, ხან იქიდან. აბა, ბიჭო?! დილიდან დილამდე მას არ სძინავს და არა სრულიად საქართველოს იმის ფიქრში, როდის იხილავს გამყრელიძეს საქართველოს პრეზიდენტად თუ არა, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარედ მაინც!...

**ვუყურებდი მსოფლიო დემოკრატების შეკრების ჩანაწერს და ვფიქრობდი, ნეტავ, როდინდელი ჩანაწერია, საქართველოს პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე რომ იყო და ეს სუბიექტები, ერთი, „მეწარმე და ექიმი“, მეორე — თვით შევარდნაძის, მესამე კი ასლან აბაშიძის კარის ბიჭი-თქო? — ქართველი „დელეგატების“ სამოსს დავაკვირდი და არა, რაღაც ახალმოდური ემოსათ.**

კარგი, ბატონო, ცოტა ხნის წინ წასულან, მაგრამ ვფიქრობდი, ვფიქრობდი და ვერაფრით მოვიფიქრე რაიმე ჭკვიანური, ისეთი, ამ სამი „დემოკრატის“ ლონდონურ დემოკრატიულ გულავს რომ ახსნიდა. არა, კი, მოვიფიქრე, მაგალითად, ის გამახსენდა, რაღაც ფულზე რომ იყო საუბარი, ტიგრან გულოიანის საზომით „მილიონ სჩემტოზე“, მაგრამ ის მილიონი და კიდევ „სჩემტო“ სხვებზეც იყო ნათქვამი და ისინიც რომ არ აიღევნა სააკაშვილმა, სხვა მიზეზსაც დავუწყე ძებნა.

**ეჰა, ბიძინა ივანიშვილის ღია წერილი გამახსენდა, ასე ვთქვათ, ქვეთავი „ვისთან ვერ ვითანამშრომლებ?“ და ღიადვე გაცემული პასუხი — ფსევდოოპოზიციურ პარტიებთან, რომლებიც ხელისუფლებასთან ფარულ გარიგებასა და კავშირში არიან, რომელთა მხრებზეც დგას სააკაშვილი, რამეთუ ეს ძალები უქმნიან სააკაშვილის რეჟიმს დემოკრატიულობის ფონს დანარჩენი მსოფლიოს წინაშეო.**

უი! — მსოფლიო დემოკრატების საერთაშორისო შეკრებაზე ორი ოპოზიციური პარტიის ლიდერი უნდა წაელალა, მათ გვერდით უნდა წარმდგარიყო სააკაშვილი, აბა, ტაშისკვრისგან ხელებგადაყვლეფილი „ვაჟკაცების“ ნაცვლად მისი რეჟიმის მიერ შვილებდახოცილ მამებს ხომ არ წაიყვანდა გაკოჭილებს და პირამოკერილებს...

ისევ ზემოთ ნახსენები ანეკდოტს უნდა მივუბრუნდე, ბაჩუკი ქარდავას ამბავი დამრჩა ბუნდოვანი, რატომ მოხვდა ანეკდოტში. უი! ივანიშვილმა ხომ თქვა, არ ვითანამშრომლებ „ქრისტიან-დემოკრატებთან“, „ახალ მემარჯვენეებთან“, „ედპ-სთან“ და ა. შ და დაამატა, ხელისუფლების დაკვეთას ასრულებენ: დავით გამყრელიძე, ბაჩუკი ქარდავა და ა.შ ხოლო გიორგი თარგამაძის პოლიტიკური საქმიანობა უამრავ საეჭვო მომენტს შეიცავს, დაწყებული ასლან აბაშიძესთან მისი თანამშრომლობით, გაგრძელებული ბადრი პატარკაციშვილის მიმართ მის მიერ ჩადენილი ღალატით და დამთავრებული იმით, რომ ღალატის საფასურად ხელისუფლებამ თარგამაძეს პარტია შეუქმნა, დაუფინანსა და გაყალბების გზით პარლამენტში შეიყვანაო...

ბაჩუკი ქარდავას ამბავი, მეგონა, გავარკვიე, ტკბილად დამეძინება ამაღამ-მეთქი, ვიფიქრე, მაგრამ ვერ მოვისვენე, ვწრიალებდი მაინც. თურმე რატომ, მერე გამოირკვა — სააკაშვილისთვის რჩევას ამზადებდა, მაქსიმალურად დაიცავი დისტანცია რუსეთთან და სვლა გააგრძელე დასავლეთისკენო. ეს რა რჩევა იყო, რამე შეატყო ნეტავ „ისეთი“, თუ შური იძია „ბუთხუზამ“ გამყრელიძე რომ არჩია სააკაშვილმა სალონდონოდ და საკბილო გადმოგვიგდო?

ერთი რამ კიდევ თქვა ფსევდოოპოზიციურ პარტიებთან დაკავშირებით ბატონმა ივანიშვილმა, ჩამოთვლილ ადამიანებთან (ჩამონათვალს თქვენ გადახედეთ მკითხველო) ვერ ვითანამშრომლებ, მაგრამ არ გამოვრიცხავ, ამ „ფსევდოების“ პარტიების ზოგიერთ წევრთან ურთიერთობას, თუ ისინი საკუთარი წარსულის რევიზიას შეძლებენო. ჰოო, ვფიქრობ, ანეკდოტის პერსონაჟების საქმე წასულია, ერთმანეთის მიყოლებით, სულ ბღუჯა-ბღუჯად გაეხიკებიან პარტიებიდან რევიზიაგავლილი წევრები...

ბარემ ახლა ერთიც ვთქვათ, ვიკითხოთ და მოვათავოთ, — ბატონი ივანიშვილის პოლიტიკურ ასპარეზზე გამოჩენისთანავე ცალკეული, პოლიტიკოსებად წოდებული პირები რომ აყვირდნენ, ივანიშვილი ხელისუფლებას აფინანსებდაო, ეს თვით დამფინანსებელმა საკუთარი პირით არაერთხელ გაიმეორა და განა არ იცოდა ვის აფინანსებდა თვით ხელისუფლება მისი გაღებული ფულით? — იცოდა. ჰოოდა, გამოდის, ახლაც იცის ბევრი რამ და არ ამბობს ბოლომდე... ჯერ...

ნისლიანი ალბიონის ამბავი ამოწურულად ჩავთვალე და ვიფიქრე, ახლა მაინც დამეძინება ტკბილად-მეთქი, მაგრამ კაცი ბჭობდა, ღმერთი იცინოდაო „ახალი ძალით ახალი საქართველოსთვის!“ — „ახალი მემარჯვენეები“, — ჩამესმა ყურში.

**ვინ ხართ ის ახალი ძალა, რომელ ახალ საქართველოზე მელაპარაკებით, ან ძველად რაღა ძალა გქონდათ და საერთოდ, რა უძლურება გჭირთ ასეთი, რომ ათი წელია სხვისი ჯიბის წურბელად ხართ ქცეული!**

**მთელი ამ პოლიტჭრიამულის ფონზე თარგამაძე (გიორგი) საეჭვოდ დუმს. ნეტავ, რას უნდა ნიშნავდეს ეს, თავისებური ნახტომისათვის ხომ არ ემზადება პატარა, მაგრამ მაინც დიდი ჟუმაკუნა?**

„ახალი ძალით ახალი საქართველოსთვის!“ — მაინც ტრიალებს არაფრისმთქმელი სარეკლამო რგოლი საქართველოს პრეზიდენტის ნაცრიფერ პიჯაკთან მისადაგებული ნაცრიფერი ლიდერის ფოტოებით. ამ კაცს საიუბილეო ყრილობა ჰქონია, თან რა ნომრით, დიდი 5-იანით გასამართი და პრეზიდენტს მის „შოპინგებზე“ უზრუნია, ჩვენ კი, სულ სხვა რამ გვეგონა. აბა?! ამ კაცს, თავისი პარტიის 10 წლის მუშაობა ჰქონია შესაფასებელი და 10 წლის წინ რომ პიჯაკი ეცვა, იმით ხომ არ იყელყელავებდა ამდენი ხალხის წინაშე.

როგორც შევატყე, კარგად ვერ უვაჭრია დავითს, აგვისტოს ომის აცილება შეიძლებოდა, მაგრამ სააკაშვილის ხელისუფლების უგუნური პოლიტიკით თავი ვტუცეთ პირდაპირ რუსულ ხაფანგშიო., — დაახეთქა. მერე, — ეს კი ასეაო, მაგრამ მთლად ასეც არ არისო, — ერთი-ორი „პაეზდკისთვის“ ის ტოტი არ მოჭრა, რომელზეც ღამურის შესაფერისად ჰკიდია და აჰ, იმას ვერ გავიზიარებ, რომ ომი ამათ დაიწყესო. (ვერ მოიშორა აქეთ-იქიოთ ქანაობის მავნე ჩვევა ამ კაცმა) მერე, ისეთები მოაყოლა, მეგონა უკვე პრეზიდენტი იყო და სამოქმედო გეგმას კითხულობდა. ბოლოს, დაგინებისმაგვარი მყარი პირობა დადო, თუ ჩემს პარტიას ამ ბოლო ცდაზე ვერ დავაბრუნებ პარლამენტში, გადავდგები პარტიის თავმჯდომარეობიდანო.

ისევ ძველებურად, ისევ ქვემძრომულად! — ტელევიზორსღა მივაძახე და ძილში ბოკერია მეზმანა, ერთგვარად შეფიქრიანებული ჩანდა...

**მაია ჭელიძე**

იხილეთ „საერთო გაზეთი“ ინტერნეტში
www.saertogazeti.net
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

# saakaSvilis 32 kloni da kiberSeteva biZina ivaniSvilis winaaRmdeg

ყველას გვახსოვს პირველი პრეს-კონფერენცია, რომელიც ივანიშვილმა თავის სასახლეში გამართა. ჩემი კოლეგების ქცევასა და ტელევიზიების უნამუსობაზე არაფერს ვამბობ, საქვეყნოდაა ცნობილი. უფრო საინტერესო ალბათ, ისაა, რა ხდებოდა ჰავლაბარსა შინა. როგორც ბოროტი ხმები ამბობენ, ბატონმა პრეზიდენტმა, რომელსაც ტრანკვილიზატორებმაც ველარ უშველეს, სიმწრისაგან საკუთარ დედას ხელი მოსტეხა, გარემოცვას გადაუტრიხინა პირდაპირი და ირიბი გაგებით, რამდენიმე ჰალსტუხი გაღეჭა და დღეს თუ უკანგასაკრავი ხალათი არ აცვია, ალბათ, კოკაინის დამსახურებაა. არ ვიცი, მაშინდელი ბოღმის შედეგია სოფო ნიჟარაძე კარგად ნაჟეჟი რომ წევს თურქეთის კლინიკაში და ვერა ქობალია კანადაში გასაქცევად ემზადება, თუ კიდევ სხვა ცოდვების შემსწრენიც გახლდნენ; ყოველ შემთხვევაში, ბატონი მიხეილისაგან ალიყური ნაცებს ბევრჯერ აქვთ ნაგემი. კარგად გვახსოვს ტვინშერყეული ბანძელაძე, ფეხმოტეხილი ბარამიძე, მაშინაც საგულდაგულოდ ნაგვემი ქობალია. უფრო ძველ ამბებს აღარ გავიხსენებ, მაშინ სოციალური ქსელები ასე ფართომასტაბიანი არ იყო და ხალხი ჭორს ძირითადად, ვერბალურად უზიარებდა ერთმანეთს, როგორც ასევე ბოროტი ენები სისინებდნენ, პრემიერიც მიშას მიერ ნასროლმა მძიმე საფერფლემ შეიწირაო. ჰოდა, აბა, უკვე ხმარებაში შემდგარი მინისტრი ან მომღერალი რა სახსენებელია.

ივანიშვილის პრესკონფერენციამ კი თურმე მთლად შეშალა საცოდავი. მაგრამ ხომ გაგიგიათ, დრო მკურნალიაო და მიშას პირველმა ეიფორიამ გაუარა, ამასთან, ხან თვითონ გაფრინგააფრინა, ხან სტუმრიანობაც დაემთხვა და ცოტა ჩაწყნარდა.

მეორე პრესკონფერენციამ, რომელიც რეგიონული მედიისათვის გაიმართა, გაცილებით მშვიდად ჩაიარა. ყოველ შემთხვევაში, მიკროფონისთვის თავ-პირი არავის დაუმტვრევია და არც პინგვინ-ბეღურებს დაუკავებიათ ესოდენ ძვირფასი საეთერო დრო. და რაც მთავარია, იმ ბეღურასავით არ გაუფრენია თავად პრეზიდენტს.

რამდენადაც ჰავლაბრიდან უსტარი მოვიდა, მიშა „სოფლელი" ჟურნალისტებისათვის გამართულ შეხვედრას შედარებით მშვიდად შეხვდა. სამაგიეროდ, ის რაც რეალურ სამყაროში ვერ ამოანთხიეს ნაცებმა გადატეხილი კიდურების სახით, ვირტუალში პრეზიდენტის შადრევანსაც აჯობეს. სოციალურ ქსელებს ამერიკული პეპლებივით შეესივნენ გაურკვეველი პროფილის ექაუნთები და წამოვიდა, მაგრამ რა წამოვიდა, ბრალდებების „ნიაღვარი" - ივანიშვილი - რუსეთის აგენტი, გამყიდველი, ლებედის დამფინანსებელი და ისევ თავიდან... მეტი ვერაფერი თქვეს, ცოტა ახლოს მაინც რომ ყოფილიყო სიმართლესთან. ხოლო ამ სამ ბრალდებას მაშინვე უქარწყლებდნენ საპირისპირო აზრის მქონე იუზერები დამაჯერებელი არგუმენტებით. მიხვდნენ რა, რომ მათი კომენტარები ხალხს უკვე სასაცილოდაც აღარა ჰყოფნიდა, თანაც ვაშაძე-ბენდუქიძის სახელებმაც ბევრჯერ გაიჟღერა, მერე უკვე უწმაწურ გინებაზე გადავიდნენ, როგორც თავად ბიძინა ივანიშვილის, ისე მისი ოჯახის წევრების მიმართ. გეგონება, რომ შეაგინებენ ამით ან სახელს გაუტეხენ ან თავს, მაგრამ ენას იფხანდნენ. ან სხვა რა უნდა გააკეთონ, ლოგიკა და განათლება ხელს არ უწყობთ, რომ სერიოზული კონტრარგუმენტები შეაგებონ, ნამუსი კიდევ - რომ გაჩუმდნენ. თანაც დავალება ზემოდან მოდიოდა და ისევ ენის ფხანა სჯობდა, მიშასგან გვერდების აქავებას. როგორც შემდეგ ერთ-ერთ ფორუმზე ამოვიკითხე „ბილწსიტყვობით მოსაუბრე, საერთოდაც და მით უფრო საჯარო სივრცეში, თავის უმწეობას ადასტურებს. ქართულ ტრადიციული ზნეობა-ეთიკისაგან განდგომა ციდამტკავლობის (სულხან-საბა) უტყუარი ნიშანია!"

თავიდან მართლა გავკვირდი, ნეტავ, ამდენი მომხრე კიდევ თუ დარჩა სააკაშვილს ამ ქვეყანაში-თქო. მაგრამ, როგორც მერე გაირკვა, თურმე „ივანიშვილის მეორე პრესკონფერენციას ხელისუფლება გაცილებით „მომზადებული" შეხვდა. 15.00 საათიდან



17.00-საათამდე სოციალურ ქსელ facebook-ში პრესკონფერენციის პირდაპირი ტრანსლირებისას ბიძინა ივანიშვილის ოფიციალურ გვერდზე (Bidzina Ivanishvili Official), განხორციელდა ინტერნეტ შეტევა. შეტევაში მონაწილობდა 32 „სააკაშვილის კლონი" და პროტოტიპის მსგავსად არგუმენტირებული რეაქციის ნაცვლად იყენებდა არანორმატიულ ლექსიკას. ბიძინა ივანიშვილის პრესკონფერენციას სააკაშვილის კლონებმა საქართველოს დღევანდელი პრეზიდენტისთვის დამახასიათებელი ლექსიკით უპასუხეს. Bidzina Ivanishvili Official გვერდის კომენტარების განყოფილება გაივსო ლანძღვა-გინებით და უწმაწური გამონათქვამებით როგორც თავად ბიძინა ივანიშვილის, ისე მისი ოჯხის წევრების მისამართით. ხელისუფლების პროპაგანდისტული დევიზი-„დასაქმდი და დაასაქმე"! ამ შემთხვევაში განხორციელებულად შეიძლება ჩაითვალოს – რითიც დასაქმდა სააკაშვილი, იმითვე დაასაქმა თავისი კლონები. გვინდა იმედი გავუცრუოთ, როგორც სააკაშვილის კიბერკლონებს, ასევე თავად პრეზიდენტს. თქვენმა ერთობლივმა გინებანარევმა ლექსიკამ დაადასტურა თქვენი უსუსურობა. გინება, გარდა იმისა რომ ავლენს ადამიანის ამორალობას, ასევე მიანიშნებს მის სისუსტეზე არგუმენტებში."

ერთ-ერთმა მომხმარებელმა არ დაიზარა და გაშიფრა ეს კიბერკლონები, რომლებიც ასე სტყვაკაზმულობენ ივანიშვილის კედელზე. როგორც ზემოთ ალვნიშნეთ, ისინი გაჭრილი ვაშლებივით გვანან ერთმანეთს, რადგან ერთი ადამიანის უნიჭო ფანტაზიის ნაყოფნი არიან:

„ყველამ შეამჩნია ალბათ, ბიძინა ივანიშვილის ფეისბუქის ოფიციალურ საიტზე მომრავლებული ტროლები, ჰოდა, ამ თემაში მოვახდინე ტროლების იდენტიფიცირება (ლუსტრაცია) უსაქმურობის ხარჯზე

მაშ ასე:

**ტროლი №1.**
**Nika Mumladze**

http://www.facebook.com/profile.php?id=100003160512214

არ ყავს არცერთი მეგობარი. პროფილი ახალია, პოსტავს, ძირითადად, ბიძინას ივანიშვილის ოფიაციალურ გვერდზე.

სურათი არ არის.

ეკუთვნის ვინმე მანფრედს გერმანიიდან, კერძოდ:

http://www.flickr.com/photos/mobilhomme/285907111/

**ტროლი №2.**
**Nikoloz Maisuradze**

http://www.facebook.com/profile.php?id=100...4393&sk=friends

პროფილი ახალია, ერთადერთი სურათით და ისიც მისი არ არის. პოსტავს ძირითადად, ივანიშვილის ოფიაციალურ გვერდზე. იყენებს უწმაწურ ლექსიკას. ჰყავს ერთადერთი მეგობარი ვინმე Guga kakulia, კაკულიაც შემჩნეულია ტროლინგში(დაწვრილებითი ინფორმაცია ქვემოთ).

**ტროლი №3**
**Guga Kakulia**

http://www.facebook.com/profile.php?id=100...8864977&sk=wall

**ტროლი №4.**
**Archi Tect**

http://www.facebook.com/profile.php?id=100...2583245&sk=wall

აქტიურობს მხოლოდ ივანიშვილის გვერდზე, არ ყავს მეგობრები, პროფილი ახალი დარეგისტირირებული. პროფილის სურათს თავისად ასაღებს სინადვილეში კი ეკუთვნის ვინმე გაბრიელა ამორიმ.

აღებულია ფლირკიდან:

http://www.flickr.com/photos/gingergirl/16...in/photostream/

**ტროლი №5.**
**Bacho Maisuradze**

http://www.facebook.com/media/set/?set=a.1...38974504&type=1

აქტიურობს მხოლოდ ივანიშვილის გვერდზე, პროფილი ახალი დარეგისტირირებულია, მეგობრებში ჰყავს სხვა ტროლინგში შემჩნეული უზერებიც. მაგ. ტროლი №1. Nika Mumladze.




პროფილის სურათს თავისად ასაღებს სინადვილეში კი ეკუთვნის ვინმე ვახო ცინცაძეს:

http://www.face.ge/users/vaxo538

**ტროლი №6.**
**Vaxtang Robaqidze**

http://www.facebook.com/profile.php?id=100...6737764&sk=wall

აქტიურობს, ძირითადად, ივანიშვილის გვერდზე (ან სხვა ანტი-ბიძინურ გვერდებზე), პროფილი ახალი დარეგისტირირებულია (თუ არ ვცდები, რამდენიმე საათის).

არ ჰყავს მეგობრები და არ უდევს საკუთარი ფოტო.

**ტროლი №7.**
**Miriani Santeladze**

აქტიურობს მხოლოდ ივანიშვილის გვერდზე(იყენებს უწმაწურ ლექსიკას) პროფილი ახალი დარეგისტირირებულია.

არ იყენებს საკუთარ ფოტო-სურათს. პროფილი რომ რეალურად წარმოეჩინა, ერთ დღეში დაუმეგობრდა 21 "random" ადამიანს:

Miriani დამეგობრდა Keti Oniani-თან და 3 სხვა ადამიანთან.

ბოლო აქტივობა

Miriani დამეგობრდა Tekle Kalandadze-თან და 8 სხვა ადამიანსთან.

Miriani დამეგობრდა Gvanca Tskitishvili-თან და 7 სხვა ადამიანთან.

Miriani -მ(ა) შეცვალა პროფილის სურათი."

**ტროლი №8.**
**Kusuna Kusunevna**

http://www.facebook.com/profile.php?id=100...6841774&sk=wall

აქტიურობს მხოლოდ ივანიშვილის გვერდზე, პროფილი ახალი დარეგისტირირებულია.

ჰყავს 56 მეგობარი, ყველა მათგანი დამატებულია ორ სამ დღეში.

პროფილის სურათს თავისად ასაღებს. სინადვილეში კი ეკუთვნის ვინმე გაბრიელა ამორის. (ისევე როგორც ტროლი №4.)

აღებულია ფლირკიდან:

http://www.flickr.com/photos/gingergirl/14...in/photostream/

**ტროლი №9.**
**Giorgi Jiqidze**

http://www.facebook.com/profile.php?id=100...5803470&sk=wall

აქტიურობს მხოლოდ ივანიშვილის გვერდზე, პროფილი ახალია თუმცა ჯერ კიდევ ოქტომბერში დარეგისტრირდა. არ იყენებს საკუთარ სურათს. ყავს 126 მეგობარი, ძირითადად კერძო ფირმები, არაოფიციალური გვერდები და რანდომ უზერები.

**ტროლი №10.**
**Ucha Gociridze**

http://www.facebook.com/profile.php?id=100003133551985

აქტიურობს მხოლოდ ივანიშვილის გვერდზე, პროფილი ახალია. იყენებს ვინმე ნიკა ერგემლიძის სურათს:

http://www.facebook.com/profile.php?id=100002639165085

არსებობს ასევე ერთი საინტერესო გარემოება, ყველა ტროლი BERA-ს უსმენს.

ნუ, დეტალურად აღარ ჩამოვწერ და ქვემოთ კიდევ მოგწვდით არასრულ სიას სავარაუდო ტროლებისა.(სავარაუდო იმიტომ, რომ არ გადამიმოწმებია ისე კარგად, როგორც პირველი 10)

http://www.facebook.com/profile.php?id=100...5551809&sk=wall

http://www.facebook.com/profile.php?id=100...8083984&sk=wall

http://www.facebook.com/profile.php?id=100...8556348&sk=wall

http://www.facebook.com/profile.php?id=100003139791572

http://www.facebook.com/profile.php?id=100...8268190&sk=wall

http://www.facebook.com/profile.php?id=100003140994849

http://www.facebook.com/profile.php?id=100003162137523 და ა.შ.

**P.S.** ამათ იმედზეა ნაც, მოძრაობა?! ნორმალურად მაინც შეენიღბათ".

მერე მოგვიანებით ისიც ამოვიკითხე, რომ თავად ბაჩო ახალაია ხელმძღვანელობს ამ კიბეროპერაციას და საერთოდ, ივანიშვილის წინააღმდეგ წარმოებულ კამპანიას და იმდენადაა დაკავებული, რომ სტუმრების მისაღებადაც არ სცალია. მაგრამ, როგორც ყველა სხვა, ესეც წარუმატებლად განახორციელა ჩვენმა ხელისუფლებამ. მათ სიტყვით კი არა, იარაღით და მუშტით შეუძლიათ მხოლოდ მოწინააღმდეგის დამარცხება. პოლემიკაში კი მუშტი არ ჭრის. ხოლო ის უნიჭო 32 მომხმარებელი, რომელიც სრულიად შესაძლებელია სულ სამი კაცი ყოფილიყო ქარტეხილის მერე დამდგარ ამინდს ვერ ცვლის. კარგად გავიხსენოთ, ჩვენ თვითონ რამდენჯერ გვაქვს გახსნილი ერთი და იგივე ქსელში გვერდი, თუნდაც იმიტომ რომ საჩუქრები გავუგზავნოთ ფერმაში საკუთარ თავს და ბევრი მეზობელი გვყავდეს. ალბათ სამი ცალი „მოზგი" უგულავას აწყობილ კომპიუტერებთან, თავს სულთამხუთავივით დასტრიალებდა ბაჩო-გროზნი და საკუთარ მენტალიტეტს აშეარებდა. თუმცა სულ ტყუილად!

ივანიშვილის ოფიციალურ გვერდზე რომ ჩაუვარდათ კოვზი ნაცარში, ახლა „ეშმაკობა" იხმარეს და თავად შექმნეს გვერდები ბიძინა ივანიშვილის სახელზე, სადაც ათასგვარ სიბინძურეს და თავიანთ აპოლოგეტებს უყრიან თავს, თუმცა ეს ერთმანეთისგან, მგონი, არც განსხვავდება. სააკაშვილის ნასუფრალით მაძღრებს, იუმორიც პრეზიდენტისგან უსესხებიათ და ქირქილით იქარწყლებენ პოლიტიკურ აგონიას. თუმცა ამას იუმორს მთალდ ვერ დავარქმევთ. თემები მრავალფეროვანი ნამდვილად არაა, აქაც რუსეთუმებასა და უანგაროდ გაწეულ ქველმოქმედებაზე ჰყვედრიან ივანიშვილს. მაგრამ განა რამდენჯერ შეატრიალებ ერთსა და იმავეს, ამიტომ ისევ ბილწისტყვაობას იშველიებენ და თავად ბატონი ბიძინას გარდა ოპოზიციურად განწყობილ საზოგადოებასაც იხსენიებენ სხვადასხვა ბრუნვაში. ჩემს მკითხველს პატივს ვცემ და მათ ლექსიკურ მარაგს აქ არ გამოვამზეურებ, თორემ ნახავდით რა მარგალიტები სცვივათ საინფორმაციო ღრუდან. კიდევ კარგი, პრეზიდენტმა კომპიუტერის კურსები მაინც გაატარა უფასოდ ამ ხალხს, თორემ ნაცმო რომ კუდით ქვას ისვრის თავის პრეზიდენტიანად, მერე რა უნდა აკეთონ, ვიღას ენდომება მათი დაუნაოჭებელი ტვინი და წაბილწული ლექსიკა. გინებაზე თუ მიდგა საქმე, ჩემი მეზობელი სურენა სამ ენაზე უშეცდომოდ აშენებს სართულებს.

და ბოლოს რადგან დღევანდელი ჩემი წერილი სოციალურ ქსელებში წარმოებულ ომს შეეხებოდა, იქვე ამოკითხული სიტყვებით მინდა დავასრულო: "რაც უფრო ახლოვდება 25 ნოემბერი, მით უფრო მწვავე და აქტიური იქნება თქვენი შემოტევა ყველანაირი ფორმით, მაგრამ არაფერი გამოგივათ. საქართველოს მოსახლეობა განახლების მოლოდინშია, წარმოდგენაც კი არ გაქვთ, რა მხარდაჭერა აქვს ბიძინას მოსახლეობისგან. „ქართული ოცნება" განხორციელებადი ოცნებააა, რომელმაც ფრთები უკვე გაშალა, მას ვერავინ და ვერაფერი შეაჩერებს."

◆ **ნოდარ მამისაშვილი**

# eWviani ar var, batono, jaWvliani var, magram bevr rameSi mepareba eWvi…

„საერთო გაზეთის“ სტუმარია მსახიობი **ᲡᲝᲡᲝ ᲯᲐᲭᲕᲚᲘᲐᲜᲘ**.

**— ბატონო სოსო, ხუდონჰესის მშენებლობა სვანეთს დიდ საფრთხეს უქმნის, რა ხდება, რატომ არ აქვს ამ ამბავს გამოხმაურება სვანებისგან, ქართველი საზოგადოებისგან? რა უნდათ, სვანეთის დალუპვა აქვთ გადაწყვეტილი?**

**ᲡᲝᲡᲝ ᲯᲐᲭᲕᲚᲘᲐᲜᲘ:** — კარგად ვხვდები, რატომაც უნდათ ხუდონჰესის მშენებლობა. ახლა წიაღისეული სიმდიდრე აინტერესებთ. ხეტყე ხომ გამოზიდეს, მაგრამ იქ ოქროც არის, ვოლფრამიც, დარიშხანიც, არა-



და იქ მართლმადიდებელი ბიჭები დააპატიმრეს. არ ვლაპარაკობ, ეს იყო მართალი თუ ის. ფაქტს აღვნიშნავ, ხომ ხვდებით, რას ვამბობ? მაგრამ, რა არის, იცით? ტყის საკითხზე აქუბარდია ყველას ალაპარაკებდა, სვანების გარდა. სვანები პირდაპირი ხალხია, ჯერ ამათი განეიტრალება იყო საჭირო, სხვას შედარებით იოლად მოევლებოდა.

ეჭვიანი არ ვარ, ბატონო, ჯაჭვლიანი ვარ, მაგრამ ბევრ რამეში მეპარება ეჭვი.

**— ეჭვიანი რომ იყოთ, რაში შეგეპარებოდათ ეჭვი?**

— აი, მაგალითად, ხალხო, გამოჩნდა ეს ღვთისნიერი კაცი, მარტო სამების აშენება ეყოფა მის ჯიშს და მოდგმას, ათასობით გაჭირვებულს და ავადმყოფს დაეხმარა, მაგრამ ეს კაცი რომ გამოჩნდა, ბაზე, ყველაფერს დავარქვათ თავისი სახელიო. გამიხარდა, გესმით, გამიხარდა.

ახლა გამოაცხადა სააკაშვილმა — ივანიშვილს ერთ ადგილს ულოკავენო.

მე ვეუბნები სააკაშვილს: ბატონო პრეზიდენტო, ესენი ნებაყოფლობით ულოკავენ, ზოგს ამერიკა ძალით ალოკინებს, რომელი ჯობს? ჰო, მაგრამ თუ ბიძინა ივანიშვილს ჩვენი მოთხოვნით მოქალაქეობას ვერ დავუბრუნებთ, ამ ლოგიკით რანაირად ვირჩევთ პრეზიდენტს? ჩვენ არავინ არაფერს გვეკითხება და ამ მოქალაქეებმა უნდა ივაჟკაცონ და მოაგებინონ ივანიშვილს არჩევნებში?

ფეხებზე ვკიდივართ ამ მთავრობას. კაცს, რომელსაც 18 ელჩი ეახლა სახლში, არაფრად ჩააგდეს და ჩვენ გაგვიწევს ვინმე ანგარიშს?!

**— არსებობს არგუმენტები, რომლებითაც, თურმე, ბიძინა ივანიშვილისთვის მოქალაქეობის ჩამორთმევა კანონიერი ყოფილა.**

— დავუშვათ, ასეთი რამე: შემომხვდა ნაცნობი, შემხედა და უსიტყვოდ გაიარა. თუ ვკითხავ, რატომ არ მომესალმე-მეთქი, რომ მიპასუხოს — იურიდიულად მაქვს უფლება არ მოგესალმოო, რა ვუთხრა ასეთ კაცს?

კანონი, შეიძლება, ასეც ამბობს, მაგრამ იურიდიულ კანონს ადა-

და, იცით, დარიშხანი ოქროზე ძვირია. ეს ისეთი საკითხია, რაზეც ბოლოს და ბოლოს ხალხმა ხმა უნდა ამოიღოს.

ახლა ნახეთ, რა ვერაგულად არის თემები შემოგდებული. საგანძურზე გადაიტანეს ვითომ ხალხის ყურადღება. დღეს შევხვდი სვანებს, შევიკრიბეთ. ვუთხარი: საგანძური კარგია, მაგრამ გაიხსენეთ, რა მოხდა გირგვლიანებთან, აფრასიძეებთან, ცალანებთან, ნორა კვიციანი ციხეში ზის, ბოლოს და ბოლოს, ჩვენ თუ გავწყდებით, ეს საგანძური სხვას დარჩება.

მე ერთი ჩვეულებრივი ადამიანი ვარ, ამ ქვეყნის შვილი, მაგრამ როცა დამიჭირეს და სიმართლის თქმის გამო ვიყავი დაპატიმრებული, ვშიმშილობდი, გამოსულიყო ვინმე, ეთქვა, რომ ასე და ასე ხდება. ეს უბრალო საქმე არ გააკეთე და ეროვნულ საგანძურს დაიცავ?

ორიოდე წლის წინ ორგანიზაცია „შუმერმა“ აქცია მოაწყო ეკონომიკის სამინისტროსთან, ჩამოვიდა ხალხი ზემო და ქვემო სვანეთიდან, აქციის მერე მითხრეს — მოდი, სოსო, „კავკასიაზე“ მივიდეთ. წამოდით ათამდე კაცი, ვინც ტელევიზიაში ილაპარაკებთ და წავიდეთ-მეთქი. დავურეკე აქუბარდიას. მპასუხობს: სოსო, დღეს არა. მაშინ ხვალ-მეთქი, ვეუბნები, არა ხვალაც ვერ მოხერხდება, მაშინ ჩემს გარეშე მოვლენ-მეთქი, ვაიმე, არაო, — იკივლა აქუმ. დავანებე თავი რაღაცის გამო შეშინებულ აქუბარდიას და ჩემთვის ვფიქრობ: ახლა რომ გამოვიდე და აქუბარდიაზე ვთქვა, რასაც ვფიქრობ, იტყვიან: რა შეაწუხა გული ჯაჭვლიანმა, არავინ არ მოსწონს?!

დავამშვიდე სვანები, გავუშვი უკან. გავიდა, მგონი, ერთი წელი „ნაძირალ-ტრესტიდან“ წამოვიდა ასეთი ნიაღვარი: რა უნდა პოლიტიკაში, ჩვენ მაგაზე სანთლებს ვანთებდით, ეს კიდევ პოლიტიკაში მოდის. გაგიჟდები კაცი. თან ისეთი ადამიანები ამბობენ ამას, 5000 და 6000 რომ ღებულობდნენ ივანიშვილისგან. თუ ასეა და, რუსული წარმოშობის ფულად მიაჩნიათ ეს თანხა, გამოვიდნენ და თქვან ვაჟკაცურად: ველარ დავაბრუნებთ, მაგრამ აწი აღარ გვინდა, ბატონო, ივანიშვილის ფულიო.

მოკლედ, შემოვიდა ეს ადამიანი და დაიწყო საქართველოში სხვანაირი გუგუნი, რაღაც არაჩვეულებრივი. რა გააკეთა ხელისუფლებამ? მოქალაქეობა მოუხსნა, მერე ბანკი დაუყაჩაღა…

არავის ეგონოს, ვინმეს დავემონო. ამირან ჯაჭვლიანის შვილი ვარ, ყველაზე დიდი ავტორიტეტი ის იყო და არის ჩემთვის, ამიტომ ვამბობ, როცა თქვა, რომ ყველას შევეკითხები ფულის წარმომავლო-

მიანი ყველაფერს ვერ მიუსადაგებ, არსებობს მორალური კანონები…

ხომ ხედავთ, რა სიტუაციაა?! განძიო, განძი კი არა, საკუთარი თავი ვერ დაგვიცავს და აღარ ვიცით, ხვალ რა მოგველის.

კანონს ვემორჩილებით? კანონს კი არა, სააკაშვილს ვემორჩილებით. ჩვენი მდგომარეობა იცით, რას ჰგავს? — კაცს რომ აუპატიურებენ და მუხლებთან ხმალ-ხანჯალი რომ უყლარუნებს. ეს რა არისო? — რომ შეკითხნენ, პასუხობს: ეს იმიტომ მჭირდება, შეურაცხყოფა რომ არავინ მომაყენოსო.



ამ ხელისუფლებას როცა მოეპრიანება, მაშინ ახსენდება კანონი. მაინტერესებს, რომელი კანონით იმოქმედეს „ქართუ-ბანკის“ ინკასაციის მანქანა რომ დააყაჩალეს?

ეს ხელისუფლება არის დამპყრობელი, ხოლო ასეთ სიტუაციაში კანონი არის ხალხი. ათასჯერ ვთქვი და კიდევ გავიმეორებ — მე ხომ შემიძლია მოვეფარო თვალს და ჩემი თავი დავიტირო?! თუ სხვა არაფრის გაკეთება არ გვინდა, გზა არ გადავკეტოთ, ფოთოლი არ შევარხიოთ, მაშინ ავიდეთ დიდგორზე და ვიტიროთ ხმამაღლა, დავიშინოთ თავში ხელები.

ქართველმა ხალხმა ყოველთვის გაკეთა ის, რაც გასაკეთებელი იყო, მართალია, ზოგიერთი ქართველ ხალხს საქონელს უწოდებდა, ზოგმა პოლიტიკური სახრჩობელაც მიუსაჯა, მხარი რატომ არ დამიჭირეთო, ქართველი ხალხი არ იყო, არაერთხელ რომ გამოვიდა ქუჩაში საპროტესტოდ. 300 000 ადამიანი რომ იყო სტადიონზე თავმოყრილი, რა შედეგი მოჰყვა ამას? ზოგიერთები სააკაშვილს ეკურკურებოდნენ თურმე ჩუმად. ესაა საქმე? წინამძღოლი არ ჰყავს ამ ხალხს, თორემ, ასე დაბეჩავებული არ ვიქნებოდით.

ანეკდოტი გამახსენდა ამ ამბავზე. ერთი კარატისტი ხვდება მეგობარს. კარატისტს სახე დალილავებულ-დალურჯებული აქვს, დასიებული და დაბეგვილია.

მეგობარი ეკითხება: ვინ გცემა, ბიჭო, შენ, ასეთ ძლიერ კარატისტსო?

— მე უკონტაქტოს ვეჩხუბებოდი და იმან კონტაქტურით შემომიტიაო.

სააკაშვილი კონტაქტურშია ჩვენთან და სანამ ჩვენ უკონტაქტოდ ვეჩხუბებით, მანამდე დედას გვიტირებს ყველას.

**ᲘᲠᲐᲜᲓᲐ ᲙᲐᲚᲐᲜᲓᲐᲫᲔ**

# `Tu xar diqtatori, qarTlis dedis magivrad unda dadga traqtori~



„საერთო გაზეთის სტუმარია“ პოეტი **ᲯᲐᲜᲡᲣᲚ ᲩᲐᲠᲙᲕᲘᲐᲜᲘ**.

**— ბატონო ჯანსულ, როგორ შეაფასებთ ბიძინა ივანიშვილის გამოჩენის შემდეგ შექმნილ რეალობას?**

— ბიძინა ივანიშვილს ქართველი ხალხი უკვე ძალიან დიდი ხანია იცნობს, რა თქმა უნადა, კარგი საქმეებით. იგი ვერ მიაღწევდა იმ წარმატებებს, რომ არ ყოფილიყო კარგი დიპლომატი და პოლიტიკოსი. ბატონი ბიძინა ძალიან თავმდაბალი ადამიანია, მაინცდამაინც არ უყვარს საზოგადოებაში გამოჩენა, ამიტომაც ქართველების უმრავლესობა არ იცნობდა.

ფაქტია, ივანიშვილი სიმართლისთვის მებრძოლ ადამიანებს არ დააკავებს, პირიქით, ხელს შეუწყობს სამართლიანი და დამოუკიდებელი სასამართლოს არსებობას. ვფიქრობ, მაქსიმალურად ეცდება მინიმუმამდე დაიყვანოს პატიმრების და პოლიტპატიმრების რაოდენობა. დღემდე თუ აფინანსებდა მწერლებს, მსახიობებს, აკადემიკოსებს, ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ ყველაფერს ისე გააკეთებს როგორც ქართველებს შეეფერება, ასე მგონია მე.

**— თუმცა ივანიშვილისთვის მთავარ წინაღობას საქართველოს მოქალაქეობის არქონა წარმოადგენს. ამ საკითხის მოგვარებაში სოლიდარობა საზოგადოების უმრავლესობამ და საქართველოს პატრიარქმა გამოუცხადეს, გამოიღებს ეს აქტივობა რაიმე შედეგს?**

— დარწმუნებული ვარ, ეს მთავრობა მალე წავა და თუ კეთილგონიერებას გამოიჩენენ და მას მოქალაქეობას დაუბრუნებენ, მათთვისვე იქნება უკეთესი.

**— რა გაძლევთ იმის თქმის საფუძველს, რომ მიშას ხელისუფლება მალე წავა?**

— სიმართლის დასაცავად ასე აღტყინებული საზოგადოება დიდი ხანია აღარ მინახავს. ივანიშვილი კარგი პოლიტიკოსი რომ არ ყოფილიყო, პოლიტიკურ პარტნიორად შემთხვევით არ აირჩევდა ირაკლი ალასანიას. ირაკლი არის ვაჟკაცური ადამიანი, არავისთან შემძვრალი არ ყოფილა.

**— ივანიშვილი ნინო ბურჯანაძესთანაც აპირებს კონსულტაციებს.**

— ბიზნესმენმა აღნიშნა, რომ თითქმის ყველა პოლიტიკურ პარტიასთან ექნება კონსულტაციები, სხვანაირად არც შეიძლება. დანარჩენი ოპოზიციონერებიც თუ ქვეყნისთვის სასიკეთო საქმეებს გააკეთებენ, არა მგონია, მათთან ურთიერთობაზე უარი განაცხადოს. თუმცა, პირველ ეტაპზე, ურთიერთობა ექნება თავისუფალ დემოკრატებთან და რესპუბლიკელებთან.

**— ბიძინა ივანიშვილი აპირებს ქართველებს ქართული ოცნება აუხდინოს, როგორ წარმოგიდგენიათ ქართული ოცნება, რაზე უნდა გაკეთდეს აქცენტები?**

— მეორე პლანზე უნდა გადავიდეს გზები და შადრევნები. ახალ გაკეთებულ გზაზე მშიერი და მათხოვარი ადამიანი არ უნდა დადიოდეს. ქართველ კაცს საბჭოთა კავშირის პერიოდში ჰქონდა მედიცინა ფულის გარეშე, სწავლა-განათლება, სამსახური და არ ჰქონდა თავისუფლება. დღეს კი რაც გვქონდა, ისიც დავკარგეთ და აღარც თავისუფლება გაგვაჩნია.

მიხეილ სააკაშვილმა დავით აღმაშენებლის ძეგლთან დადო საპრეზიდენტო ფიცი, შემდეგ კი დავით მეოთხის ძეგლი გადაიტანა და მის ადგილას რამდენიმე დღის უკან გრანდიოზული ველოსიპედის ქანდაკება დადგა. ამაზე დიდი უბედურება რაღა შეიძლება მოხდეს. უკეთესი იქნებოდა მიხეილ სააკაშვილს ქართლის დედის მაგივრად ტრაქტორი დაედგა. თუ ხარ დიქტატორი, უნდა დადგა ტრაქტორი.

**ᲛᲘᲠᲐᲜᲓᲐ ᲜᲐᲑᲐᲮᲢᲔᲕᲔᲚᲘ**

# pirdapir vTqvaT, xelisuflebasTan erTad opoziciasac ar unda biZina ivaniSvilis moqalaqeoba daubrundes

*გვესაუბრება მწერალი*
***მერაბ შათირიშვილი.***

— ყველა ვთანხმდებით ერთ რამეში — ივანიშვილის გამოჩენა ქართულ პოლიტიკაში რომ პოზიტიური მოვლენაა, ამას დამტკიცება აღარ სჭირდება, მაგრამ ის ეიფორია, რაც საზოგადოებაში გაჩნდა, არ არის მთლად სახარბიელო. სიმართლე უნდა ითქვას, თუმცა სიმართლის თქმა საქართველოში, გარიყვის საწინდარია. სიმართლე არც ოპოზიციას აწყობს, არც ხელისუფლებას. საერთო ჯამში, სიმართლე მწარეა, მაგრამ ხშირად, უებარი წამალიც არის.

სანამ ეს ადამიანი გამოჩნდებოდა, ქართული პოლიტიკური არეალი ასე გამოიყურებოდა — განადგურებული ოპოზიცია, დახოცილი ადამიანები, ყველა მიტინგი დარბეული და უშედეგოდ დამთავრებული, წყალსგატანებული 100 000 ადამიანის პროტესტი, ხელისუფლებას ერთხელაც კი უკან არ დაუხევია, ამას მშვენივრად ხედავდნენ არა მხოლოდ საქართველოში, მსოფლიომაც კარგად უწყის, რაც აქ ხდება.

მოსალოდნელი იყო, რომ არჩევნებზე სააკაშვილი და მისი ე.წ. გუნდი წარმოგვიდგებოდა, როგორც ერთმნიშვნელოვნად გამარჯვებული პარტია, არ არსებობდა ნაცმოძრაობის ალტერნატივა 2012 წელს „ნაცმოძრაობა" და სააკაშვილი, ფაქტობრივად, ყალიბდებოდა, როგორც დიქტატორული მმართველობა.

ამ დროს ივანიშვილი აცხადებს, რომ ის მთავრობაში მოვა ორი მესამედით. ეს, სხვათა შორის, მოსალოდნელიც იყო, მაგრამ, ნახეთ, რით პასუხობს ხელისუფლება — ჩამორთვა მოქალაქეობა და მისი სტატუსი ჰაერში გამოკიდებული დარჩა. ამ ადამიანს პოლიტიკური აქტივობის ყველა შესაძლებლობა ჩამოერთვა, რაღაც დროის შემდეგ ადვილი შესაძლებელია, ემიგრაციაც დაემუქროს. რა გამოვიდა? — ხელისუფლებამ ივანიშვილს, დაუტოვა ის შესაძლებლობა, რომ დარჩეს ნახევრად პოლიტიკოსი, ეს ნიშნავს: კანონიერად ხელიუფლებაში მოსვლის ყოველგვარი შანსი მოსპობილი აქვს. რაც შეეხება სააკაშვილს და მის დიქტატორულ რეჟიმს, მან შეცვალა ტაქტიკა და ცდილობს ივანიშვილი დემოკრატიული ფონისთვის გამოიყენოს.

**— მაგრამ სად იქნება აქ ოპოზიციის ადგილი?**

— ის ოპოზიციური ძალები, რომლებიც დაირაზმნენ ახალი ძალის გარშემო და ამ რიგს, სავარაუდოდ, კიდევ ბევრნი შეუერთდებიან, ივანიშვილის ფაქტორს მკვდრეთით აღდგომისთვის გამოიყენებენ, ხოლო ივანიშვილს, რომელსაც არ აქვს საქართველოს მოქალაქეობა და უფრთხის რუსული პროექტის იარლიყის მიკერებას, იძულებით ფრთხილი და დამთმობი იქნება ოპოზიციის მიმართ, რათა არ დაკარგოს ისინი, როგორც საყრდენი.

ხელისუფლებას საარჩევნო მანქანა როგორც ჰქონდა ჩართული, ისე აქვს დღესაც, ის კი არა, რამდენადმე გააძლიერეს კიდევაც. დიასპორებთან განსაკუთრებით აქტიურობენ. კიკაბიძე ჩაიყვანეს და ამღერებენ, რითაც იქ თავისებურ პროპაგანდასაც ეწევიან, ვიცით მათი საარჩევნო მანიპულაციები, ყველა და ყველაფერი აღრიცხული აქვთ. თუ ბოლომდე მივყვებით, ყველაფერი კონტროლქვეშ აქვთ უბნის ინსპექტორამდე, სადარბაზომდე, თითოეულ სოფელში რამდენი ხმა აქვთ, ის იციან. ამ საარჩევნო მანქანას თუ ვერ შეაჩერებს ივანიშვილის ფაქტორი, მერწმუნეთ, იგი უძლიერეს ძალად გადაიქცევა და 2012 წელს პირწმინდად მოიგებს არჩევნებს. თან გამოაცხადებს და მსოფლიოსაც დაანახებს, რომ ძლიერკონკურენტუნარიან გარემოშიც კი გამარჯვება მოიპოვა. მსოფლიოც იტყვის — ნაციონალები იმდენად ძლიერი და პოპულარული არიან ქვეყანაში, რომ მათ მოიგეს მძაფრ კონკურენტუნარიან გარემოშიც კიო.

ამ დროს შესანიშნავად ვიცით, რომ ივანიშვილი. არავითარი სტატუსი არა აქვს და მისი ყოველი პოლიტიკურ ნაბიჯი ირიბად უნდა გადაიდგას. პოლიტიკაში კი ირიბად გადადგმული ნაბიჯებით შედეგს ვერ მაიღწევ.

**— ივანიშვილი დღესაც, არჩევნებამდეც არასახარბიელო პოლიტიკურ მდგომარეობაში ჩააყენა ხელისუფლებამ. არ მეთანხმებით?**

— დიახ, რა თქმა უნდა. წაართვეს მოქალაქეობა, დაუტერორეს ბანკი, მაგრამ აძლევს საზოგადოებასთან შეხვედრის შესაძლებლობას, ხელს არ უშლის შექმნას სამოქალაქო მოძრაობა, ალიანსიც, მაგრამ ყველანაირად ლოკალიზებულს ხდს მოქმედებებში, ზღუდავს.

მოდით, ასე ვიტყვი, ქართული პოლიტიკური კაზინო ერთ კაცს ეკუთვნის და იქ ვინც შევა, წინასწარ უნდა იცოდეს — აუცილებლად გაყვლეფენ და გააკოტრებენ. თუ მაინცდამაინც შეხვალ, მათ მიერ დაწესებული კანონებით კი არა, საკუთარი წესებით უნდა ითამაშო.

გამორიცხულია, ნაცმოძრაობის მახეში თავი შეყო და მერე იქიდან უვნებელი გამოხვიდე. ჩათვალე, რომ თავი ძალადობით გაქვს უკვე მოჭრილი და მოცელილი...

**— ე.ი. დარჩა ქუჩის პროტესტი.**

— ხშირად სვამენ ასეთ კითხვას.



**პირდაპირ მინდა ვთქვა — ვისაც ეშინია, დადედლებული და დაშინებულია. სააკაშვილმა რაც აქ ყოფნის განმავლობაში ჩაიდინა: ტერორი, ცემა, დაჭერა, დახვრეტა, ხალხის დაწამლვა, გაზის გაშვება — ვეღარ გაიმეორებს, ხალხო.**

**მე არ ვამბობ იმას, რომ ქუჩაში გამოვიდეთ იმ განზრახვით — მანქანები დავამტვრიოთ, შენობებს ცეცხლი მოვუკიდოთ, ყველაფერი დავლეწოთ. არა, ბატონებო, გამოვიდეთ და გამოვხატოთ ჩვენი პროტესტი იმის გამო, რომ საქართველოში დაბადებულ ერთ ადამიანს, რომელსაც სიკეთის და მადლის მეტი არაფერი გაუკეთებია, საქართველოში მოქალაქეობა ჩამოართვეს.**



ამ კაცს რომ მოქალაქეობას ართმევენ, რა გარანტია გვაქვს, რომ ჩვენ, უბრალო მოქალაქეებს ხვალ უარესს არ გვიზამენ? ამაზეა ლაპარაკი. რომელ არჩევნებზე ვფიქრობთ, ხალხო, ადამიანს საქართველოში ყოფნას უკრძალავს სააკაშვილი და არჩევნებში ჩემს ხმას ანგარიშს გაუწევს? ეს ხომ აბსურდია?!

ნიჰილიზმი ხალხში ერთბაშად არ ჩნდება, ნელ-ნელა, ნაბიჯ-ნაბიჯ. თუკი ივანიშვილმა, რომელსაც მოქალაქეობა ჩამოართვეს, პოლიტიკური აქტივობა შეუზღუდეს და უკან დაიხია, ხალხი ხედავს, რომ მისი გმირი ერთხელ უკვე დამარცხდა და მას შემდეგ ბრძოლებში იმედიანად უკვე ვეღარ გაჰყვება.

**— როგორ გამოვიყენოთ? არავითარი მიტინგი, არავითარი ქუჩა, კანონის ფარგლებში ვიმოქმედოთო — ამბობს ბატონი ბიძინა. ასეთ შემთხვევაში ხალხმა რა გააკეთოს?**

**— გეკითხებით და მიპასუხეთ, რომელი მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება იქნა მიღებული მსოფლიოში, ხალხის ზეწოლის გარეშე? სადაც არ არის მიტინგი, დემონსტრაცია. ჩვენ არ უნდა მოვითხოვოთ ახლა გადადგეს სააკაშვილი, ან მსგავსი რადიკალური პრეტენზიები, ჩვენ უნდა მოვითხოვოთ ერთადერთი რამ — დაუბრუნდეს მოქალაქეობა ბიძინა ივანიშვილს. სხვა შემთხვევაში „ქართული ოცნება" დარჩება ოცნებად.**

**— ხალხი ხელმოწერებს აგროვებს ივანიშვილისთვის მოქალაქეობის დაბრუნების მოთხოვნით. ეს არ იქნება ეფექტური?**

— მივესალმებით „ჯაზუში" შეკრებილი პატიოსანი ადამიანების სურვილს და ინიციატივას, მაგრამ ხელმოწერების შეგროვება არაფრის მომტანია. ანაბრები შეაქვთ „ქართუ ბანკში", მოსაწონია ეს, მაგრამ ესეც არაფრის მომტანია. ასე რომ, თუ ივანიშვილი არ გახდება საქართველოს მოქალაქე, ის ყოველთვის იქნება დამოკიდებული იმ ოპოზიციურ პარტიებზე, რომლებმაც არაერთი ლაბირინთი გამოიარეს და ივანიშვილზე მეტად გაწვრთნილი არიან ამ კუთხით.



**100 000-მა ადამიანმა ხელი უკვე მოაწერა, მაგრამ, ვნახავთ, რა შედეგი ექნება ამას. ხელმოწერების ფრიალი აინტერესებს ზუსტად ამ ხელისუფლებას. ჩვენ მოვაწერთ ხელს და ეს ქაღალდები ბოლოს მოხვდება სააკაშვილის საქაღალდეში თაროზე. თუნდაც მთელმა საქართველომ მოაწეროს ხელი, აინუნშიაც არ ჩააგდებენ, მაგრამ ქუჩაში გამოსულ ხალხს ვერ უგულებელყოფენ.**

ჩემმა მოგვარემ ზაზა შათირიშვილმა ივანიშვილს ზნეობრივი პოლიტიკოსი უწოდა. მე ვეთანხმები ამაში, მაგრამ ივანიშვილს, სამწუხაროდ, გვერდით არა ჰყავს ზნეობრივი პოლიტიკოსები, მას უხდება უზნეოთა ჯართან ჭიდილი და ამ შემთხვევაში ზნეობრიობა წამგებიანი რამ არის.

მერე არჩევნებში რომ უმრავლესობა ვერ მოიპოვოს ივანიშვილმა, ეს უზნეო პოლიტიკოსები იქვე ჩვენ მოგვიბრუნდებიან და ხალხს დაგვაბრალებენ, გვეტყვიან — ხმა არ მიეცით და ჩვენ რა გაგვეკეთებინაო. ივანიშვილს მოქალაქეობა წაართვეს და ჩემს ხმას რომ წამართმევენ არჩევნებზე, ეს ხომ ფაქტია უკვე.

**— მალე საზოგადოებრივი მოძრაობა შეიქმნება.**

— იმ ორგანიზაციაში ისეთ ხალხს თუ არ მიიწვევენ, ვინც არაერთხელ შეურიგებლად ებრძოდა ამ რეჟიმს, ეს მოძრაობა, ფაქტობრივად, ბავშვურ თამაშად დარჩება შეიძლება. ამ კეთილშობილ კაცს ყველაფერი კარგი რომ უნდოდეს, სურვილი ერთია, განხორციელება მეორე.

**ირანდა კალანდაძე**

იხილეთ „საერთო გაზეთი"
ინტერნეტში
www.saertogazeti.net
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

**ინტერვიუ გლდანის ივერიის ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ეკლესიის წინამძღვართან მამა ბასილ მკალავიშვილთან.**

**— მამაო, როგორ ფიქრობთ, ბიძინა ივანიშვილი შეძლებს ხელისუფლებაში მოსვლას?**

— სახელითა მამისათა და ძისა და სულისა წმიდისათა, ჩვენთან არს ღმერთი!

სანამ თქვენს შეკითხვას ვუპასუხებდე, მინდა სრულიად საქართველოს მართლმადიდებელ საზოგადოებას გიორგობის დღესასწაული მივულოცო. წმინდა გიორგი ფარავდეს ჩვენს მრავალტანჯულ ქვეყანას!

ახლა, რაც შეეხება თქვენს კითხვას. მინდა გითხრათ, რომ, დღევანდელი გადასახედიდან, თითქოს ყველაფერი წესრიგშია, მხოლოდ ისღა დაგვრჩენია, დავტკბეთ ცხოვრებით, ასე წარმოაჩენს დღევანდელი ხელისუფალი საქართველოს მსოფლიოსა და ქართველი მოსახლეობის თვალში. არადა, სინამდვილეში მოსახლეობის უმრავლესობა გაუსაძლის პირობებში ცხოვრობს.

სასოწარკვეთილებაში ჩავარდნილთათვის, როცა ყოველი იმედი გადაწურული იყო, ღვთის განგებით, გამოჩნდა ადამიანი, რომელიც შველას ჰპირდება ხალხს. მიუხედავად ბევრჯერ იმედგაცრუებისა, საზოგადოებამ ირწმუნა მისი, იქედან გამომდინარე, რომ მრავალი კეთილი საქმე აქვს გაკეთებული. გასათვალისწინებელია ისიც, რომ ივანიშვილისთვის შეუძლებელია ერთბაშად ყველა გასაჭირს უშველოს, მაგრამ ცხოვრების პირობების გარკვეულწილად გაუმჯობესებაც დიდ შეღავათს წარმოადგენს უაღრესად შეჭირვებულთათვის. ამასთანავე ხალხმა გაიგო, რომ სააკაშვილის ხელისუფლების პერიოდში რაც კეთდებოდა — გზების დაგება, შუქი, ყველაფერს ივანიშვილი აკეთებდა, ამიტომ მას დიდი მხარდაჭერა ექნება და მოვა ხელისუფლებაში.

მთავარია, ბატონმა ბიძინამ ღვთის განგებით იაროს და ექნება შველა უზენაესისგან. მიბაძოს დავით აღმაშენებელს, თამარს, ვახტანგ გორგასალს. მხოლოდ ამ გზით, ღვთის განგებით და ხალხის თანადგომით მიაღწევს მიზანს.

**— თქვენ, როგორც მადლმოსილი მოძღვარი, რას ურჩევდით მას?**

— ჩემი პოზიცია უკვე დავაფიქსირე ერთ გაზეთში. მგონი, მეტნაკლებად მიცნობთ, პირფერობა ჩემგან შორს არის. ახლა თქვენი გაზეთით ვისარგებლებ და განვაცხადებ, ღვთის მსახური ვარ, განვლილი ცხოვრება ერის ინტერესებისა და სარწმუნოების დაცვისათვის გამიტარებია, დღესაც იგივეს ვაგრძელებ. აქედან გამომდინარე, დღეს, როცა ივანიშვილის ირგვლივ მიმდინარე მოვლენები ფრიად აქტუალურია, თავს ვალდებულად ვთვლი, ვურჩიო მას: ბატონ ბიძინას უნდა ჰყავდეს მრჩეველი რელიგიურ დარგში ისე, როგორც დავით აღმაშენებელს გიორგი ჭყონდიდელი, რადგან ღმერთის საწინააღმდეგოდ გადადგმული ყოველი ნაბიჯი და აქედან გამომდინარე, არაკანონზომიერი ქმედება, მის საწინააღმდეგოდ წარიმართება.



# patriarqisgan ufro damajerebel da kategoriul gancxadebas velodi

პიროვნებები, რომლებიც სააკაშვილთან ერთად ძალისმიერი მეთოდით მოვიდნენ ხელისუფლებაში და მასთან ერთად ძირს უთხრიდნენ ისედაც დანაწევრებულ ქვეყანას, დღეს ფსევდოოპოზიციაში გადაბარგდნენ და უკვე დანგრეულ საქართველოში ახლა თითქოს მიხვდნენ, ვინ არის სააკაშვილი და ვერ, უფრო სწორად, არ აღიქვამენ, რა დახმარება გაუწიეს ამით ქართველთმოძულე სააკაშვილს ქვეყნის ნგრევაში.

ის ადამიანები, რომლებმაც პირველი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას განდევნაში ლომის წილი დადეს, შემდგომ ნიღბებით, ავტომატით ხელში ზვიადის მომხრეებს ქუჩაში დასდევდნენ და ხვრეტდნენ (ერთ მათგანს დიდუბეში ნიღაბი ჩამოხსნეს).

ჩვენი ბედკრული საქართველო ამ განსაცდელში არ ჩავარდებოდა ავლიპ ზურაბაშვილი ცოცხალი რომ ყოფილიყო, იქნებ მიხეილ სააკაშვილი შედარებით გაწონასწორებულ მდგომარეობამდე მიეყვანა.

ის, ვინც იცავდა ქართულ სულს, საწმუნოებას, აკადემიკოს გურამ შარაძის სახით ქალაქის გულში, დღისით მზისით დახვრიტეს. სამშობლოს მოღალატე სარწმუნოების მოძულენი, ვინც არ უნდა იყოს: ხელოვანი, მომღერალი, მწერალი თუ ნებისმიერი, ქართველი, ერის სიყვარულს ვერ დაიმსახურებს. ეს ულირსნი ილებდნენ ბატონ ბიძინასგან დახმარებას დაუმსახურებლად, ნუთუ არ დაფიქრებულან იმსახურებდნენ თუ არა ამას. სწორედ ამიტომ ვამბობ, მას მრჩეველი სჭირდება, რათა გააცნოს, ვინ ვინ არის, ვის რა სიკეთე მოუტანია ქვეყნისთვის. ალბათ, არ იწყენს ბატონი ბიძინა რჩევა-დარიგებას ჩემგან, როგორც მრავალტანჯული და არაერთხელ რეპრესირებული მოძღვრისგან.



უკეთესი იქნება, სანამ გვერდით დაიყენებს ვინმეს, პიროვნება იქნება ის თუ პოლიტიკური პარტია, ასჯერ აწონოს მისი ავტორიტეტი.

**— მამაო, თქვენი პოზიცია რელიგიასა და სამშობლოსთან მიმართებაში მთელი საქართველოსთვის ცნობილია. ბატონ ბიძინას აქვს აშენებული სამების ტაძარი, 500-მდე აღდგენილი თუ აშენებული ეკლესია-მონასტერი. თქვენ ხომ არ ითვლებით მათ რიცხვში?**

— ვიქნები გულწრფელი, სამწუხაროდ, არა. მოკლედ გეტყვით, ეკლესიის მშენებლობა ცარიელი ხელებით დავიწყეთ, მრევლის შემოწირულობით. 80 თეთრიც კი დაუდვია ზოგიერთს. რომ დავფიქრდები, ვეკითხები ჩემს თავს: ნუთუ მართლა ჩვენ ავაგეთ ეს ულამაზესი ტაძარი. რამდენად დიდია ღვთის ძალა. მშენებლობის დროს მივმართეთ რამოდენიმე ბიზნესმენს დახმარებისთვის, მაგრამ გარკვეული ძალები გზას ულობავდა მათ. ქველმოქმედებას ეკლესია-მონასტრების აღდგენის საქმეში, რომელსაც ბატონი ბიძინა ალასრულებდა, იგივე ჩვენიც არ არის? ალბათ, ღვთის ნება იყო კაპიკებით აგებულიყო ჩვენი ეკლესია. მართლაც დაუღალავი შრომით ავაგეთ გრანდიოზული ტაძარი, რომელიც გლდანის მშვენებაა, კუთვნილებაა საქართველოსი, მომავალი თაობისა და სადიდებლად ღმრთისა.

მე და ჩემი მრავალრიცხოვანი მრევლი თითქმის 17 წელია მივაბიჯებთ ქრისტეს ეკლიან გზაზე. თამამად შემიძლია ვთქვა, რომ ფრიად განსწავლული მრევლი მყავს. მათ იციან, რისთვის აირჩიეს ეს გზა, სად მიდიან და რა არის მათი მიზანი. სულით და გულით ღმერთს მინდობილი ადამიანი მთებსაც კი შეძრავს. ისინი საღად აღიქვამენ საქართველოში მიმდინარე მოვლენებს. მათ ჩემთან ერთად მრავალი განსაცდელი, დევნა და შევიწროება გადაიტანეს. მარტო ის არის აღსანიშნავი, 6 წელი ღია ცის ქვეშ ვლოცულობდით მართლმადიდებელთათვის, საქართველოსთვის და მათთვისაც კი, ვინაც ომონის ძალით გამოგვდევნა. მადლობა უფალს, ეს წლები დაუვიწყარია თითოეული ჩვენგანისთვის და საქართველოს ისტორიისთვის. ჩვენ ერთ ენაზე ვსაუბრობთ — ღმერთის ენაზე. მათ სჯერათ ჩემი და ჩვენ დავუჭირეთ მხარს იმას, ვინც სწორედ ხალხის კეთილდღეობისთვის იბრძოლებს, იზრუნებს შეჭირვებულთა პირობების გაუმჯობესებისათვის, დაიცავს მართლმადიდებლობას. წმინდა იოანე ოქროპირი ბრძანებს: „მდიდარი ხარ? მე ამის საწინააღმდეგო არაფერი მაქვს. ძუნწი ხარ, აი, ამიტომ განგიკითხავ“. ამიტომ ექნება ხალხის დიდი მხარდაჭერა ივანიშვილს, მათ შორის ჩვენიც.

**— მამაო, ყველამ ვიხილეთ, ბიძინა ივანიშვილი შეხვდა პატრიარქს. ეს იმის მაუწყებელია, რომ პატრიარქი მხარს უჭერს?**

— ფრიად მოხარული ვარ. ამდენი დუმილის, მითქმა-მოთქმის შემდეგ შედგა მათი შეხვედრა. შევთხოვდი უფალს, კარს მიღმა მათი საუბარი მხოლოდ ჩვენი ქვეყნის სასარგებლოდ წარიმართოს.

პატრიარქისგან უფრო დამაჯერებელ, კატეგორიულ განცხადებას ველოდი. მას პრინციპულად უნდა მოეთხოვა, ღმერთის სახელითა და მართლმადიდებელთა თხოვნით სასწრაფოდ აღედგინათ მისთვის მოქალაქეობა.

სამწუხაროა, რომ პატრიარქი ხმას არ იღებს მთავრობის უღირს საქციელებზე. ერის სულიერმა მამამ უნდა დატუქსოს ის მთავრობა, რომელიც არცხვენს საქართველოს და ღმერთის წინააღმდეგ მიდის. ეს უფლება მას უფლისგან აქვს მინიჭებული. იგი ვალდებული არის აღუდგეს ერის მოღალატეებს, დაგმოს მათი მზაკვრული ქმედება.

დაბოლოს, მოვუწოდებ ჩემს ხალხს მოთმინებისაკენ. მოთმინებითა და მოლოდინით მიაბიჯებდა ჩვენი ერი ოდითგან. ხან უმართლებდა, ხან — არა ტაძრისკენ მიმავალ გზაზე. ეს იმაზე იყო დამოკიდებული, თუ როგორი ხელისუფალი უძღვებოდა ერს. იყო ის ღვთის რჩეული თუ არა. ამიტომ ვისურვებდი, ის მოვლენები, რომლის მორევში ვტრიალებთ, მიდიოდეს ღვთის ნებით, წარიმართოს ხალხის საკეთილდღეოდ. დაიღალა საზოგადოება ამდენი იმედგაცრუებით.

შევთხოვ უფალს, იესო ქრისტე მაცხოვარს, რამეთუ საქართველო მისი რჩეულია, ყოვლადწმიდა დედას, რამეთუ იბერია მისი წილხვედრია, მოწყალების თვალით გადმოგვხედონ უღირს, ცოდვილ შვილებს. ღვთის ნებით, საქართველოში მოიძებნება პატარა არმია ჭეშმარიტ მართლმადიდებელთა, რომელნიც ბოლომდე ერთგულნი იქნებიან ღმრთისა და აღმსრულებელნი უფლის ჭეშმარიტი მცნებებისა — აი, ამიტომ გაბრწყინდება იბერია.

ღმერთმა დაგლოცოთ.

**ირანდა კალანდაძე**

იხილეთ „საერთო გაზეთი“ ინტერნეტში
www.saertogazeti.net
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

# ras fiqrobs da ras urCevs sazogadoebas vardebis revoluciis me-8 wlisTavze zurab Jvanias Zma gogla Jvania

**დღეს „ვარდების რევოლუციის“ შემოქმედნი 8 წლის იუბილეს იზეიმებენ, ხოლო ორ თვეში ამავე რევოლუციის ერთ-ერთი შემოქმედის ზურაბ ჟვანიას დღემდე ბურუსით მოცული გარდაცვალებიდან 7 წელი გახდება, როგორ უყურებს ამ გადმოსახედიდან ყოფილი პრემიერის ძმა მოვლენებს? ამის გასარკვევად „საერთო გაზეთი“ გოგლა ჟვანიას ესაუბრა:**

– „ვარდების რევოლუცია“ იყო მოლოდინი, რომ ქვეყანაში რაღაც შეიცვლებოდა. ყველას გვახსოვს, შევარდნაძის პერიოდის სრული სტაგნაცია. ქვეყანა ფაქტობრივად, ჭაობში იმყოფებოდა, რამდენიმე კლანური ბანდა დაბოგინებდა და აქ ცხოვრებას კიდევ უფრო გაუსაძლისს ხდიდა.

2003 წლის 23 ნომებრიდან სულ მცირე ხანში ძალიან დრამატულად განვითარდა მოვლენები. რევოლუციამ კრახი განიცადა. კრახი განიცადა, იმიტომ რომ, ერთ-ერთი მთავარი შემოქმედი და მამოძრავებელი ამ რევოლუციისა, დღეს აღარ არის. ჩემი ძმა, ზურაბ ჟვანია, ერთი წლის თავზე ჩამოაცილეს ქართულ პოლიტიკას. მას მერე თანდათანობით ძალიან დრამატულად დაიწყო ქვეყანაში მოვლენების განვითარება და იმ უკანონობის ზეიმი, რისი მოწმეც დღეს სრულიად საქართველოა.

**– თუმცა გაჩნდა პერსპექტივა, რომ მილიარდერი ბიზნესმენი, ქველმოქმედი და პოლიტიკაში ამბიციური განცხადებით მოსული ივანიშვილი ამ უსამართლობას შეებრძოლება, როგორ უყურებთ ახალ რეალობას ქართულ პოლიტიკურ ცხოვრებაში?**

– სულ ახლახან ოპოზიციურ ფლანგზე სრული სიცარიელე იყო, პოლიტიკური სივრცის ბატონ-პატრონი დარჩა მიხეილ სააკაშვილი თავის გუნდთან ერთად და რეალური კონკურენცია არავის შეეძლო გაეწია. ამ სიტუაციაში ივანიშვილის გამოჩენა ძალიან მნიშვნელოვანი და სასიკეთოა. ყველა შემთხვევაში ეს ფაქტორი სასიკეთოდ აისახება ჩვენს ქვეყანაზე, ერთგვარი პოლიტიკური ბალანსი, წონასწორობა დაბრუნდა ქართულ პოლიტიკურ სივრცეში და დიდი იმედი მაქვს, რომ სამომავლოდ ეს ყველაფერი ივანიშვილის და ქართველი ხალხის სასიკეთოდ დასრულდება.

**– მიუხედავად იმისა, რომ ივანიშვილს ეს ხელისუფლება გასაქანს არ აძლევს და ყველა გზით ცდილობს, მის დაბლოკვას?–**

– ბუნებრივია, დაბლოკავენ. არც უნდა მოველოდეთ, რომ ეს ხელისუფლება ოპონენტებთან ჩვეულებრივი პოლიტიკური ბრძოლის გზებს მიმართავს. ამ ადამიანებისთვის, რომლებიც დღეს ხელისუფლებაში იმყოფებიან, ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ძალაუფლება ნებისმიერი გზით შეინარჩუნონ. ბრძოლის ყველა ხერხს გამოიყენებენ, მიუხედავად იმისა, კანონიერი იქნება თუ არა კანონიერი.

**– თუ გაქვთ მოლოდინი, რომ ივანიშვილის პირობებში ყველაფერს თავისი სახელი დაერქმევა, თუ გაქვთ იმედი, რომ თქვენი ძმის გარდაცვალების თემას ბოლოს და ბოლოს ნათელი მოეფინება?–**

– ბუნებრივია, სრულიად საზოგადოებაში ჩნდება იმედი. ივანიშვილის გამოჩენა, პირველ რიგში, აჩენს იმ მოლოდინს, რომ ქვეყანაში სასიკეთო ცვლილებები დაიწყება. ჩვენ ხომ უკვე დიდი ხნის განმავლობაში- 8 წელია, ვცხოვრობთ ნაციონალური მოძრაობის ხელმძღვანელობით და შესაბამისად, ვხედავთ უამრავ უსამართლობას, რაც ჩვენს ქვეყანაში ხდება. უკვე ძალიან ბევრი კითხვის ნიშანი დაგროვდა საზოგადოებაში ამ ხელისუფლების მიმართ. ბუნებრივია, ყველას გვიჩნდება იმედი, თუ შეიცვალა ხელისუფლება და მოვიდა ახალი ადამიანი, ახალი ხალხი, მაშინ ვითარება შეიცვლება და ყველა კითხვას პასუხი გაეცემა.–



**– ბატონო გოგლა, როგორ შეაფასებთ ყბადაღებულ თემებს: ივანიშვილის რუსულ კაპიტალზე, რუსეთთან ურთიერთობის დათბობის მომხრე პოლიტიკოსების მუდმივად დისკრედიტაციის მცდელობებზე და ა.შ.**

– ნუ ახლა ძალიან სასაცილოა ივანიშვილის კაპიტალის წარმომავლობაზე, როცა იწყებს ხელისუფლება ლაპარაკს. ეს ადამიანი ხომ კარგა ხნის განმავლობაში აფინანსებდა ნაცმოძრაობას და მათ პროექტებს, მაშინ არავის გახსენებია ამ კაპიტალის წარმომავლობა. როცა მათი ოპონენტი გახდა, მაშინ გაახსენდათ? ძალიან სასაცილოა, საერთოდ, ბავშვური საუბარია, ამაზე სერიოზული კომენტარი არც ღირს.

რაც შეეხება რუსეთთან ურთიერთობის დათბობას, ბუნებრივია, თითოეული მომხრე უნდა ვიყოთ, რომ ჩვენს ქვეყანას ნორმალური, კეთილმეზობლური ურთიერთობები ჰქონდეს. მიმაჩნია, ის კონფლიქტი, რაც საქართველოს და რუსეთს შორის არსებობს, სუბიექტური ფაქტორებით არის გამოწვეული, სხვა საფუძველი ამას არ გააჩნია. მომხრე ვარ, რუსეთთან ურთიერთობის დათბობისაა და დარეგულირების. საერთოდ, ყველაზე მნიშვნელოვანი პრობლემად, ყველაზე დიდი სატკივარად, აფხაზეთი და ცხინვალის რეგიონები მიმაჩნია. თუ ჩვენ არ დავარეგულირებთ რუსეთთან ურთიერთობებს ამ პრობლემებს ვერ გადავჭრით. ერთადერთი გზა აფხაზეთის და ცხინვალის პრობლემის მოგვარების რუსეთთან საერთო ენის გამონახვაა, სხვანაირად ეს არ გამოვა.

**– როგორ უყურებთ ნატოში გაწევრიანების ე.წ. უახლეს პერსპექტივას, ალბათ, უპრიანი იქნება შევნიშნოთ, რომ ეს თემა ივანიშვილის პოლიტიკაში გამოჩენის კვალდაკვალ გააქტიურე.**

– უახლოეს მომავალში ნატოში შესვლა ჩვენ არ გვემუქრება. ეს თემა ჯერ კიდევ შევარდნაძის პიროზებში წამოსწიეს, რომ ალიანსში ინტეგრაციის პერსპექტივა გვაქვსო. რაც სააკაშვილი მოვიდა, მას მერეც განავრცეს ნატოს თემა, აი, დღეს მიგვიღებენ..ხვალ მიგვიღებენ... მივდივართ კუს ნაბიჯებით და რეალურად, არც კი მივდივართ, ერთ ადგილს ვტკეპნით. ნატო არის დემოკრატიული ქვეყნების გაერთიანება, ხოლო საქართველო დღეს დემოკრატიიდან ძალიან შორსაა.



ჩამოდიან ეს უცხოელი პოლიტიკოსები ჩვენი მეგობარი ქვეყნებიდან, ხან შეგვიქებენ რეფორმებს, ხან გაგვკიცხავენ, ხან დაგვიყვავებენ და ამით ამოიწურება. რეალურად, ნატოსკენ ინტეგრაციის გზაზე ერთ ადგილას გავიყინეთ. დემოკრატიულობის გარდა, ვერ ვაკმაყოფილებთ მეორე მოთხოვნას-სტაბილურობას, ჯერ კიდევ სამი წლის წინ ერთ-ერთ ყველაზე საშიშ ქვეყანად გვთვლიდნენ უცხო სახელმწიფოები, რადგან ომი გვქონდა გაჩაღებული. ახლა ძალიან არასერიოზული იქნება გვქონდეს მოლოდინი, რომ უახლოეს მომავალში ნატოში მიგვიღებენ, მითუმეტეს, დღესაც მოქმედი კონფლიქტი გვაქვს რუსეთის ოფიციოზთან. ეს კონფლიქტი ამოწურული არ არის, კი არადა, ნახევრად საომარ ვითარებაში ვრჩებით. რომელ ნატოში გაწევრიანებაზეა საუბარია?–

**– ამ დროს კი, უცხოელი მეგობარი სახელმწიფოები საქართველოს თემით მანიპულირებენ და მიმდინარე რეფორმებსაც, ხან შეგვიქებენ, ხან კი გაგვკიცხავენ...**

– ესა თუ ის საერთაშორისო ორგანიზაცია, ესა თუ ის უცხოელი პოლიტიკოსი შეგვაქებს, თუ გაგვკიცხავს, სიმართლე გითხრათ, ჩემთვის მეორეხარისხოვანია. ამ ქვეყანაში მცხოვრები ადამიანები რეალობას საკუთარ თავზე შესანიშნავად ვგრძობთ და თუ რამე სასიკეთო ხდება, პირველ რიგში ამას ჩვენვე ვიგრძნობთ. ვიღაც უცხოელმა ექსპერტმა კი არ უნდა გაგვაგებინოს, ან ვიღაც უცხოელმა, რომელიც საქართველოში რამდენიმე საათით ჩამოვა და მერე წავა და თავის კომფორტულ გარემოში დაბრუნდება- მისთვის კი არ უნდა იყოს თვალსაჩინო რაღაც ცვილილებები და რეფორმები, არამედ თვალსაჩინო უნდა იყოს თითოეული ჩვენგანისთვის. ჩემი გადმოსახედიდან და იმ ადამიანების აზრითაც, ვისთანაც ვურთიერთობ და ალბათ, სხვებისთვისაც, ვითარება დღითიდღე მძიმდება.

**– ბატონო გოგლა, როგორ შეაფასებთ განცხადებას, რომ 2008 წელს საქართველომ მოახდინა რუსეთთან ომის პროვოცირება?–**

– ამ ომში სამივე მხარემ შეიტანა წვლილი. თუმცა ისიც სათქმელია, რომ საქართველოს ხელისუფლებამაც თავისი „გააკეთა“,მან ომისთვის წინ და წინ დაიწყო მზადება.

საქართველოში 2004წლიდან-2008 წლამდე გამალებული შეიარაღება მიდიოდა. სამხედრო ბიუჯეტის განუწყვეტელი ზრდაზე იყო ხელისუფლება მომართული, მილიარდობით დახარჯეს ომის წარმოებისათვის, ხოლო 5 დღეში მილიარდობით დოლარი სრულიად გამოუსადეგარი აღმოჩნდა. ათჯერ ან ასჯერ ნაკლები თანხა, რომ დაგვეხარჯა ზუსტად იგივე შედეგს მივიღებდით. ეს უაზრობა იყო, ეს იყო გადაყრილი ფული.

თანხის ნაწილი მოხმარდა იარაღის შეძენას, რაღაც გადაიარაღებას, რაღაც ბაზების მშენებლობას, ვითომდა, ჯარების მომზადებას... მნიშვნელოვანი ნაწილი კი, დაილექა ჩინოვნიკების ჯიბეებში. ეს ფული, რომ ქართულ ეკონომიკაში ჩადებულიყო ახლა სხვაგვარ გარემოში ვიცხოვრებდით, იმ ჩვენს სეპარატისტულ რეგიონებთანაც ბევრად უფრო გაგვიადვილდებოდა საუბარი და არც რუსეთთან გვექნებოდა ამდენი პრობლემა.

სასაცილოა, საქართველოსნაირი ქვეყანა ემზადებოდეს, რუსეთთან ომისათვის. „კი ბატონო, შეიძლება გადადო თავი და იბრძოლო ჩეჩნებივით, თუმცა არ ვარ ამ გზის მომხრე. აი, ჩეჩნებმა გადადეს თავი და 400 წელი იბრძვიან, თუმცა რეალურად, გაცამტვერდა ჩეჩნეთი და განადგურდა მათი გენოფონდი. არ მინდა ჩვენი ქვეყანა ანალოგიურ ვითარებაში აღმოჩნდეს. ახლა მთელი მსოფლიო ცდილობს აირიდოს რუსეთთან პრობლემები, ჩვენ კი რატომღაც ყველანაირად მოვინდომეთ, რომ ლომის ხახაში აღმოვჩენილიყავით.

**– თქვენი აზრით, რა არის მიზეზი ჩვენი ასეთი „კამიკაძეობისა“?–**

– ვერ გავიგე მიზეზი. ეტყობა, მართლაც სჯეროდათ, რომ რაღაც შედეგს მიაღწევდნენ. მე იმ ადამიანებზე, რომლებიც დღეს მართავენ ჩვენს ქვეყანას მაღალი წარმოდგენის არ ვარ. ესენი არ არიან სერიოზული ადამიანები. რეალობას მოწყვეტილნი არიან. არც ის არის გამორიცხული, ვიღაცამ დააჯერა, რომ ეს პრობლემა ძალისმიერი გზით გადაწყდებოდა. ფაქტია, ტრიბუნა ჰქონდათ გამზადებული, რომ შემდეგ მიხეილ სააკაშვილს თბილისში ჩამოეტანა და აღლუმი გაემართა.ხომ გვაზეიმეს რუსეთთან ომში გამარჯვება.

**– ეს რაც შეეხება, რუსეთ-საქართველოს ომს, ახლო მომავალში კი, საზოგადოებას საკუთარ ხელისუფლებასთან აქვს ბრძოლა მოსაგები. ალბათ, დამეთანხმებით, ცივილიზებული არჩევნების პირობებში ივანიშვილი ამ რეჟიმს დიდი უპირატესობით დაამთავრებდა, ახლა რა შანსები რჩება?**

– აბსოლუტურად გეთანხმებით. თვითონ სააკაშვილმაც იცის, რომ სამართლებრივი არჩევნების პირობებში დამარცხდება. უნდა ითქვას, ეს არ იქნება მხოლოდ არჩევნები, რადგან ხელისუფლება გასაყალბებლად ბერკეტებს შესანიშნავად ფლობს. ამიტომ თითოეულ ჩვენგანს მოუწევს საკუთარი ხმის დაცვა. ამათ იციან, როგორ ჩაშალონ პროცესი, როგორ გამოიყვანონ ოპონენტი წყობიდან, აი, ამიტომ არჩევნების განმავლობაში, ხმების დათვლის პერიოდში და ამ პროცესების ლოგიკურ ფინალამდე, ხალხი გარეთ უნდა გამოვიდეს და უბნებთან დადგეს. რა თქმა უნდა, შეხლა-შემოხლა იქნება. თუმცა, ბოლომდე უნდა დავდგეთ მტკიცედ და ვიბრძოლოთ გამარჯვებისთვის. მომავალი არჩევნები-ეს არის ბრძოლა ხელისუფლებასა და საზოგადოებას შორის. ოპტიმისტი ვარ და მჯერა გავიმარჯვებთ.

ბოლო წლების განმავლობაში მრავალ ქვეყანაში ვიმოგზაურე და შედარებების საშუალება მქონდა, ამიტომ ვამბობ, ჩვენ დიდი პოტენციალის ხალხი ვართ, ამაში ვგულისხმობ არა ბუნებრივ პირობებსა და რესურსებს, არამედ, პირველ რიგში, ჩვენს ხალხს, ჩვენ საზოგადოებას. თავსმოხვეული და ამერიკანიზებული არაფერში გვჭირდება, სხვისი ანარეკლი არ უნდა გავხდეთ.გვაქვს საკუთარი სრულიად უნიკალური -ქართული, რასაც შენახვა და გაფრთხილება სჭირდება. ამიტომ ბიძინა ივანიშვილი, თუ ამ „ქართულ ოცნებას“ აგვისრულებს, მხოლოდ მივესალმები.

**ნათია ნოდია**



# agresiuli nacionalizmisagan yvelaferi aris mosalodneli

ბოლო ხანია ხელისუფლების ქმედება „ქართუ“ ბანკის მიმართ არაპროგნოზირებადი გახდა. მიიღეს ახალი ცვლილება კანონში „აღსრულების შესახებ“ — რომელიც ასევე ამ ორგანიზაციის წინააღმდეგ არის მიმართული — როგორც სპეციალისტები განმარტავენ.

საკითხთან დაკავშირებით ვესაუბრებით ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორ **ლადო პაპავას**.



**— ბატონო ლადო, იშვიათია თუ არა მსოფლიო პოლიტიკაში ისეთი შემთხვევები, როდესაც ოლიგარქი მიდის მათ შემადგენლობაში და საერთოდ, თვლით თუ არა, რომ ბიძინა ივანიშვილი არის ოლიგარქი?**

— ოლიგარქი არის ადამიანი, რომელიც იყენებს ხელისუფლებაში ყოფნას და ხელისუფლების ხელით არსებულ ბერკეტებს გასამდიდრებლად.

**ოლიგარქს ეძახდნენ ბადრი პატარკაციშვილს, მაგრამ ის ოლიგარქი არ ყოფილა იმიტომ, რომ ის არც რუსეთის ხელისუფლებაში ყოფილა, არც საქართველოს ხელისუფლებაში. ასე, რომ ვინაიდან ივანიშვილი არ ყოფილა დღემდე ხელისუფლებაში, ის არ არის ოლიგარქი, უბრალოდ, ის გახლავთ მილიარდერი.**

რაც შეეხება, მაგალითად, ბენდუქიძეს, ის არის ოლიგარქი იმიტომ, რომ რაც ის ხელისუფლებაშია, მის ქონებას მიემატა, თორემ არაფერი დაკლებია.

ეს ტერმინი შემთხვევით არ გამოუყენებიათ, ოპონენტებს სურთ დააკნინონ ივანიშვილი და იმიტომ თქვეს ასე. ფაქტია, რომ ბატონ ბიძინას პოლიტიკაში ყოფნით არ უშოვია ფული.

**— რაც შეეხება საბანკო ოპერაციას, იყო თუ არა რაიმე დარღვევით შესრულებული, რატომ მოხდა თანხების ჩამორთმევა?**

— „ქართუ“ ბანკის მხრიდან არანაირი დარღვევა არ მომხდარა, ჩვეულებრივი რამ არის, როდესაც ერთ ბანკს აქვს ნაღდი ფული, შეიძლება მეორე ბანკმა თუ მას აქვს ანგარიშზე თანხა, ის გადაიტანოს. ეს ჩვეულებრივი მომენტია. მითუმეტეს, რომ ამ საბანკო ოპერაციაში მონაწილეობდა „დოიჩე ბანკის“ ამერიკული ოფისი და ამერიკული „სითი“ ბანკი. ეს ბანკთაშორისი ოპერაცია იყო, არანაირ ფულის გათეთრებას ადგილი არ ჰქონია, თუ მაინცდამაინც ფულის გათეთრებაზე იყო ეჭვი, რატომ არ მიიტანეს ეჭვი იმ ბანკზე, საიდანაც გავიდა თანხა? ასე რომ, აბსოლუტურად ხელოვნურად არის შექმნილი ეს პრობლემა. აშკარაა, რომ ეს ყოველივე გაკეთდა პოლიტიკური ნიშნით.

ამის მერე ნახეთ, რა მოხდა? მთავრობის ზეწოლის გამო სხვადასხვა ორგანიზაციებმა და კომპანიებმა „ქართუ“ ბანკიდან გაიტანეს თანხები და ანგარიშები, დაახლოებით სულ 45 მილიონი ლარი. ეს არის უკვე რეჟიმის ქმედება ამ ბანკის წინააღმდეგ, პოლიტიკურ-რეპრესიული ხასიათის. ეს არის დაუფარავი ბრძოლა „ქართუ“ ბანკის წინააღმდეგ.

ასეა თუ ისე, რამდენი ხანი გავიდა ამ ოპერაციის ჩატარებიდან, რაიმე საფუძველი, რომ ჰქონოდა ეროვნულ ბანკს ან ხელისუფლებას, არ იტყოდნენ? უბრალოდ, არანაირი დარღვევა არ არსებობს.

წაართვეს „ქართუ“ ბანკს ფული და ეროვნული ბანკის პრეზიდენტი აცხადებს, რომ მზად ვართ ამავე რაოდენობის თანხა მათ ვასესხოთო. რას ნიშნავს ეს? რატომ უნდა ასესხო ფული ბანკს? იმიტომ რომ წაართვი?

**გარკვეული დაპირისპირების შესაქმნელად გაკეთდა ისიც, რომ 9 ნოემბერს ეროვნულმა ბანკმა მოითხოვა „ქართუ“ ბანკიდან გადარიცხვები, ხოლო 10 ნოემბერს გაზეთში გაკეთდა განცხადება იმის თაობაზე, თუ ვინ ილებს „ქართუ“ ჯგუფიდან დახმარებებს. ვიმეორებ, ეს ყველაფერი გახლავთ ბრძოლა ივანიშვილის წინააღმდეგ.**

**— ამავე პერიოდს დაემთხვა კანონში ცვლილება „აღსრულების შესახებ“ — რაც გარკვეულწილად კვლავ „ქართუ“ ბანკის წინააღმდეგ არის მიმართული, მას ბარბაროსულ კანონსაც უწოდებენ, ამაზე რას იტყვით?**

— ეს ცვლილება არის სერიოზული ზიანის მომტანი მთელი ჩვენი საბანკო სისტემისათვის, იმიტომ რომ თუ კერძო ან იურიდიულ პირს მოუნდება სესხის აღება გირაოში რაიმე ქონების ჩადების გზით, ახლა ეს გირაოს ვალდებულება, თუ მასთან მიმართებაში აღმოჩნდება დარღვევა, შეუძლია წაიღოს მთავრობამ და პრაქტიკულად, ბანკები შეიძლება გაკოტრდეს. საბანკო ასოციაცია, რომელიც ამ კანონის წინააღმდეგ ხმას უნდა იმაღლებდეს, საერთოდ დუმს, ეროვნული ბანკი კი თვალს ხუჭავს.

**— ემუქრება თუ არა გაკოტრების საფრთხე „ქართუ“ ბანკს?**

— არა მგონია, გაკოტრდეს, თუმცა, თეორიულად ამის შანსი არსებობს, მითუმეტეს დღეს, როდესაც ეროვნული ბანკიდან ყველაფერია მოსალოდნელი. მიუხედავად იმისა, რომ ხალხი დადგა ამ ბანკის გვერდით და 6400-მდე მოქალაქემ შეიტანა ანაბარი. ეს იშვიათი შემთხვევა იყო ბანკების ისტორიაში, რადგანაც როცა ბანკს ექმნება პრობლემები, მოქალაქეები ცდილობენ იქიდან თანხების გატანას, აქ კი პირიქით მოხდა. ამით ხალხმა გამოხატა თავისი დადებითი პოზიცია ბიძინა ივანიშვილის მიმართ.



**— დაუბრუნდება თუ არა „ქართუ“ ბანკს ის 45 მილიონი ლარი, რომელიც ორგანიზაციებმა გაიტანეს? ან ის ორი მილიონი დოლარი და ერთი მილიონი ევრო, რომელიც წაართვეს?**

— ორმოცდახუთი მილიონი ლარი სავარაუდოდ, არ დაუბრუნდება, რაც შეხება წართმეულ თანხას, მთავრობა შეეცდება გაწელოს დრო, რომ არ მისცეს უკან. რაც შეეხება კანონს „აღსრულების შესახებ“, ის საფრთხის შემცველია ყველა ბანკისათვის. ქართველი ხალხის მხრიდან და უცხოეთიდანაც ბიძინა ივანიშვილს საკმაო მხარდაჭერა აქვს და ეს შეიძლება იყოს გარკვეულწილად შემაკავებელი ფაქტორი, თუმცა, „აგრესიული ნაციონალიზმი“ თუ „ნაციონალური აგრესიულობა“ საქართველოში ცნობილია, და ის არაფერს არ გამორიცხავს.

**— ამას წინათ პრემიერ-მინისტრმა გილაურმა ეკონომიკური განვითარების ხუთწლიანი გეგმა წარადგინა, ეს კანონზომიერი მოვლენაა, თუ ისინი მომავალ 5 წელსაც აპირებენ ხელისუფლებაში დარჩენას?**

— საერთოდ, ეკონომიკაში ცნობილია დაგეგმვის ორი სისტემა — დირექტიული და ინდიკატიური. აქედან პირველი გამოიყენებოდა სსრკ-ს დროს, როცა გეგმას კანონის ძალა ჰქონდა, ინდიკატიური დაგეგმვა არის დაგეგმვის ისეთი სახეობა, როცა არსებობს წინასწარი ხედვა, თუ როგორ უნდა განვითარდეს ეკონომიკა. 1996 წლიდან ჩვენს ქვეყანაში მოქმედებდა ინდიკატიური დაგეგმვის კანონი, რომელიც „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ გაუქმდა. თან ითქვა, რომ არ იყო საჭირო დაგეგმვა, ეხლა კი მთავრობამ შემოგვთავაზა ხუთწლიანი გეგმა.

ჩვენს კონსტიტუციური სივრცეში ამ ხელისუფლების უფლებამოსილება 2013 წლისთვის გადის. ამიტომ, ეს გეგმა რომ ყოფილიყო მხოლოდ 2012-13 წლებზე გათვლილი, გავიგებდით, მაგრამ დღეს ის სრულიად გაუგებარია. მოკლედ, ეს არის მხოლოდ პიარისათვის გაკეთებული ქმედება და მეტი არაფერი.

**— დაიწყო მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის ახალი ტალღა, რამდენად იმოქმედებს ეს ჩვენს ქვეყანაზე, სადაც არანაირი ქარხანა და ფაბრიკა არ მუშაობს. ამ კრიზისში ხომ დიდი ხანია ვართ და მგონი, შევეჩვიეთ კიდეც, ამაზე უარესიც იქნება?**

— წინა წლებში ეს გარკვეულწილად, ნაკლებად შეგვემჩნა, რადგანაც აგვისტოს ომის გამო მივიღეთ სერიოზული ფინანსური დახმარება. ეს თანხები ბოლომდე დღესაც არ არის ათვისებული.

**დღეს ეს კრიზისი არ ჩამცხრალა, ის დღემდე ღვიოდა ანუ მომავალი კრიზისი ჩვენს ქვეყანაზე უფრო სერიოზული შედეგებით აისახება, ვიდრე ის იყო 2008 წელს, გაძვირდება პროდუქტები, რაც მოსახლეობას უფრო გააღარიბებს.**

**— დაბოლოს, მინდა გკითხოთ, რუსეთის გაერთიანება „მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში“ რა შედეგებს მოუტანს მათ და რა შედეგებს მოგვიტანს ჩვენ?**

— ჩვენმა ქვეყანამ მიიღო კომპენსაცია პოლიტიკური თვალსაზრისით, ანუ სახმელეთო საზღვრებზე გაჩნდებიან დამკვირვებლები! ამით მოსკოვმა პრაქტიკულად დააკნინა მის მიერ აფხაზეთისა და ოსეთის დამოუკიდებლობის აღიარება. ამ ეტაპზე ეს ქმედება ჩვენთვის არის პოზიტივი.

რუსეთმა კი „სავაჭრო ორგანიზაციაში“ გაერთიანებით მიიღო ის, რომ მათი ამბიცია დაკმაყოფილდა. მათ აქვთ პრეტენზია იმაზე, რომ არიან მსოფლიოს ლიდერი ქვეყანა და არ იყვნენ მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის წევრები. რუსეთი ხომ თვლის, რომ არის მსოფლიოს ერთერთი „პოლუსი“. ეს ამბიციაც დაიკმაყოფილეს.

ევროპამ და ამერიკამ კი მიიღო ახალი ბაზარი, რომელიც უფრო პროგნოზირებადი იქნება მათთვის, რადგანაც ამ ორგანიზაციის წევრობა არის გარკვეული ვალდებულებაც და ქცევის ჩარჩოებში მოქცევაც. ამიტომ რუსულ ბაზარზე შესვლა დანარჩენი ქვეყნებისთვის ნაკლებ რისკიანი იქნება.

**ეთერ კასრელიშვილი**

იხილეთ „საერთო გაზეთი“
ინტერნეტში
www.saertogazeti.net
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

## ბაღათურია ხელოვნებასა და პოლიტიკაში გიგანტიზმის მიმდინარეობის დამკვიდრებას ამჩნევს



პოლიტიკური პარტია "ქართული დასის" ლიდერ ჯონდი ბაღათურიას მოსაზრებით, ხელოვნებასა და პოლიტიკაში "გიგანტიზმის" მიმდინარეობა მკვიდრდება.

როგორც მან დღეს პარლამენტის პლენარულ სხდომაზე განაცხადა, ეს პროცესი ბათუმში დედაენის გიგანტური ძეგლის მშენებლობით დაიწყო. ის 26 მილიონი ლარი დაჯდა მაშინ, როცა მოსწავლეებს დედაენის სახელმძღვანელოს ყიდვის ფული არ აქვთ. მიმდინარე წლის ზაფხულში კი ხელისუფლებამ გიგანტური ფოიერვერკები მოაწყო და კლაიპედაში გიგანტური ხაჭაპურები დააცხო. მოგვიანებით გიგანტური კვერცხები და შლოპანცები, ახლახან კი გიგანტური ველოსიპედი დაიდგა იქ, სადაც დავითის ძეგლი იდგა და მაშინ, როცა "მოხუცებსა და ბავშვებს ოპერაციისა და წამლის ფული არ აქვთ".

ბაღათურიას ეს გამოსვლა უმრავლესობამ გააკრიტიკა. დეპუტატმა ზურაბ მელიქიშვილმა კი ხაზი ბაღათურიას მიერ არასწორად ნათქვამ ტერმინს — „ველოსაპეტს“ იმით გაუსვა, რომ მან ეს სიტყვა თავადაც ასევე განგებ არასწორად წარმოთქვა.

„მედიანიუსი“

# ras fiqroben qarTvelebi `qarTul ocnebaze~



**ადა მარშანია, აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი:**

— ამ ეტაპზე ბიძინა ივანიშვილისა და მისი პოლიტიკაში ჩართვის შესახებ ბევრს ვერაფერს ვიტყვი. ერთს მაინც აღვნიშნავ, რომ მაინც ვფიქრობ, სახელმწიფო პოლიტიკის ასპარეზზე მისი გამოჩენა მომგებიანი მომენტია. მე და სხვებიც მასში ვხედავთ დიდ პოტენციალს და ალბათ, ხვდებით, რომ ამ პოტენციალში არ ვგულისხმობ მხოლოდ ფინანსურ მხარეს. ასევე ვიმედოვნებ, რომ მისი გამოჩენა მომგებიანი იქნება ერთ-ერთი ისეთი უმნიშვნელოვანესი საკითხისათვის, როგორიცაა ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა.

მე ივანიშვილისგან ველოდები, რომ იგი ახლო მომავალში უფრო გაშლის ამ თემას და ფართო კუთხით განიხილავს მას. მე, რომლისთვისაც ტერიტორიული მთლიანობა და კერძოდ, აფხაზეთის დაბრუნება ერთ-ერთი უმთავრესი სატკივარია, ვიმედოვნებ, რომ მალე მისგან მოვისმენ უფრო კონკრეტულ და დეტალურ საუბარს ამ ფაქტორის შესახებ.

დავამატებ, რომ ვისურვებდი, მის გვერდით მენახა მეტად ეროვნული, პატრიოტული ენერგიით სავსე ადამიანები. სწორად უნდა შეარჩიოს თავისი გუნდი. ყველაზე ერთნაირად ვერ ვისაუბრებ. მის გარშემო ბევრი საინტერესო და გულწრფელი ადამიანია, მაგრამ ამავე დროს ვხედავთ ისეთ სახეებსაც, რომელთა არსებობა და აქტიურობა საქართველოს პოლიტიკური მომავლისთვის მიუღებლად მიმაჩნია. ვიმედოვნებ, მალე შეძლებს გადააფასოს ბევრი რამ და ახლო მომავალში გააფართოებს თავის გუნდს, შემოიკრებს ნამდვილ პატრიოტ და სახელმწიფოებრივად მოაზროვნე პიროვნებებს და არა პოლიტიკური ამბიციებით შეპყრობილებს. კადრების შერჩევაში არ უნდა შეცდეს. ამას უდიდესი მნიშვნელობა აქვს.

---

**ავთანდილ უნგიაძე, მართლმადიდებელ მშობელთა კავშირის თავმჯდომარე:**

— ჩემი აზრით, ბიძინა ივანიშვილს პოლიტიკაში ჩართვა უკვე კარგა ხნის გადაწყვეტილი ჰქონდა. ასევე მას ექნებოდა მოლაპარაკებები ამ საკითხთან დაკავშირებით სხვადასხვა ძალებთან, სხვადასხვა დონეზე. ამაში დარწმუნებული ვარ, გამომდინარე თუნდაც იქედან, რომ არჩევანი გააკეთა რესპუბლიკურ პარტიაზე. ეს ალბათ, დასავლეთის მითითებით მოხდა.

იმაში რომ, მან მოინდომა პოლიტიკურ ასპარეზზე გამოსვლა, ცუდი არაფერია, პირიქით, პერსპექტიულია ქვეყნისთვის და იმედის მომცემი, თუ ყველაფერს სწორი მიმართულება მიეცემა. ამ ეტაპზეც უკვე გამოიღო დადებითი შედეგი, მმართველი პარტიის მოქმედებები შერბილდა. მთავარია, დროთა განმავლობაში საცდურს გაუძლოს. ჩვენ, ფართო საზოგადოება მას ვიცნობთ, როგორც ქველმოქმედს, მეცენატს, მაგრამ როგორი იქნება თუ ხელისუფლებაში მოვიდა? ამ კითხვაზე ახლა შეუძლებელია პასუხის გაცემა. სწორედ ხელისუფლებაში მოსვლის მერე იწყება ხოლმე ცდუნება და შეცდომები, პიროვნების გაკერპება და სამწუხაროდ, ხშირად სახეზე გვაქვს არქიფოს სინდრომი. ეს აღარ უნდა მოხდეს, ერთ კაცში არ უნდა ვხედავდეთ გადარჩენის გზას. ხელისუფლება უნდა გადანაწილდეს ისე, რომ ერთ პიროვნებას არ მიეცეს ყველაფრის უფლება. საზოგადოებამ უნდა გავითვალისწინოთ გამოცდილება და იგივე შეცდომები არ უნდა დავუშვათ.



---



**მიხეილ ცაგარელი, ასტროლოგი:** ივანიშვილი თავისი პოლიტიკური მოძრაობის ოფიციალურად დაფიქსირებას აპირებ და ამა წლის 25 ნოემბერს. ამ რიცხვში ჯერ ისევ ახალმთვარეობაა, რამდენად დადებითია იგი ასტროლოგიურად?

ეს მომენტი კიდევ ერთხელ მეტყველებს იმაზე, რომ ივანიშვილს არ აქვს კავშირი ეზოთერიკასთან, სრულებით არ იცნობს და არ ეცნობა ასტროლოგიას, თორემ ასეთ რამეს არათუ ურჩევდა ვინმე, არამედ კატეგორიულად აუკრძალავდა.

ამა წლის 25 ნოემბერი მარტო ახალმთვარეობის პერიოდით არ არის პრობლემატური; ყველაზე ცუდი ის გახლავთ, რომ ამას ემატება მზის დაბნელება, რაც გაცილებით უფრო ამძიმებს ამ პერიოდს. ანსამბლმა „75-მა" ჩემი რჩევით, ამ დღეს დანიშნული საიუბილეო კონცერტი გადადო 27 რიცხვში. მათ იციან ამის მნიშვნელობა. რადგან ახალ მთვარეს ემატება მზის დაბნელება, ამიტომ ეს პერიოდი ორმაგად ცუდია. კოსმოსიდან ნეგატიური ძალის დიდი რაოდენობით შემოსვლა ხდება დედამიწაზე. თუ პიროვნება ამ პერიოდში ახალი საქმიანობის წამოწყებას ან თუნდაც ორგანიზაციის დაფუძნებას, პრეზენტაციას, ერთი სიტყვით, რაღაცის წამოწყებას აპირებს, იგი თავისი ხელით იქმნის დაბრკოლებებს, იწვევს წარუმატებლობას და წინააღმდეგობებს, ეს იქნება საქმიანობა თუ პირად ცხოვრებაში რაღაც ახალის დაწყება.

რა მაკვირვებს, იცით? ყველას კარგად მოეხსენება, რომ ბატონი ბიძინა ივანიშვილის მშობლიური რაიონი არის საჩხერე, სოფელი ჭორვილა. ეს არის ადამიანი, რომელიც გაიზარდა ბუნებასთან სიახლოვეში, უყვარს ბუნება და აქედან გამომდინარე, ბევრი რამ უნდა იცოდეს. ჰკითხოს ხნიერ ხალხს, უხუცესებს, ისინი ეტყვიან, აუხსნიან, რას ნიშნავს და როგორია ეს პერიოდი თუნდაც სამეურნეო საქმიანობისთვის. საქართველოში ახალ მთვარეზე მცენარეებს ხელს არ ახლებდნენ, ამ პერიოდში მოჭრილი ხისგან სახლს არ აშენებდნენ, ამ ხის შეშაზეც კი სადილს არ ამზადებდნენ... ეს რაც შეეხება ყოფით ცხოვრებას და ისეთი სერიოზული ნაბიჯის გადადგმა, როგორიცაა საზოგადოებრივ-პოლიტიკური ორგანიზაციის დაფუძნება, სავსებით მიუღებელია, ამაზე საერთოდ არ უნდა იყოს ლაპარაკი.

25 ნოემბრის გარდა მე მას არ ვურჩევდი 10 დეკემბერს, რადგან ამ რიცხვში არის მთვარის დაბნელება. ასევე არასასურველი პერიოდია 20 დეკემბრიდან 25 დეკემბრამდე, რადგან ამ დროს მზე დგას, მზებუდობას რომ უწოდებენ ის დროა. სხა დანარჩენ რიცხვებში ასტროლოგიური თვალსაზრისით, არჩევანი თავისუფალია.

**მოამზადა**
**თამუნა ქადაგიძემ**

---

# facebook

# xalxis azriT

**რასაც წასწვდა, ისე თქვლიფა, ისე ნთქა და ისე ყლაპა,**
**სვლიპა, ღეჭა, ძიძგნა, ტლაკა, ლოკა, ყანყლა, ხვრიპა, ხაპა,**
**ქვაბისაკენ გზა-სავალი ღრენა-კბენით გაიკაფა,**
**სხვა რომ არ შეცილებოდა, ყეფით პირიც აიქაფა,**
**მუქთა თოხლით ნებიერამ მოიმრგვალა კოხტად ტრაკი,**
**ძაღლს კი არა, ამ მთავრობას გულისხმობდა ეს არაკი.**

დაკვირვებული ვარ: სააკაშვილის ყველაზე დიდი აპოლოგეტებიც კი არასდროს იყენებენ მის მიმართ ისეთ ეპითეტებს, როგორიცაა "მამაცი", "პრინციპული", "გაწონასწორებული", "გულისხმიერი", "ლმობიერი", "კეთილი", "ერთგული", "ყურადღებიანი", "ჭკუადამჯდარი", "ტაქტიანი", "დახვეწილი", "გემოვნებიანი", "სიმპატიური". ის მხოლოდ "მაგარია!"

ახლა ვუყურე "რუსთავი2"-ზე ერთი (გვარს არ დავასახელებ) კაცის "ზავოდობას"! რა შთაბეჭდილება დამრჩა? რა და, მე შ..... შაჰ-აბასის დედას, ასე რომ გამიპედერასტა კახელები!!! მოგრძომ ყვარელში მეზობლები გადმოიპატიჟა სახლში:))) ხელოვნური განაყოფიერება გამიგია, ხელოვნური ფეხი გამიგია - ხელოვნური მეზობლობა არ გამიგია..:)))))) ჰმ, მეზობლები დაპატიჟა ბიჭმა. ორი კილო ხორცი იყიდა, 2 კილო ყველი, 10 ჩურჩხელა და 20 კაცს გაუშალა სუფრა.

ამბავი... შეიძლება ქე იცით მარა... ვერონიკა კანადაში მიდიოდაო... მიშამ ქოშები უკულმა ყარაო... და ვერონიკას კოდუას ბიზნესი ჩაახუტესო... საწყალი ლაურა... ფაბრიკას ართმევენ... ჰიჰი... რა კაია, არაფერი რომ არა მაქვს... ვერაფერსაც ვერ წამართმევენ... ინდეეე, მიშიკო, ჩაიგდე თუ არა კოვზი ნაცარში?

ომი ნამდვილად არ დაუწყია გეთანხმები, უბრალოდ, პროვოკაცია მოაწყო, რომ რუსეთს ტერიტორიების წართმევაში დახმარებოდა.ანუ ეს საქციელი რუსეთმა გამოიყენა ძალიან კარგად სათავისოდ. ომის დაწყების და სამშობლოს დაცვის შნო ვინ მისცა ამ უბედურებს. ესენი საწყალი ხალხის დატერორებაზე და დასჯაზე არიან მაგარი ბიჭები.

ამიხსნას ვინმემ, რატომ მოხდა ახალგორის, ყორნისის კვლავ ცხინვალის რეგიონზე მიბმა და, კოდორის ხეობის აფხაზეთზე მიბმა?.იმიტომ რომ მოღალატე ქართველებს გადაეცათ ეს ტერიტორიები რუსეთისთვის,ომი შევარდნაძემ და სააკაშვილმა დაარქვეს, თორემ კარგად იცოდნენ რა სცენარითაც მოქმედებდნენ, ეს სცენარი რუსმა და ამერიკელმა რეჟისორებმა დაწერეს და ქართველმა მოღალატეებმა გადაიღეს. ქართულმა ბანკებმა 2008 წლის მაისის თვიდან საგრძნობლად შეამცირეს კრედიტების გაცემა, დაიწყეს თანხების მობილიზება.(ჰკითხეთ თქვენს ნაცნობებს ბანკში თუ გყავთ) ჯანდაცვის სამინისტროს დაევალა,დამატებით შეეძინა გადასახვევი, გამაყუჩებელი საშუალებები, ცეცხლსასროლი იარაღით მიყენებული ჭრილობების დროს გამოსაყენებელი მედიკამენტები.. დამთხვევა იყო ეს?

უახლესი ანეკდოტი. შეიძლება ითქვას, თოთო: ორი ექსპერტი მსჯელობს: უდავოდ, ბათუმში მოხდა დიქტატურის ბოლო სტადიის გამოვლინება — როდესაც ხელისუფალნი სიცოცხლეშივე იდგამენ ძეგლებს... — ეგ გასაგებია, მაგრამ თავზე შლოპანცი რატომ დაიდეს, ამას ვერ ვხვდები...



# robert kolsoni: saqarTvelos karCaketili, umdidresi adamiani saakaSvilis politikur scenars arRvevs



ერთი პერიოდი ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა, თითქოს საქართველოს გზა 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებისკენ უშფოთველი და განსაკუთრებული მოვლენებისგან დაცლილი იქნებოდა. პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის სულ უფრო დაუნდობელი „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" განუხრელად მიიწევდა დამაჯერებელი ტრიუმფისკენ დანაწევრებული და დიდწილად უპასუხისმგებლო ოპოზიციის წინააღმდეგ.

მაგრამ ამ დროს მილიარდერი ბიძინა ივანიშვილი გამოჩნდა.

„ეს არჩევნები აბსოლუტურად განსხვავებული იქნება და სააკაშვილს და მის ხალხს არ უნდა ჰქონდეს ილუზია, რომ ძველი ისტორია განმეორდება", – განაცხადა 55 წლის კარჩაკეტილმა ფინანსისტმა მას შემდეგ, რაც გასულ თვეში მოულოდნელად უარი თქვა განმარტოებულ ცხოვრებაზე თავის სოფელ ჭორვილაში, რათა პოლიტიკაში მონაწილეობაზე განაცხადი გაეკეთებინა. „ჩემი აზრით, დღეს რეალობა ისეთია, რომ სააკაშვილს ხმას საკუთარი დედაც არ მისცემს".

მან განაცხადა ასევე, რომ „ძალიან კარგად იცის, თუ როგორ ძალადობს სააკაშვილი არამხოლოდ ქართველ ხალხზე, არამედ მის ახლო გარემოცვაზეც. სააკაშვილი ვერ შეძლებს იმ რაოდენობის ხმების მოპოვებას, რაც გაყალბებისთვის აუცილებელია".

ჭორვილადან სცენაზე გამოჩენის შემდეგ, რამდენიმე კვირაში, ივანიშვილმა მოძრაობა „ქართული ოცნება" დააფუძნა, რომელიც მისი თქმით, მომავალ არჩევნებში გაიმარჯვებს.

რადიო „თავისუფლების" დღიურებში ივანიშვილი ამბობს, რომ „არ იყო იოლი გადაწყვეტილება" ჩართულიყო პოლიტიკურ ბრძოლაში, მაგრამ ამ ნაბიჯისკენ მას „ქვეყნის მძიმე მდგომარეობამ" უბიძგა.

## ღია სეზონი

კამპანია თავიდან ერთგვარი დაბრკოლებებით დაიწყო. ივანიშვილი პოზიციას ნელ-ნელა იმკვიდრებდა. და პირველი ნოემბრის პრესკონფერენცია ქაოსში გადაიზარდა, როდესაც რეპორტიორები კითხვებს გაჰყვიროდნენ, მაშინ, როცა ივანიშვილი და მისი პრესმდივანი ირაკლი ტრიპოლსკი მთელი ძალით ცდილობდნენ სიტუაციის გაკონტროლებას.

ჩანასახში მყოფი კამპანია (და თავად ივანიშვილი) სააკაშვილმა და მისმა მხარდამჭერებმა კრიტიკის, ზოგჯერ დაუფარავი თავდასხმების ქარცეცხლში მოაქციეს, მიუხედავად იმისა, რომ თავად პრეზიდენტს ივანიშვილის სახელიც კი არ უხსენებია.

პირველ რიგში, სააკაშვილის მთავრობამ მას შემდეგ, რაც ივანიშვილმა საჯაროდ განაცხადა, რომ აპირებს უარი თქვას საფრანგეთის და რუსეთის მოქალაქეობაზე, მას საქართველოს მოქალაქეობა ჩამოართვა. ის სააკაშვილის განკარგულებას ასაჩივრებს, მაგრამ თუკი არაფერი შეიცვალა, მას კანონი არ მისცემს არც კენჭისყრის და არც რაიმე პოლიტიკური მოძრაობის მართვის ან დაფინანსების უფლებას.

ამასთანავე, პოლიციამ მისი „ქართუ ბანკის" ფილიალში რეიდი მოაწყო და ის ფულის გათეთრებაში დაადანაშაულა. ივანიშვილი სახელმწიფო მედიის ჟურნალისტებს მისი პირველი პრესკონფერენციის საბოტაჟის მცდელობაში ადანაშაულებს.

სააკაშვილის მხარდამჭერები, მაგალითად, დეპუტატი „ერთიანი ნაციონალური მოძრაობიდან" გიორგი გაბაშვილი, სახელმწიფოს მიერ კონტროლირებად ტელევიზიებს იმ იდეის ტირაჟირებისთვის იყენებს, რომ ივანიშვილი მოსკოვის მარიონეტია.

„რუსეთში რამდენიმე მილიარდ დოლარად შეფასებული ქონების ფლობა და მართვა აუცილებლად მიუთითებს ამ ადამიანის ახლო კავშირებზე კრემლთან", – ამბობს გაბაშვილი. „და როდესაც ამ კავშირის მქონე ფიგურა პოლიტიკაში შემოდის, რა თქმა უნდა, ეს ფაქტორი ხდება. არავინ არის ისეთი გულუბრყვილო დაიჯეროს, რომ ვილაც საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში აქტიურდება, აქვს მილიარდები რუსეთში და ამ ფაქტორს არ ითვალისწინებს".

ივანიშვილმა განაცხადა, რომ ის რუსეთში საკუთარი აქტივების გაყიდვას აპირებს.

## საყოველთაო მხარდაჭერა

თავდასხმებმა, როგორც ჩანს მხოლოდ განამტკიცეს კარჩაკერტილი მილიარდერისადმი მხარდაჭერა. ივანიშვილისადმი სოლიდარობის ნიშნად, მაგალითად, მარტო ერთი კვირის განმავლობაში, დაახლოებით 5 000-მა ადამიანმა გახსნა ანგარიში „ქართუ ბანკში".

ხელისუფლებას განგაშის საფუძველი მართლაც აქვს: ივანიშვილი საშუალო კალიბრის მილიარდერი არ არის. საქართველოს უმდიდრესი კაცი ივანიშვილი, რომლის ქონებაც **Forbes**-ის თანახმად დაახლოებით 5,5 მილიარდი დოლარია, დღემდე საჯარო ყურადღებას გაურბოდა. მან თავისი ქონება რუსეთში 1990-იან წლებში დააგროვა, მაგრამ 10 წელია, რაც საქართველოში დაბრუნდა და თავის მშობლიურ სოფელ ჭორვილაში დასახლდა, რომელიც თბილისიდან დასავლეთით დაახლოებით, 150 კილომეტრში მდებარეობს.

მანამდე, მან მხოლოდ ერთი ვრცელი ინტერვიუ მისცა რუსეთის ყოველდღიურ ბიზნესგაზეთ „ვედომოსტის" 2005 წელს. ამ ინტერვიუში ის ხაზს უსვამს თავის სურვილს პირად ცხოვრებაზე: „მე ცალსახად არ ვარ საჯარო ადამიანი", – ამბობს იგი, „მაგრამ ეს ჩემი ხასიათია. არ მიყვარს ჟურნალისტებთან შეხვედრა, საჯარო მოვლენებში ან ღონისძიებებში მონაწილეობა. ასეთ ადგილებში გიწევს ნიღბის გაკეთება, მე კი ფორმალობებს ვერ ვიტან. ცხოვრება მოკლეა – არ მინდა საკუთარი თავისუფლების შეზღუდვა. მართლაც არ მიყვარს ყურადღების ცენტრში ყოფნა. არ მიყვარს ზეიმები და საკუთარ დაბადების დღესაც კი არასდროს ვიხდი".

მაგრამ წლების განმავლობაში ის უსაქმოდ არ მჯდარა. ივანიშვილმა შექმნა საქველმოქმედო ფონდი, რომელიც ჩუმად ხარჯავდა მილიონებს პროექტებზე, რომლებიც დიდწილად ქართული კულტურის მხარდაჭერისკენ იყო მიმართული. მან აღადგინა ეკლესიები და თეატრები მთელი ქვეყნის მასშტაბით. ის პენსიებს უხდის ქართველ აკადემიკოსებს და კულტურის მოღვაწეებს.

შარშან, ჟურნალ **Prospect**-ში გამოქვეყნებულ მის პროფილში, ბევრი ისეთი ადამიანი საუბრობს, რომლებსაც ის დაეხმარა და რომლებიც ამბობდნენ, რომ არასდროს უნახავთ ივანიშვილი და მასთან არანაირი პირდაპირი კონტაქტი არ ჰქონიათ. მისი სახელი არ ჰქვია არცერთ პროექტს, რომელიც მან დააფინანსა.

ის განსაკუთრებულად გულუხვი იყო ჭორვილას მიმართ, სადაც განაახლა სახლები და საჯარო შენობები, აღადგინა გზები და ააშენა თანამედროვე საავადმყოფო, სადაც ადგილობრივ მოსახლეობას უფასოდ ემსახურებიან; ის პენსიის დანამატს და ყოველთვიურ პრემიებს უხდის ექიმებს და პედაგოგებს. 2009 წლამდე, მან კომუნალური გადასახადები 60 000 მოქალაქეს დაუფარა. **Prospect**-ის თანახმად, საკუთარ ქალაქში ის 2000 დოლარს გასცემს ისეთ ხარჯებზე, როგორიც ქორწილი და დაკრძალვაა. თუმცა, კრიტიკოსებმა ის იმაში დაადანაშაულეს, რომ ასეთი ქმედებებით მან ადამიანები მასზე დამოკიდებულნი გახადა და ინიციატივა ჩაუხშო.

## შერეული რეაქციები

ქართულ პოლიტიკურ ბრძოლაში ჩართვის დღიდან ივანიშვილი აცხადებს, რომ მისი ერთადერთი მიზანი სისტემური რეფორმების გატარებაა, რაც საქართველოს მისცემს შესაძლებლობას განვითარდეს, როგორც თავისუფალი ბაზრის დემოკრატიული ქვეყანა. მან განაცხადა, რომ არ უნდა პრეზიდენტობა და თანამდებობაზე მხოლოდ ორი-სამი წლით დარჩენას აპირებს და სჯერა, რომ რეფორმებისთვის ეს საკმარისი დროა. ამის შემდეგ მას საქველმოქმედო საქმიანობასთან დაბრუნება უნდა.

ოპოზიციური პარტიის „თავისუფალი დემოკრატების" ხელმძღვანელი ირაკლი ალასანია, რომელიც ივანიშვილმა პოტენციურ პოლიტიკურ პარტნიორად დაასახელა, მიესალმა ივანიშვილის პოლიტიკურ სცენაზე გამოჩენას.

„ქართულ საზოგადოებას დიდი ხნის განმავლობაში აკლდა ასეთი დებატები, ასეთი გულწრფელი საუბარი", – ამბობს ალასანია. „ვფიქრობ დღეს ბ-ნმა ივანიშვილმა ძალიან მკაფიოდ და გულწრფელად უთხრა საზოგადოებას რატომ მიიღო მან ეს გადაწყვეტილება და რატომ ჩაერთო პოლიტიკაში, რა არის მისი მთავარი მიზანი – მის პარტნიორებთან ერთად. ჩვენ გვინდა, რომ ამ ქვეყანაში ბოლოს და ბოლოს კონკურენციის ნამდვილი შესაძლებლობა გაჩნდეს – კონკურენციის პოლიტიკასა და ბიზნესში. და ვფიქრობ, ქართულმა საზოგადოებამ ეს ძალიან ცხადად და მკაფიოდ დაინახა".

სხვები ასეთი დარწმუნებული არ არიან. ლევან ვეფხვაძე, პარლამენტის ვიცე-სპიკერი ოპოზიციური პარტია „ქრისტიან-დემოკრატებიდან", რომელსაც ხელისუფლებისგან ფართო მხარდაჭერა აქვს, ივანიშვილის დებიუტით პრესაში მოხიბლული არ არის.

„მე ვერ ვიტყვი, რომ დამრჩა შთაბეჭდილება, თითქოს ჩვენ საქმე გვაქვს სერიოზულ პოლიტიკოსთან", – ამბობს ვეფხვაძე. „დამწყებთათვის, პოლიტიკა ძალიან განსხვავდება ბიზნესისგან. როგორც ჩანს, მის ირგვლივ მენეჯმენტიც ძალიან სუსტია. გუშინ ძალიან ბევრი ადამიანი მირეკავდა და მეუბნებოდა, „ამ კაცმა შეიძლება მილიონები გააკეთა, მაგრამ ვერ მოახერხა ერთი პრესკონფერენციის ორგანიზება, როგორ აპირებს ის მთელი ქვეყნის მართვას?" როგორც ჩანს, ეს არის შთაბეჭდილება, რომელიც საზოგადოების ერთ სეგმენტს გაუჩნდა".

ივანიშვილის პოზიციები ნელა და თანმიმდევრულად ყალიბდება. ის უპირატესობას ანიჭებს საქართველოს კურს ევროპული ინტეგრაციისკენ, მაგრამ დარწმუნებულია, რომ რუსეთთან ურთიერთობების გაუმჯობესება შესაძლებელი და სავალდებულოა. იმავდროულად, ის აცხადებს, რომ საქართველოს სხვა „ალტერნატივა არ აქვს", თუ არა ნატოს წევრობისკენ სწრაფვა.

## პოლიტიკური ახალბედა?

მაგრამ ივანიშვილის მთავარი აქცენტი სისტემური რეფორმის გაღრმავებაზეა. „ჩვენ უნდა დავიწყოთ ნამდვილად დამოუკიდებელი სასამართლოს შექმნის პროცესი – და ეს პროცესი შეუქცევადი უნდა გახდეს", – ამბობს ივანიშვილი. „მედია უნდა იყოს თავისუფალი. ჩვენ უნდა შევქმნათ გარემო, რომელიც მიმზიდველი იქნება ინვესტორებისთვის. სამუშაო ადგილების შექმნა მუდმივი დაკვირვების და ჩვენი პოლიტიკის ცენტრალური მიზანი იქნება".

ზოგიერთი მისი წერილობითი განცხადების საფუძველზე, კრიტიკოსებს შეიძლება გაუჩნდეთ სურვილი დაასკვნან, რომ ივანიშვილს ყველა პრობლემის გადაჭრის გზად ფულის გაცემა მიაჩნია. ის ორი ტელეარხის ყიდვის ინიციატივით გამოვიდა, რომლებიც მან დაადანაშაულა იმაში, რომ მათ სააკაშვილი აკონტროლებს, მაშინ როდესაც თავად სრული სარედაქციო დამოუკიდებლობა, ხოლო სახელმწიფო მედიაში მომუშავე ყველა ჟურნალისტს, რომელიც მოისურვებს შეუერთდეს მის კამპანიას, დასაქმება შესთავაზა.

იმის გათვალისწინებით, რომ მისი მოქალაქეობის საკითხი კვლავ ღიად რჩება (მიუხედავად იმისა, რომ ივანიშვილის თქმით, მას აქვს სარეზერვო გეგმა თუკი მოქალაქეობას ვერ დაიბრუნებს) ჯერ კიდევ უცნობია, რა როლს ითამაშებს ის მოახლოებულ კამპანიაში.

ოპოზიციური პარტია „ახალი მემარჯვენეების" წევრი ფიქრია ჩიხრაძე იმაზე სწუხს, რომ ივანიშვილი გამოუცდელია. „ამბობენ, ერთია, გქონდეს პოლიტიკური გამოცდილება, როდესაც საქმე ეხება შენს ურთიერთობას მედიასთან, მაგრამ როდესაც ადამიანი ასეთ დიდ ამბიციებს ავლენს, მას ზოგიერთ საკითხზე უნდა ჰქონდეს მკაფიოდ ფორმულირებული პოზიცია", – ამბობს იგი.

„ერთი მხრივ, მე მომწონს, როდესაც ის ამბობს, რომ ყველაფერი არ იცის და ბევრი რამის სწავლა სჭირდება. მაგრამ როდესაც საქმე ფუნდამენტურ საკითხებს ეხება – ის ამ შემთხვევაშიც კი აცხადებს, რომ მათზე მოგვიანებით იფიქრებს და სპეციალისტებთან ერთად განიხილავს. ეს მე არ მომწონს", – ამბობს ჩიხრაძე. „ისეთი შთაბეჭდილება რჩება, რომ ერთადერთი, რაც მან დანამდვილებით იცის, არის ის, რომ პარლამენტში უმრავლესობას მოიპოვებს; ყველა დანარჩენ საკითხს მოგვიანებით გადაწყვეტს".

„რადიო თავისუფლების" დღიურებში ივანიშვილი აღიარებს, რომ ჯერ კიდევ ბევრი რამ უნდა ისწავლოს პოლიტიკაზე: „მე მჭირდება რეალური გამოხმაურება და კრიტიკა იმისთვის, რომ არ დავუშვა შეცდომები მომავალში". ◆

იხილეთ „საერთო გაზეთი" ინტერნეტში
www.saertogazeti.net
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

## მსოფლიო პრესის მიხედვით

# saqarTvelos xelisufleba cdilobs, biznesmens `frTebi Seakvecos~



**მილიარდერი ბიძინა ივანიშვილი ამბობს, რომ მიუხედავად ყველაფრისა, იგი პოლიტიკურ მხარდაჭერას მოიპოვებს. დამკვირვებლები აცხადებენ, რომ მათ უჩნდებათ კითხვები იმ მეთოდების მიმართ, რომლებითაც საქართველოს მთავრობა ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკური სარბიელიდან ჩამოცილებას ცდილობს.**

ივანიშვილი, რომლის ქონება, „ფორბსის“ მონაცემებით, წლის დასაწყისში 5,5 მილიარდ დოლარად არის შეფასებული, ადრიან შემოდგომაზე ხელისუფლების წარმომადგენლებს დაუპირისპირდა – საზოგადოებას გააცნო გეგმები, თუ როგორ აპირებს 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებში პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის ადმინისტრაციის დამარცხებას.

პრაქტიკულად მაშინვე, ფრანგული პასპორტის ქონის გამო, მას საქართველოს მოქალაქეობა ჩამოართვეს. მთავრობის მომხრეები ივანიშვილს ბრალად სდებენ კრემლთან კავშირს, პროკურატურამ კი მისი მეგობრებისა და კოლეგების მიმართ ოთხი საქმე აღძრა:

თბილისში დააპატიმრა მისი ბიზნეს-წარმომადგენელი რუსეთში ვალერი ლევინი;

ფულის გათეთრების მოტივით დააკავეს ივანიშვილის კუთვნილი ბანკის თანამშრომლები. მართალია, ისინი მალევე გაათავისუფლეს, თუმცა საქმე არ დაუხურავთ. ამოიღეს დიდი ოდენობის ნაღდი ფული, რომელიც დღემდე არ დაუბრუნებიათ.

იმავე დღეს ნარკოტიკების შენახვის საბაბით ივანიშვილის ვაჟის მეგობარი დააკავეს;

იარაღის უკანონო ტარების ბრალდებით დააკავეს ფონდ „ქართუს“ თავმჯდომარის სიმამრი...

ადვოკატთა განცხადებით, ივანიშვილი მის წინააღმდეგ აგორებული უკანონო კამპანიის მსხვერპლია. ახლა ისინი იღვწიან მოქალაქეობის აღსადგენად, ურომლისოდაც ბიძინა ივანიშვილი პოლიტიკურ საქმიანობას პირადად ვერ გააგრძელებს.

სააკაშვილი და მისი ხელისუფლების მაღალჩინოსნები პრესასთან ყოველთვის თანამშრომლობენ, მაგრამ ამჯერად არანაირ კომენტარს არ აკეთებენ პოლიტიკაში გაჩენილი ახალი პერსონის შესახებ და ამის შესაძლებლობას მმართველი გუნდის – ერთიანი ნაციონალური მოძრაობის წარმომადგენელ პარლამენტარებს აძლევენ. ისინიც, ყოველგვარი ხელჩასაჭიდი არგუმენტაციის გარეშე, ივანიშვილს მოსკოვთან სიახლოვეში სდებენ ბრალს.

პოლიტიკოსთა უმრავლესობა, ისინიც კი, ვინც ივანიშვილს არ წყალობს, გადაწყვეტილებას მოქალაქეობის ჩამორთმევის შესახებ ერთგვარად პოლიტიკურ ანგარიშსწორებად აფასებენ.

„ივანიშვილის მიმართ მთავრობის ტაქტიკა აშკარაა – იგი აგრესიულ ნაბიჯებს დგამს და ივანიშვილს რადიკალური და აგრესიული მოქმედებების, ქუჩის აქციებისკენ უბიძგებს. ხელისუფლების წარმომადგენლებს ურჩევნიათ „ქუჩის პოლიტიკა“, რადგანაც ასეთ დროს მათ ნებისმიერ ოპონენტთან შედარებით უპირატესობა გააჩნიათ“, – აცხადებს ქრისტიან-დემოკრატთა ლიდერ გიორგი თარგამაძე.

ივანიშვილმა ერთ-ერთ ინტერვიუში აღიარა, რომ ხელისუფლებამ რთულ მდგომარეობაში ჩააყენა, თუმცა მას ვერაფერი შეაჩერებს:

„რასაკვირველია, პოლიტიკაში მოუმზადებელი მოვედი. გარკვეულწილად, ვერ ვახერხებ მობილიზებას და გუნდის ჩამოყალიბებას. ხელისუფლების მოუფიქრებელ ნაბიჯებზე მუდმივი რეაგირება და ბევრი სხვა რამ პრობლემებს მიქმნის და ხელს მიშლის ცალკეული ეტაპების სწრაფად ორგანიზებაში, მაგრამ თანდათან მე ამას შევძლებ. მე არც ისე ცუდად ვრეაგირებ ხელისუფალთაადაუფიქრებელ ნაბიჯებზე“. მისივე თქმით, ახლანდელი ადმინისრტაცია კრახის საფრთხის წინაშე დგას და მან შესადარებლად ლიბიაში მუამარ კადაფის რეჟიმის დამხობა მოიყვანა.

ბიძინა ივანიშვილი აცხადებს, რომ იგი შეეცდება, საქართველოს როგორმე ააცილოს „კადაფიზაცია“, დასწიოს ტემპერატურა და თავი აარიდოს კონფრონტაციას.

ქართული მედიისთვის მიცემულ ინტერვიუში კოლუმბიის უნივერსიტეტის პროფესორი, ექსპერტი საქართველოს საკითხებში ლინკოლნ მიტჩელი აცხადებს, რომ ხელისუფლების წარმომადგენლებს ეშინიათ ივანიშვილის, რადგანაც მისმა სიმდიდრემ შესაძლოა, მისი პოლიტიკური წარმატება უზრუნველყოს. „ეს იმას ნიშნავს, რომ მას შეუძლია შექმნას საკუთარი ტელეარხი და შეცვალოს ქვეყანაში ვითარება“, – დასძენს მიტჩელი.

მისივე აზრით, ივანიშვილმა თავისი პოლიტიკური მომხრეები ძალზედ გონივრულად შეარჩია. ერთ-ერთი მათგანი პარტია თავისუფალი დემოკრატების ლიდერი ირაკლი ალასანიაა.

„სავარაუდოდ, ჩრდილში მყოფი პოლიტიკოსები წინა პლანზე გამოვლენ – ეს მათი შანსია. ალასანიას მსგავს პოლიტიკოსებს შეუძლიათ ბრძოლა და მედიაკლიმატის შეცვლა“, – აცხადებს ექსპერტი.

**Institute War&Peace Reporting**

# revoluciis tragizmi

## protesti mZafrdeba, egviptis mTavroba gadadga

**ეგვიპტის დედაქალაქში საპროტესტო ტალღის ხელახლა აგორების შემდეგ, არც სამხედროებმა, არც „ახალგაზრდა რევოლუციონერებმა და არც პოლიტიკურმა ძალებმა არ იციან, როგორ დაამშვიდონ ქვეყანა. ახლანდელი ქუჩის ბატალიები გაგრძელებაა იმ აქციებისა, რომლებიც 25 იანვარს დაიწყო და არსებითად 11 თებერვალს მუბარაქის დამხობით არ დასრულებულა. საქმე ის გახლავთ, რომ გენერლებმა ახალგაზრდა აქტივისტებს მოჰპარეს გამარჯვება, რომელიც, მათი აზრით, უკვე ხელთ აქვთ. სინამდვილეში, მუბარაქის რეჟიმი არ დამხობილა, მან მხოლოდ გარეგნული იერი იცვალა. რევოლუციენერთა შეცდომაა, რომ მათ არ ჰყავთ პოლიტიკური ლიდერი, არ გააჩნიათ პოლიტიკური პროგრამა და ექსპერტიზის უნარიც არ შესწევთ. გუშინდელ რევოლუციონერებს არ ძალუძთ წარმატების მიღწევა პოლიტიკური ფაზის მეორე ეტაპზე და ამ რევოლუციის ტრაგიზმი სწორედ ეს არის: რეჟიმის მოწინააღმდეგებს არაფერი გააჩნიათ იმის გარდა, რომ სისტემის დაშლა სურთ.**



სამხედროებისა და საზოგადოების „თაფლობის თვე“ დასრულდა. მანიფესტანტები ითხოვენ სამხედრო ხუნტის გადადგომას, ეროვნული გადარჩენის მთავრობის ჩამოყალიბებას და საპრეზიდენტო არჩევნების დანიშვნას არა 2013, არამედ 2012 წლის გაზაფხულზე. მუბარაქის შემდეგ შექმნილი 35 პარტია „საოკეანო“ მანიფესტაციას გეგმავს – ლიდერებმა გადაწყვიტეს, მანიფესტანტებს „ცოცხალ ფარად“ დაუდგნენ. 28 ნოემბრისთვის დანიშნულ არჩევნებში გამარჯვების მოიმედე ისლამისტები ლოდინის პოზიციას ამჯობინებენ. ქვეყანაში შექმნილი ქაოსი ხმის მიცემას საფრთხეს უქმნის.

ორშაბათს ეგვიპტის მთავრობამ ქვეყნის დროებით მმართველ ორგანოს – შეიარაღებული ძალების უმაღლეს საბჭოს გადადგომის შესახებ თხოვნა წარუდგინა, იტყობინება The New York Times. ეს მას მერე მოხდა, რაც ქუჩის საპროტესტო აქციების გასანეიტრალებელ ღონისძიებებს ადამიანთა მსხვერპლი მოჰყვა. ეგვიპტის მომავალი ახლაც ისეთივე ბურუსითაა მოცული, როგორც „არაბული გაზაფხულის“ პირველ დღეებში იყო.

ამ მთავრობას, მუბარაქის ჩანაცვლების შემდეგ, გარდამტეხი პოლიტიკური ეპოქისთვის შესაფერი როლი უნდა შეესრულებინა. „ისლამისტები იმედოვნებდნენ, რომ იგი მალევე მოახერხებდა არჩევნების დანიშვნას, რომელზეც მათი მომხრეები გაიმარჯვებდნენ. ლიბერალები კი, პირიქით ფიქრობდნენ და მთავრობა ისლამისტთა ძლიერების საპირწონედ მიაჩნდათ. ობამას ადმინისტრაცია მათში პარტნიორებს ხედავდა და იმედოვნებდა კიდეც, რომ ამერიკული ინტერესების ერთგულნი იქნებოდნენ“, – ვკითხულობთ წერილში.

თუმცაღა, მთავრობის თხოვნა გადადგომის შესახებ მორიგი დარტყმა აღმოჩნდა შეიარაღებული ძალების უმაღლესი საბჭოსთვის, რომლის ლეგიტიმურობა ისედაც არ იყო მყარი. თან, ეს ხდება მუბარაქის გადაყენების შემდგომ დანიშნულ პირველ საპარლამენტო არჩევნებამდე ერთი კვირით ადრე.

ისლამისტური მოძრაობა „მუსულმანთა საძმო“ დემონსტრანტებს მოუწოდებდა თავშეკავებისკენ, რათაარჩევნების თარიღი არ შეცვლილიყო. სხვა ისლამისტები კი – კონსერვატორებიცა და „ზომიერებიც“ – სეკულარულ პარტიებთან ერთად „მილიონთა მარშში“ მონაწილეობენ და სამხედროებისგან სამოქალაქო ადმინისტრაციისთვის ძალაუფლების გადაბარებას ითხოვენ.

ეგვიპტის ჯანდაცვის სამინისტროს ინფორმაციით, კაიროში სამდღიანი შეტაკებებისას 30-მდე ადამიანია დაღუპული, 1500-ზე მეტი – დაზარალებული. ყველა პოლიტიკური ძალა არჩევნების დანიშნულ დროს ჩატარებას ემხრობა, თუმცა კერძო საუბრებში გამოთქვამენ ვარაუდს, რომ არეულობების გამო შესაძლოა იგი გადაიტანონ. არ არის გამორიცხული, ამ ამბავმა კიდევ უფრო გაამძაფროს ისედაც დაძაბული ვითარება.

იმავდროულად, პოლიტიკოსები კამათობენ იმის შესახებაც, თუ როგორი უნდა იყოს სამხედროებისგან სამოქალაქოებისთვის ძალაუფლების გადაცემის მექანიზმი.

„მუსულმანთა საძმო“ ჯერჯერობით ისე იქცევა, თითქოს არჩევნები არ გადაიდება. ისინი ტაჰრირის მოედანზე არ გამოსულან და ხალხის გვერდით არ დამდგარან. მათ მზამზარეულზე მოსვლა სურთ“, – საყვედურს გამოთქვამენ კაიროელები.

ზოგიერთი ლიბერალური პარტია მოითხოვს, სამხედროებმა დაუყოვნებლივ გადასცენ ძალაუფლება სამოქალაქო „ერის გადარჩენის მთავრობას“. ამ ინიციატივის ავტორია პრეზიდენტობის კანდიდატი მუჰამედ ალ-ბარადეი. სხვა ლიბერალთა აზრით, საკმარისი იქნებოდა, ახლანდელი მთავრობა ჩაენაცვლებინათ სამოქალაქო პირებით დაკომპლექტებული ახალი გუნდით, რომელსაც შეიარაღებული ძალების უმაღლესი საბჭოსგან დამოუკიდებლად შეეძლებოდა გადაწყვეტილებების მიღება.

**The New York Times**
**La Stampa**
**Suddeutsche Zeitung**

# `rusuli ucxouri legioni~ _ Tavxeduri da carieli idea

**ნატოში რუსეთის ელჩის დმიტრი როგოზინის ჩანაფიქრით, „რუსული უცხოური ლეგიონი“ უნდა გახდეს რუსეთის შეიარაღებული ძალების ნაწილი და ლეგიონში უნდა იმსახურონ ბულგარელებმა და სერბებმა, წერს ავტორი წერილისა, რომელიც დაიბეჭდა გამოცემაში L’Occidentale.**

„იმ მომენტში, როცა 22 ათასი სერბი თხოვნით მიმართავს რუსეთს, მას ბალკანებისთვის საკმაოდ ექსტრემალური იდეა უჩნდება. მისი ავტორია ნატოში რუსეთის ელჩი როგოზინი, რომელიც „რუსული უცხოური ლეგიონის“ შექმნას იმისთვის ითხოვს, რომ აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში ახლებური პოზიცია გაიმყარონ“, – წერს გამოცემა.



„რაც შეეხება ბატალიონს, იგი უნდა გახდეს რუსული არმიის ნაწილი და ფრანგული უცხოური ლეგიონის მსგავსად ჩამოყალიბდეს. როგოზინის თქმით, ეს უნდა იყოს „სლავური“ ლეგიონი, რომლის შემადგენლობაში რუსეთის მოქალაქეობამიღებული სერბები და ბულგარელები იქნებიან. ამბობენ, რომ როგოზინმა ამ იდეის შესახებ რუსეთის თავდაცვის მინისტრ ანატოლი სერდიუკოვთან იმსჯელა“, – წერს წერილის ავტორი.

„რუსეთის საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცენტრის დირექტორი დარწმუნებულია, რომ ეროვნულ საფუძველზე სამხედრო ქვედანაყოფების ჩამოყალიბება შესაძლოა, ძალზედ სახიფათო აღმოჩნდეს. ბულგარული გამოცემა „დღიურის“ ცნობით, ბულგარეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო უარს აცხადებს, რამე კომენტარი გააკეთოს როგოზინის ახალ იდეაზე.

**L’Occidentale**

**ინტერნეტმიმოხილვა მოამზადა**
**გულბაათ ჭავჭავაძემ.**

რამდენიმე დღის წინ ქუთაისის მერიამ მიიღო გადაწყვეტილება მშენებარე პარლამენტის, სამთავრობო და იუსტიციის სახლების მიმდებარე ტერიტორიაზე მრავალსართულიანი კორპუსების ეზოებში სადამსჯელო ღონისძიებები ჩაეტარებინა და იქ განთავსებული კანონიერ საკუთრებაში მყოფი თუ ასევე უნებართვოდ აშენებული ავტოფარეხები მიწასთან გაესწორებინა.

შარვალ-კოსტუმებში გამოწყობილი ადგილობრივი სამსახურები მოსახლეობას შეხვდნენ და 2-დღიანი ვადა მისცეს? საკუთარი ძალებით დემონტაჟი მოეხდინათ როგორც კაპიტალური ნაგებობების, ისე ლითონის კონსტრუქციებისგან აწყობილი ფარეხების. წინააღმდეგ შემთხვევაში, მერიის წარმომადგენლები თავად უზრუნველყოფდნენ მძიმე ტექნიკის მიყვანას ადგილზე და თან 2000-2000 ლარით დააჯარიმებდნენ მეპატრონეებს.

მიუხედავად იმისა, რომ აბაშიძის გამზირი, რომელიც უკვე საქართველოს პარლამენტის ქუთაისში გადმოტანის შემდეგ პრესტიჟულ დასახლებად იქცა, სადაც საცხოვრებელი ბინების ფასმაც კატასტროფულად მოიმატა, დიდი შესაძლებლობის მაცხოვრებლებით დასახლებული არ არის. ძირითადად, საშუალო და საშუალოზე დაბალი შემოსავლების მობინადრეებისათვის, მერიის მხრიდან გაცემული ბრძანება - დაჯარიმებულიყვნენ 2000 ლარით, მათ საარსებო მინიმუმს 12-ჯერ მაინც აღემატება. ამიტომ იყო, რომ მერიის სადამსჯელო მსტოვრებს ადგილობრივი მოსახლეობა დაუპირისპირდა. შეხლა-შემოხლის შემდეგ საპატრულო ეკიპაჟიც გამოიძახეს, რომ სიტუაცია არ გართულებულიყო. ბოლოს შეთანხმდნენ, მოსახლეობა საკუთარი ძალით აიღებდა



# `mevida somexi, degveca sxva mexi, ...kido me unda mkiTxo, miSas `grexi?!~

ავტოფარეხებს და გაჰყიდდა მაინც, რომ ცოტა მაინც ესარგებლა. თავის მხრივ, ხელისუფლება, მეორე დღიდანვე ეზოების გალამაზებაზე იზრუნებდა.

მას შემდეგ უკვე კვირა გავიდა და ჯერჯერობით ადგილობრივ მთავრობას დანგრეული და ნაგვის კერადქცეული ადგილები არც მოუნახულებია. მხოლოდ მანქანიდან შეათვალიერეს, თურმე ზედამხედველობის სამსახურის წარმომადგენლებმა და მანქანიდანვე გადასძახეს იქ შეკრებილ ხალხს: „ასე არ ჯობია?! დაგვიჯერებთ – მეიგებთ, არ დაგვიჯერებთ – წააგებთ!" ამ მოგება-წაგებაში კი ქუთაისის მერიას დაავიწყდა, რომ აბაშიძის გამზირი მეორე დღესვე ჰქონდა მოსაწესრიგებელი. მართალია, ერთ დღეში ვერ დაასრულებდა, მაგრამ სარეკონსტრუქციო სამუშაოების დაწყება შეეძლო.

რა მოსატანია, მაგრამ, როცა ხელისუფალი „რაღაცას" ანგრევს და იქ ასევე „რაღაცის" აშენებას გეგმავს, ნაკლებად უნდა გვჯეროდეს ამის, რადგან მაგალითად, ე.წ. ნინოშვილის სკვერიც გამოდგება, რომელიც ბოლოს როდის გაიწმინდა ნაგვისგან, მოსახლეობა ვერ იხსენებს. სკვერს არ გააჩნია ძელსკამები და განათების ბოძები, მხოლოდ ეპიდემიის კერაა და ამბიციურ პრეტენზიას „სუფთა ქალაქზე" ნაკლებად აკმაყოფილებს, შესაბამისად, როცა "გასაკეთებელს" ვერ ამჩნევ და სკვერში, ნარევოლუციევი და "ნაპატიმრალი" ცხვარ-ძროხა გიძოვს ბალახ-ბულახს, იქვე ცოცხალი პირუტყვის ბაზრიდან, მოდი და დაგვაჯეროს ადგილობრივმა მთავრობამ, რომ იმ ავტოფარეხების ნანგრევებზე რაიმეს სასიკეთოს აშენებას აპირებს.

მიუხედავად დიდი მცდელობისა, ასევე ხანგრძლივი ლოდინისა, თუ რა პოზიცია აქვს ჯერ ამ სადამსჯელო „ოპერაცია-გარაჟთან" ქუთაისის მერიას, ან თუნდაც ახლა, „ნახიროსიმალ" აბაშიძის გამზირზე რას გეგმავს, ოფიციალურად გაურკვეველი რჩება. მერიის პრესსამსახური მხოლოდ რამდენიმე წინადადებით შემოიფარგლა:

**– კინო „სულიკოსთან," მერიის ნებართვით მოსახლეობას ავტოფარეხები დაანგრევინეს, მართალია, ბევრი უნებართვო იყო, ბევრიც კანონიერ საკუთრებაში მქონე, მაგრამ დღეს რა ხდება იქ, რა კეთდება?**

– უი, არ ვიცი... გავიკითხავ!

ვიკითხავ, ვისაც ექნება კომენტარი, მაილზე მომეცი, ან სკაიპში კითხვები და პასუხებს მოგაწვდით, ვინც გვიპასუხებს, არქიტექტურა იქნება თუ ადმინისტრაციული ზედამხედველობის სამსახურები.

**-კარგი, დაგელოდები...**

– მაგრამ, ჯერ არ ვიცი, ვინმე თუ მოინდომებს კომენტარის გაკეთებას!"

როგორც მოსალოდნელი იყო, მერიაში თემა ყურს მიღმა გაატარეს. სამაგიეროდ, მოსახლეობასთან შეხვედრის დროს, ნანგრევებთან **„თავისუფალი საქართველოს"** ადგილობრივი ლიდერი და ექს-პარლამენტარი **გოგი წულაია** დაგვხვდა და კომენტარიც გააკეთა:

„– ეს არის ბარბაროსობა, ესაა კომუნიზმში დაბრუნება, ისინი უტევდნენ კერძო საკუთრებას და იმ გზას მიჰყვება სააკაშვილის რეჟიმი. რომელ კაპიტალიზმზეა საუბარი, ადამიანების უფლებებს ფეხქვეშ თელავენ.

**– რა ინფორმაციას ფლობთ, რა უნდა გაკეთდეს ამ ადგილზე?**

– მე რამდენადაც ვიცი და უკვე აქტიურად გამოჟონა ინფორმაციამ, რადგან მიმდებარე ტერიტორიაზე შენდება პარლამენტი, იუსტიციის სახლი და ძალაუნებურად ეს უბანი გარდა გამოცოცხლებისა, ეკონომიკური თვალსაზრისითაც დატვირთული იქნება, ადგილობრივი ხელისუფლება გეგმავს კომერციული ფართების აშენებას. სანამ არიან ხელისუფლებაში, რატომაც არ დაიკანონებენ ეკონომიკურ წერტილებს. რა მნიშვნელობა აქვს სიდედრების თუ სიდედრის დების, ან ჩემი მეზობლის-ციალას სახელზე დაარეგისტრირებენ? როდესაც მოდის მერია, გეუბნება ჩემს მიერ გაცემული ქონების დამადასტურებელი დოკუმენტი ერთ ადგილზე გაირჭვე, ეს ტეირორია ჩვენ გვჭირდება და უნდა დავანგრიოთო, მითხარით ერთი, ეს სახელმწიფოა? მოვა დრო, აივსება ამ ხალხის მოთმინების ფიალა და მიშას და მის ბიჭებს გაურჭობენ მართლა ერთ ადგილზე საარჩევნოდ ჩამორიგებულ ბიულეტენებს და მერე ნახოს ამ ხელისუფლებამ ხუთიანზე მოხაზვა!"

მიწასთან მოსწორებული ავტოფარეხების ნანგრევებთან შეკრებილი ხალხი, რომლებიც ადგილობრივი მთავრობის ამ მოულოდნელ გადაწყვეტილებას ერთმანეთში განიხილავდა, ჟურნალისტებთან საუბარს გაურბიან:

– არა, შვილო, რაღაც, მათხოვრულ პენსიას მაძლევენ, ისიც არ შემიწყვიტონ. 83 წლის კაცს პატრონი კი არ მყავს? მოვარდნენ, არ დაანგრევთ თქვენით, ჩვენ მოვახტებით ტრაქტორს და მიგილეწავთ ყველაფერსო. რა უნდა გვექნა? ის ორი კაპიკიც არ დავკარგეთ, ჯართში ჩავაბარეთ „გარაჟები." ვზივართ ახლა ამ ნაგავში, ვირთხები დაგვესია და ვთამაშობთ დომინოს. დღეს გლახა ფეხზე ავდექი, სულ „პუსტა-პუსტაში" ვარ...–წუწუნებდა ყველაზე ასაკოვანი „ზასტაველი."

– მარტო დღეს კი არაა, რაც მიშა მევიდა, სულ „პუსტაში" არ ვართ? რამდენი გვაქ სათქმელი, მარა 37 წელზე უარესია ახლა. ქუთაისის საშველი არასდროს არ იყო და არც იქნება-საუბარში ჩაერთო დომინოს პარტნიორი მეზობელი.



**– რატომ? უბანში გავლენიანი „მეზობლები" გეყოლებათ – პარლამენტი, იუსტიცია, მთავრობის სახლი... –**

– აუ, თბილისში თუ იყო აქამდე, მიტო არ ვართ აშენებულები?! დაგვაქციეს და დაგვინგრიეს ყველაფერი. ახლა ამ გამწარებულ გულზე ამ 83 წლის კაცმა ლექსების წერა დეიწყო. მიდი რა, გიორგიჩ, მოყევი ძმობას გაფიცებთ.

– კაი, მარტო შესავალს ვიტყვი მაშინ!

„მევიდა სომეხი, დეგვეცა სხვა მეხი,
მევიდა არაბი – შეთხელდა ღაბაბი,
დაასწრო ინდოელმა – გაგვთელა დიდოელმა,
სადაა, ქართველი?! – დეგეცა მართლა მეხი.
კიდო მე უნდა მკითხო, მიშას „გრეხი?!"

დასრულებას არ აცლიან „გიორგიჩს" ისე ჰყვებიან უბნის „ბირჟავიკები" სიცილში თმათეთრ მოხუცს და თან ჰპირდებიან: „გეიხარე, ზურგიანი ჯორკო ჩემზე იყოს, თუ ამ ლექსისთვის წაგართმევს ბინას მთავრობა!"

**ზაზა ჩუბინიძე.**

**სპეციალურად „საერთო გაზეთისთვის" ქუთაისიდან**

# nugzar juReli: `biZina ivaniSvils rom moqalaqeoba waarTva, es igivea morwmunes jvari Camoaglijo...~



**გვესაუბრება ცნობილი ტელეწამყვანი ნუგზარ ჯულელი.**

**– ბატონო ნუგზარ, დიდი ხანია არ ჩანხართ არც ტელეეკრანებზე და არც რადიოში. რატომ?**

– მოვხუცდი, ალბათ ყავლიც გამივიდა, სხვისი არ ვიცი, მაგრამ ჩვენს საქმიანობაში ახალგაზრდობა უნდა მოვიდეს, მათ ჩაგვანაცვლონ, როდესაც ბერდები, მეხსიერება, მხედველობა და ბევრი ფაქტორი გღალატობს. ჯობია, მსმენელს, მაყურებელს ახსოვდე ისეთი, როგორიც იყავი შენი შემოქმედების პიკის დროს და არა დაბერებული, დაუძლურებული. ამიტომ ვარჩიე წასვლა.

**– ბატონო ნუგზარ, დღეს ქართულ საზოგადოებაში სხვადასხვაგვარი შეხედულებებია ბიძინა ივანიშვილის პრესკონფერენციაზე, საინტერესოა თქვენი, როგორც გამოცდილი და პროფესიონალის აზრი ამ მოვლენაზე.**

– ის ყმაწვილი ჟურნალისტები დარწმუნებული ვარ ვიღაცის სამსახურში არიან, ვიღაც უფროსს ემსახურებიან, მაგრამ, როგორ მოიწონებს ის თავად, მისი შთამომავალი, სხვა საკითხია. ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე გეტყვით – აფერუმ, ბატონი ბიძინა ივანიშვილის ვაჟკაცობას. იგი არ აჰყვა არანაირ პროვოკაციას, თავი ღირსეულად ეჭირა და რაც მთავარია, გაუძლო ამ შემოტევას. ჩემი პირადი აზრით, ბატონი ბიძინა ივანიშვილის დამსახურებაა, რომ კიდევ უფრო მძაფრად არ გამოჩნდა მათი უმსგავსობა.

**– ბატონო ნუგზარ, რომ შევადაროთ დღევანდელი დღე და თქვენი დრო, რა განსხვავებას ხედავთ?**

– არ დაგიმალავთ, ჩვენს დროს დიდ მარწუხებში ვიყავით. მოგვდიოდა ინსტრუქცია, თუნდაც იმაზე, თუ როგორ წაგვეყვანა ფეხბურთის რეპორტაჟი, მაგრამ ისეთი ბუმბერაზი ხალხი, როგორებიც იყვნენ ეროსი მანჯგალაძე, კოტე მახარაძე, რომლებიც მუშაობდნენ სპორტულ კომენტატორებად, შეუძლებელი იყო არ გადმოგდებოდა მათი მადლი, შემართება. მახსოვს ის პერიოდიც, 70-იანი წლების ბოლოს დაგვავალეს რუსულად გამოგვაცხადებინა მატჩების ძირითადი მომენტები – დრო, ანგარიში. რადიოკომიტეტის თავმჯდომარემ სასტიკად ამიკრძალა: ეთერში რუსულად არაფერი თქვაო – არადა, მთელი კავკასიის სამხედრო ოლქი ჩვენ გვისმენდა. ერთს ერთი უნდოდა, მეორეს მეორე. ასე იყო, მაგრამ ჩვენ ჩვენს სახეს არ ვკარგავდით. შედარებას გულისხმობდა თქვენი კითხვა, ახლა ყველანაირ წნეხისგან თავისუფალი არიან ჩვენი ჟურნალისტები. თეორიულად მაინც, მაგრამ რა ხდება? თავად მიკვირს, ჩვენ დროს დიდი ყურადღება ქართულ ენას ექცეოდა. ქართული ენის წამყვანი სპეციალისტები მოდიოდნენ ტელევიზიაში და გვმოძღვრავდნენ. ახლა მსგავსი რამ, რბილად რომ გითხრათ, ცოტაა.

ჩემი თაობის კომენტატორები ჯამლეთ ხუხაშვილი, ტატო ლასხიშვილი, თემურ ჯაფარიძე და ყველა, მიუხედავად იმისა, რომ უკვე წამყვანი რეპორტიორები ვიყავით, მაინც მუდამ ვმეცადინეობდით, ვსწავლობდით. გახსოვთ, თბილისში დადიოდა გამოთქმა, ნუგზარ ჯულელმა თქვა რეპორტაჟში „მოედანზე არიან ქართველი კალათბურთელები: „ბოროდაჩოვი, მილოვიდოვი, კაპუსტინიო". არადა ქვეყნის მაშინდელი პირველი პირი ჯუმბერ პატიაშვილი სტუმრად კალათბურთელთა ბაზაზე იყო და რომ გადახედა შემადგენლობას თქვა, ნუგზარ ჯულელი ასე იტყოდაო. მას მერე მომაწერეს ეს ფრაზაც. რაც შეეხება ბატონ ჯუმბერს, ბევრ თბილ სიტყვას იმსახურებს. ერთხელ, როსტოვიდან მინსკში მივდიოდით საკავშირო ჩემპიონატზე, ბილეთების და გამგზავრების პრობლემა დადგა, რომ არ ჩავსულიყავით, წაგება ეთვლებოდა „დინამოს". ლევან მოსეშვილმა მთხოვა დამერეკა ჯუმბერ პატიაშვილთან. დიდი ხვეწნის შემდეგ გავრისკე და დავურეკე. „არ ინერვიულოთ, ყველაფერი კარგად იქნება"-ო, მითხრა და მართლაც, ერთი საათის შემდეგ როსტოვში ჩამოფრინდა თვითმფინავი, რომელმაც მინსკში გადაიყვანა გუნდი.

**– ბატონო ნუგზარ, მოდით, გულახდილად გვითხარით, როგორ აფასებთ დღევანდელ ვითარებას და განსაკუთრებით ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკურ არენაზე გამოჩენას?**

– არ დაგიმალავთ და ალბათ, გახსოვთ კიდეც, მიხეილ სააკაშვილი რომ მოვიდა ქვეყნის სათავეში, მაშინ მართლაც პირველად ჩამესახა იმედი, რომ გვეშველებოდა. მაშინ, მისი პირველი გამოსვლები იმედით ალმავსებდა. გვახსოვს მისი ერთ-ერთი პირველი გამგზავრება და ვიზიტი რუსეთში, როდესაც მან ხალხთან ერთად იმგზავრა. თავად რუსული პრესაც ამ მოვლენას ფართოდ აშუქებდა, რომ როგორც იქნა, მოვიდა თუნდაც ერთი ადამიანი ქვეყნის სათავეში, რომელიც ხალხთან არისო. მეც ჩამესახა იმედი. რომ მოვიდა ქვეყნის სათავეში კაცი, რომელიც დაიცავს, აალორძინებს ხალხსაც და ქვეყანასაც, თურმე მწარედ შევცდი. რაც ბატონ ბიძინა ივანიშვილს გაუკეთა ამაზრზენია, ადამიანმა, რომელმაც მილიარდნახევარი დახარჯა საკუთარ ქვეყანაში ქველმოქმედების სახით და მოქალაქეობას წაართმევ? ეს იგივეა, მორწმუნეს ჯვარი ჩამოგლიჯო, მღვდელი გაკრიჭო. წაართვეს მოქალაქეობა ამისთანა ადამიანს. ერთს გეტყვით, ღმერთმა ქნას, ამ უკანასკნელმა იმედმა ჩემისთანა ხალხს არ უღალატოს და დარჩეს ნათელ სვეტად საქართველოს ისტორიაში.

**გია ბურდული**

# 2013 we l s xe l isuf l eba pensiebs 90 we l s gadaci l ebu l pensione rebs moumatebs?!



გვესაუბრება სოციალური ეკონომიკის ექსპერტი **ოთარ ხუფენია**.

**— ბატონო ოთარ, ხელისუფლება ხშირად აღნიშნავს, რომ ეკონომიკურ აღმასვლაში ბადალი არ გვყავს. რა ვითარებაა რეალურად, მალე პარლამენტი 2012 წლის ბიუჯეტს დაამტკიცებს, რამდენად ასახულია მასში ეკონომიკური აღმასვლები?**

— ამჟამად დებატები მიმდინარეობს 2012 წლის ბიუჯეტის თაობაზე. ფინანსთა სამინისტროს მიერ ბიუჯეტის პროექტის მეორე ვარიანტი, ისე როგორც პირველი, დაუზუსტებელია. ხელისუფლება აპიარებს თითქოს საქართველოში ეკონომიკური კრიზისი არ არის, თურმე მთელი მსოფლიოს ეკონომიკა ჩამოშლილია, ჩვენი კი იზრდება, რაც სამწუხაროდ რეალობას არ შეესაბამება — ბიუჯეტის პროექტის ხარისხობრივი მაჩვენებელი სხვა რამეზე მეტყველებს. თქვენს ყურადღებას სამ ძირითად პარამეტრზე გავამახვილებ, ესენია: I. საშემოსავლო გადასახადი, რომელიც, პრაქტიკულად ქვეყანაში სამუშაო ადგილების და ხელფასების ზრდას ადასტურებს. მოგახსენებთ რა რეალობაა ჩვენთან — 2011 წელს 2010 წელთან შედარებით საშემოსავლო გადასახადი 292 მილიონი ლარით, ხოლო 2012 წელს იგი 119 მილიონი ლარით გაიზრდება, ანუ დღევანდელთან შედარებით 173 მილიონი ლარით ნაკლები ზრდაა. ამ ციფრებით თუ ვიმსჯელებთ, 2012 წელს მოსალოდნელი არ არის არც სამუშაო ადგილების, არც საშუალო ხელფასის ზრდა და არც დასაქმების საკითხის მოგვარება. II. ქვეყანში ეკონომიკური აქტიურობის ზრდის კუთხით 2012 წელს შემდეგი ვითარებაა — 2011 წელს 2010 წელთან შედარებით დამატებითი ღირებულების გადასახადი 527 მილიონით გაიზარდა, ხოლო 2012 წელს იგი მხოლოდ 250 მილიონი ლარით გაიზრდება, ანუ ზრდა განახევრებულია. III. რაც შეეხება მოგების გადასახადს, ანუ ეკონომიკის ეფექტიანობის ერთ-ერთ ძირითად პარამეტრს, აქაც, 2011 წელს ზრდა იყო 128 მილიონი ლარი, ხოლო 2012 წელს მხოლოდ 117 მილიონი ლარით გაიზრდება. ამ სამივე პარამეტრს თუ შევაჯამებთ, ცხადია, რომ აბსოლუტური მოცულობების ზრდა განახევრებულია. ეს ნიშნავს მხოლოდ და მხოლოდ იმას, რომ ეკონომიკაში მომავალ წელს რაიმე სერიოზული წინსვლა არ გვექნება. აქვე მინდა აღვნიშნო, „ნაც.მოძრაობის“ ზოგიერთი სამხრეებიანი ექსპერტი ამბობს, რომ რადგანაც ნაკლები გადასახადები ამოგვაქვს, ეს ეკონომიკაში რჩებაო. ცალსახაა, რომ მოგებაც და საშემოსავლო გადასახადის ნაწილიც მხოლოდ და მხოლოდ მონოპოლიზებულ ეკონომიკებში რჩება და არა წვრილ და საშუალო ანუ იმ ბიზნესში, რომელიც წესით ყველაზე მნიშვნელოვანი უნდა იყოს ქვეყნის ეკონომიკური მდგრადობისთვის. 2011 წლის აბსოლუტურ ზრდას 2012 წლის მოსალოდნელ ზრდას თუ შევადარებთ მივიღებთ მინუს 608 მილიონ ლარს, რაც ასევე დასტურია იმისა, რომ ეკონომიკის არავითარ აყვავებასთან საქმე არ გვაქვს.

**— რაც შეეხება საპენსიო და სოციალურ უზრუნველყოფას რა ცვლილებებია ამ კუთხით ბიუჯეტში. პრეზიდენტმა 2012 წლის სექტემბრიდან 67 წლის ზემოთ ასაკის პენსიონერებს პენსიის მომატებას დაპირდა. ასახულია ეს ბიჯეტის პროექტში?**

— საპენსიო უზრუნველყოფისა და სოციალური დახმარებების, ანუ „სიღარიბის პროგრამის“ ხარჯები 2012 წლის ბიუჯეტში იზრდება, რაც ჯამში 194 მილიონ ლარს შეადგენს. ეს თითქოს ერთი შეხედვით დიდი ზრდაა, მაგრამ თუ ამ ყველაფერს რეალურად განვიხილავთ, საკმაოდ დასაფიქრებელ ციფრებს მივიღებთ. კერძოდ, როცა ხელისუფლება ამბობს გავზრდით შრომით პენსიას, რომელიც 125 ლარს პლიუს 15 ლარიანი ჯანმრთელობის დაზღვევის პოლისს გაუტოლდებაო, მარტივ ეშმაკობასა და ციფრებით მანიპულაციასთან გვაქვს საქმე. ერთი შეხედვით, 2012 წელს მიმდინარე წელთან შედარებით საპენსიო ხარჯები თითქოს 88 მილიონი ლარით იზრდება, მაგრამ აქედან 3-4 მიმდინარე წელს 10+20 ლარიანი პენსიების მომატების დაფინანსებაზე დაიხარჯება. რეალურად 2012 წლის სექტემბრიდან 67 წელს ზემოთ ასაკის შრომით პენსიონერს მოემატება 15-20 ლარამდე და დაურიგდებათ 15 ლარიანი ე.წ. ჯანმრთელობის დაზღვევის პოლისი. ხელისუფლება მისთვის ჩვეული პიარ-კამპანიის მიღმა მალავს, რომ თუნდაც ასეთი მცირე მომატება არ შეეხება 240 ათასამდე შრომით პენსიონერს, 110 ათასზე მეტ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირს, 30 ათასამდე მარჩენალდაკარგულ პენსიონერს და 2000-ზე მეტ პოლიტ-რეპრესირებულ პირს, ანუ 390 ათასზე მეტი ადამიანი ხელისუფლების „წყალობის“ მიღმა რჩება. ხელისუფლება მოსახლეობას, ასევე უმალავს იმასაც, რომ 120 ათასზე მეტი შრომითი პენსიონერი უკვე ღებულობს 10 ლარიან დანამატს და ისინი მომავალი წლის ბოლო 4 თვეში მიიღებენ 60 ლარიან „წყალობას“, რაც ინფლაციის გათვალისწინებით 45 ლარზე მეტი ვერ იქნება. აქვე უნდა აღინიშნოს კიდევ ერთი — 2012 წელს ჯანმრთელობის დაზღვევის პოლისების „ბითუმად“ შესყიდვის ხარჯები 106 მილიონი ლარით იზრდება. ხელისუფლებამ უკვე დააპიარა, რომ 670 ათასი პენსიონერის და 50 ათასამდე 6 წლამდე ასაკის ბავშვების ჯანმრთელობა დაზღვეული იქნება. ხელისუფლება აქაც ტყუის, კერძოდ, ამ კონტინგენტიდან 220 ათასზე მეტი ადამიანი უკვე დაზღვეულია, ე.წ. „სიღარიბის ზღვრის პროგრამით“. უფრო მეტიც, 2012 წლის ბიჯეტის, ე.წ. პრიორიტეტების დანართში ასეთი აქტების დამადასტურებელი ჩანაწერიც არ არსებობს. სასაცილოა, მაგრამ ფაქტია, ფინანსთა სამინისტრო გვეუბნება — ასეთი შესწორებები მომავალ პროექტში იქნებაო. გამოდის, რომ ხელისუფლების მიერ გაპიარებული საპენსიო პაკეტი სრულად არ არის დაფინანსებული. ყველასთვის კარგადაა ცნობილი იმ ელიტარული კორუფციული ჭაობის შესახებ, რაც სახელმწიფოს მიერ პოლისების შესყიდვასა და დარიგებას უკავშირდება. ცნობილია ისიც, რომ ხელისუფლებას ამ მახინჯ სისტემაში ცვლილება არ შეუტანია, რაც ნიშნავს, რომ მომავალ წელს ეს 106 მილიონი ლარი ელიტარული კორუფციის დამატებითი წყარო გახდება. აქვე მინდა აღვნიშნო, რომ საპენსიო პაკეტის ცნებას ცივილური სამყარო საერთოდ არ იცნობს. ეს არცაა გასაკვირი იმიტომ, რომ საქართველოში პენსიის ცნებასაც, როგორც ეს ხელისუფლებას ესმის, ანალოგი არ გააჩია. ზემოთ მოყვანილი ციფრები ცხადჰყოფს, რომ ეს პაკეტი ფორმალურია. მაგალითად, ხელისუფლება საუბრობს გარკვეულ შეკრებითობაზე, ვთქვათ პენსიას დამატებული პოლისი უდრის საპენსიო პაკეტს. ასეთივე „წარმატებით“ შეგვიძლია შევკრიბოთ შრომითი პენსია, სიღარიბის შემწეობები, ტრანსპორტის, კომუნალური გადასახადების შეღავათები და მათი შეკრებითობით „აღვასრულოთ“ მიშას დანაპირები 100 დოლარიანი ვითომ საპენსიო პაკეტი. რეალურად, ამ ყველაფერს არავითარი კავშირი არ აქვს მოსახლეობის საპენსიო უზრუნველყოფასთან. უფრო მეტიც, ხელისუფლების საპენსიო პაკეტი იმ პაკეტს ჰგავს, რაც ხალხმა მტკვარზე გადებულ შუშის ხიდს უწოდა. „ნაც.მოძრაობის“, ხელისუფლების სოციალური პოლიტიკის შედეგად, მათ ეს პაკეტი ნამდვილად სჭირდებათ. ეს კიდევ არაფერი, საქმე გვაქვს კიდევ უფრო დიდ კურიოზთან — როცა ხელისუფლება გაიძახოდა 670 ათას პენსიონერს პენსია მოემატებაო, აღმოჩნდა, რომ როდესაც პარლამენტი 2012 წლის ბიუჯეტის პროექტის მეორე ვარიანტს იხილავდა, ეს ციფრები გაწერილიც კი არ იყო. ფინანსთა მინისტრმა გვინდაძემ განაცხადა — მესამედ რომ შემოვიტანთ ბიუჯეტის პროექტს, ეს ციფრები იქ იქნება გაწერილიო. სასაცილოა სატირალი რომ არ იყოს. „ნაც.მოძრაობის“ დეპუტატს ვეკითხები — რას იხილავდით, აბა, ბატონებო თქვენ, თუ თანხები ჯერ გაწერილი არ იყო და ეს საკითხი მხოლოდ პრეზიდენტის და პრემიერის ვერბალური დაპირებებით შემოიფარგლებოდა?! ეს არასერიოზული მიდგომაა, ასე არ შეიძლება მოექცე ბიუჯეტს, რომელიც ყველა ქვეყანაში კონკრეტული წლის ძირითადი ეკონომიკური და ფინანსური კანონია. ჩემი აზრით, როცა სამი კაცი ვერბალურ დაპირებებს იძლევა, რაც რეალურ გათვლაზე დაფუძნებული არ არის, ეს ბიუჯეტის შედგენა კი არა, ციფრებით მანიპულირების ჭრა-კერვის სკოლაა, რასაც ბიუჯეტის ფორმირების პროცესთან საერთო არაფერი აქვს.




**— ხელისუფლების მიერ ღატაკ ბენეფიციარებზე ზრუნვამ პოლისების დარიგების კუთხით, დავინახეთ რომ შედეგი ვერ მოიტანა. რატომ უშვებს ხელისუფლება იგივე შეცდომას, რამდენად სწორად დაიხარჯება ამ ფონზე გამოყოფილი 106 მილიონი ლარი?**

— ე.წ. ჯანმრთელობის დაზღვევის პოლისების „ბითუმად“ შესყიდვის ელიტარული კორუფციის შესახებ კონტროლის პალატამ საზოგადოება უკვე გააფრთხილა. თუმცა, ამ ფაქტზე არც სადაზღვევო კომპანიებმა, არც ჯანდაცვის სამინისტრომ, არც თავად კონტროლის პალატამ და არც საზოგადოებამ სათანადო რეაგირება არ მოახდინა. იცით, რომ ამ თემაზე შესაბამისი სტრუქტურებიდან დღემდე არ გაკეთებულა კომენტარი. მაშინ, როცა ამ მექანიზმში, როგორც ზემოთ აღვნიშნე არავითარი ცვლილება არ მომხდარა, მაშინ დამატებით კიდევ რატომ ვყიდულობთ 106 მილიონი ლარის ჯანმრთელობის დაზღვევის პოლისებს? ეს თანხა ხომ არ არის გამიზნული პირდაპირ კორუფციულ ჭაობში ჩასაშვებად და ვისაც ანკესები გააჩნია, მათ მიერ ათეულობით მილიონების უკან ამოსაღებად?! ჩემი აზრით, სწორედ ასე მოხდება.

**— და ბოლოს, ბატონო ოთარ ხელისუფლების გადაწყვეტილება მომავალი წლის სექტემბრიდან მხოლოდ 67 წელს ზემოთ მყოფ პენსიონერებს მოუმატონ პენსია, რამდენად სამართლიანია და რით არის ეს განპირობებული?**

— თუ პოლისების „ბითუმად“ შესყიდვა ფედერალური ხელისუფლების ანუ შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს საქმიანობაა, რატომ ყიდულობს ქალაქის მერია 16 მილიონი ლარის ასეთ პოლისებს? იცის კი ვინმემ, რომ 10-12 კაციანი სტრუქტურა ურუშაძის სამინისტროში რა მეთოდებით, რა ხერხებით შეძლებს 1.400 ათასი პოლისის დარიგების შემდეგ გააკონტროლოს მხარეთა ინტერესების დაბალანსება. სუბსიდირების სააგენტოს ხელმძღვანელმა აღნიშნა 4 ათასი ზარი შემოვიდა ბენეფიციარებისგან ცხელ ხაზზეო. რა გამოდის, რომ 1 მილიონი ბენეფიციარიდან მხოლოდ 4 ათასია უკმაყოფილო? გარწმუნებთ, ამ ბენეფიციართა 90 პროცენტმა დღესაც არ იცის რა ქაღალდი აქვთ სახლში. ე.წ. პოლისის სახით. არაერთხელ მითქვამს, საქართველოში საპენსიო უზრუნველყოფისა და სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფთა პროგრამის სისტემა სხვა არაფერია თუ არა 21-ე საუკუნის სეთურიზმი, ანუ მამა-მარჩენალის კომპლექსის პრაქტიკული რეალიზაცია. შეკითხვაზე — მხოლოდ მომავალი წლის სექტემბრიდან რატომ უმატებთ პენსიონერებს პენსიებსო, და ისიც 67 წელს ზევით, პრემიერს წამოსცდა — ეს ჩვენი ფინანსური შესაძლებლობიდან ოპტიმალური გადაწყვეტილებაო. ვსვამ კითხვას — მომავალ წელს კიდევ უფრო ნაკლები რესურსი რომ ექნებათ, რას იზამენ — 90 წელს გადაცილებულ პენსიონერებს მოუმატებენ მხოლოდ პენსიას?! ამ სეთურიზმის დანგრევის ერთადერთი აპრობირებული, ცივილური გზა სახელმწიფო სოციალური დაზღვევის სისტემის აღდგენაა. დღეს, ვართ ერთადერთი ქვეყანა პოსტ.სოციალისტურ სივრცეში, რომელსაც სავალდებულო სახელმწიფო სოციალური დაზღვევა არ გააჩნია. ეს იმის შედეგია, რომ „ვარდოსნებმა“ ამ 8 წლის მანძილზე შექმნეს შპს „საქართველო“, ანუ შეზღუდული პასუხისმგებლობის სახელმწიფო. შეზღუდული პასუხისმგებლობის სახელმწიფოებს კი ერისა და ქვეყნის წინაშე უპასუხისმგებლო ადამიანები ქმნიან. ამ სახელმწიფოს საკუთარი ხალხის მიმართ პასუხისმგებლობა შეზღუდული აქვს.

**თამარ შველიძე**

## ცაგარეიშვილი 45-დან 60 წლამდე პირების დასაქმებასთან დაკავშირებულ ინიციატივას პოლიტიკურად მოტივირებულს უწოდებს

საპარლამენტო ფრაქციის — „ერთობა სამართლიანობისთვის“ — თავმჯდომარე, პარტია "თავისუფალი დემოკრატების" წევრი გიორგი ცაგარეიშვილი 45-60 წლამდე ასაკის პირების დასაქმებასთან დაკავშირებულ საკანონმდებლო ინიციატივას წინასაარჩევნო გადაწყვეტილებად აფასებს.

მან შესაბამისი განცხადება პარლამენტის დღეს გამართულ პლენარულ სხდომაზე საგადასახადო კოდექსში ცვლილებების პროექტის განხილვისას გააკეთა, რომლის თანახმადაც, თუ 45-დან 60 წლამდე პირები 2011 წლის 1 იანვრიდან 1 ივლისამდე დასაქმდებიან, მათი ხელფასი საშემოსავლო გადასახადით ერთი წლის განმავლობაში არ დაიბეგრება.

ცაგარეიშვილის თქმით, ეს პოლიტიკურად მოტივირებული გადაწყვეტილებაა, რადგან ხელისუფლებას ამ კატეგორიის ადამიანები აქამდე არასოდეს გახსენებია. მეტიც, სააკაშვილი მათ თავის დროზე „ჩარეცხილებსაც“ კი უწოდებდა.

„მაინტერესებს, სად იყო საქართველოს ხელისუფლება 2007-2010 წლებში? მაშინ არ იყო უმუშევრობა? ეს არის პირდაპირ ასაკობრივი დისკრიმინაცია და მისი მიზანი "ნაციონალური მოძრაობის" მიერ ამჯერად დაუსაბუთებელი ცვლილებების დამატებითი ხმების მოპოვების სურვილია", — განაცხადა გიორგი ცაგარეიშვილმა.

მის მოსაზრებას ფინანსთა მინისტრის მოადგილე რუსუდან კემულარია არ დაეთანხმა. მისი თქმით, დისკრიმინაციაზე საუბარი ზედმეტია, რადგან აღნიშნული ინიციატივა შეღავათს ითვალისწინებს.

რაც შეეხება იმას, თუ რატომ არის აღებული დასაქმების ვადად 1 იანვრიდან 1 ივლისამდე არსებული პერიოდი, კემულარიას განმარტებით, შეღავათი მუდმივად ვერ იქნება. წინააღმდეგ შემთხვევაში, მას ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილში სერიოზული კლება მოჰყვება.

„არ შეიძლება, შეღავათი ისეთი იყოს, რომელიც ეკონომიკურად და ფისკალურად უკუშედეგს გამოიღებს", — აღნიშნა რუსუდან კემულარიამ.

„მედიანიუსი“

# biZina ivniSvilis mxardasaWerad samoqalaqo erTobis fronti Seiqmna



**ბიძინა ივანიშვილის მოქალაქეობის აღდგენასთან დაკავშირებით საზოგადოებაში, სოლიდარობის ნიშნად, ხელმოწერების შეგროვება დაიწყო. ამ მიზნით შეიქმნა „სამოქალაქო ერთობის ფრონტი", რომლის წევრებმა სულ რამოდენიმე დღეში ათი ათასობით ხელმოწერა უკვე შეაგროვეს.**

**თემის ირგვლივ „საერთო გაზეთს" „სამოქალაქო ერთობის ფრონტის" წევრი და არასამთავრობო ორგანიზაციის „გადაარჩინე სიცოცხლე" ახალგაზრდული ფრთის ლიდერი მიხეილ მუმლაძე ესაუბრა.**

— „გადაარჩინე სიცოცხლის" ინიციატივით ბიძინა ივანიშვილის მხარდასაჭერად ხელმოწერების შეგროვება დაიწყო. მხარდაჭერა 105-მა არასამთავრობომ უკვე გამოგვიცხადა და ერთობლივი ძალებით ჩამოვაყალიბეთ სამოქალაქო ერთობის ფრონტი.

ვთვლით, რომ სამების საკათედრო ტაძრის აღმშენებელს, უამრავი ისტორიული ძეგლის გადამრჩენელს და მრავალი სასიკეთო საქმის გამკეთებელს საქართველოს მოქალაქეობა აუცილებლად უნდა ჰქონდეს. საინტერესოა, აქამდე სად იყვნენ მიშას კაცები, როცა ივანიშვილი წლების განმავლობაში აფინანსებდა. ახლა გახდა მათთვის და საქართველოსთვის მტერი და რუსეთის აგენტი? აუცილებელია ქართველმა ხალხმა ვისწავლოთ სოლიდარობა, ერთმანეთის მხარში დგომა, წინააღმდეგ შემთხვევაში, საქართველო წინ ვერ წავა.

**— მხოლოდ ხელმოწერების შეგროვებით აპირებთ სოლიდარობას თუ სხვა გეგმებიც გაქვთ?**

— ცნობილია, რომ „ავერსის", „პსპ" და „ვისოლის" ხელმძღვანელობამ „ქართუდან" ანგარიშები ე.წ მიშას ბანკებში გადაიტანეს. ვაპირებთ საზოგადოებას მოვუწოდოთ სოლიდარობის ნიშნად ვისოლის ბენზინგასამართ სადგურებზე არ ჩაასხან საწვავი.

**— როგორ ფიქრობთ, საზოგადოება მხარდაჭერას გამოგიცხადებთ?**

— ხალხის თანადგომის დიდი იმედი გვაქვს. 5 000 ადამიანმა გამოთქვა სურვილი ხელმოწერების შეგროვებაში დაგვეხმაროს, 15 000 ხელმოსაწერი ბლანკი უკვე გატანილია. საზოგადოების ერთად დგომა, სოლიდარობა და თანაგრძნობა ყოველთვის შედეგის მომტანი იქნება, ერთმანეთის ლანძღვა—გინება კი კარგს არაფერს მოუტანს არც საქართველოს და არც ქართველებს.

**— თუ აპირებთ, კონსულტაციებს პოლიტიკური პარტიების ახალგაზრდულ ორგანიზაციებთან?**

— ამის საშუალებას მათ პოლიტიკური კონიუნქტურა არ აძლევთ, ამისთვის აუცილებელია პოლიტიკური პარტიის ლიდერებმა მიიღონ გადაწყვეტილება. მართალია ბიზნესმენი დიდი ხნის განმავლობაში ეხმარებოდა მიშას მთავრობას, მაგრამ მთავარია, ადამიანმა დროულად დაინახოს შეცდომა და გამოასწოროს.

**— ბიძინა ივანიშვილი ქართველებისთვის ქართული ოცნების ახდენას აპირებს, როგორ წარმოგიდგენიათ ქართულ ოცნება, რაზე უნდა გაკეთდეს აქცენტები?**

— ქართული ოცნების ასრულება მხოლოდ იმას არ ითვალისწინებს, რომ ივანიშვილს 6 მილიარდიანი ქონება გააჩნია, მხოლოდ ამ ფორმით ქართველების ოცნებები ვერ ახდება. ქართველი კაცის ოცნება მხოლოდ იმ შემთხვევაში ასრულდება თუ ივანიშვილი შექმნის კონკურენტულ გარემოს, სამართლიან სახელმწიფოს, სამუშაო ადგილებს და ა. შ.

რა თქმა უნდა, იდეალური გარემოცვა არ არსებობს, ვთხოვ ბიძინა ივანიშვილს მოუსმინოს ყველას, თუმცა გადაწყვეტილებები მხოლოდ თავად მიიღოს. რაც მთავარია, მუდმივად ჰქონდეს ხალხთან ურთიერთობა.

**— საზოგადოებში გაჩნდა აზრი, რომ თქვენი აქტივობა მხოლოდ და მხოლოდ ბიზნესმენისგან ფულის მიღების შეაძლებლობას ემსახურება?**

— მსგავსი აზრი თავადაც მოვისმინე, თუმცა ჩვენი ქმედება მთლიანად ენთუზიაზმზეა დაფუძნებული და ივანიშვილისგან დახმარებას არავინ ელოდება. ჩვენ ამ საქმით მხოლოდ და მხოლოდ ივანიშვილის საქმეს არ ვაკეთებთ, უპირველესად, საზოგადოებაში სოლიდარობის, თანადგომის, განცდას ვნერგავთ. საინტერესოა, გაღატაკებულმა ქართველებმა რა რაოდენობის ანაბარი უნდა გახსნას „ქართუში", რომ ბანკი გადარჩინონ? აქ მნიშვნელოვანი სოლიდარობაა.

**— ცნობილია, რომ ნაცმოძრაობის წარმომადგენლები თქვენი სახელით ხელმოწერებს აგროვებენ. როგორ აპირებთ პრობლემის მოგვარებას?**

— თემქაზე მომხდარ ფაქტს გეტყვით: ნაციონალური მოძრაობის წევრმა მთელი სადარბაზოს მოსახლეობას ხელი მოაწერინა და ხელმოწერილი ბლანკი პოლიციაში ჩაიტანა, პოლიციის წარმომადგენლებმა კი თემქის მოსახლეობას სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენეს. ჩვენ, ვისაც ხელს ვაწერინებთ, ვაფრთხილებთ, რომ სხვაგანაც არ ჰქონდეთ ხელმოწერა რადგან მათი ხმა ბათილად არ ჩაითვალოს. თუ ვინმე რაიმე საეჭვოს შეამჩნევს, შეუძლია მოგვმართოს „ჯაზუში" და ამ ინფორმაციას აუცილებლად გადავამოწმებთ.

**მირანდა ნაბახტეველი**

იხილეთ „საერთო გაზეთი"
ინტერნეტში
www.saertogazeti.net
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

# sad mivyavarT matareblis liandags?

**ექიმების დასკვნით, სადგურ „სამტრედია-2"-ის ტერიტორიაზე აღინიშნება რადიაციული დაბინძურება. მედიკოსების დასკვნით ამ ადგილებში არის მაგნიტური ველი, აქედან მიმდინარეობს დამწვრობაც, რისი მიზეზიცაა დამწვრობები და სხვადასხვა სიმსივნური დაავადებები. რკინიგზის ხელმძღვანელობა საქმის კურსშია, მაგრამ არ რეაგირებს, — აცხადებს სამტრედიის რკინიგზის ყოფილი თანამშრომელი ჯუმბერ პერტენავა.**

## დათხოვნები მიზეზებისა და გაფრთხილებების გარეშე

სამტრედიის რკინიგზის სათადარიგო მორიგე მერაბ თარგამაძე საშტატო ერთეულის გაუქმების მოტივით გაათავისუფლეს სამსახურიდან. სინამდვილეში 4 საშტატო ერთეული უცვლელი დარჩა. მის ადგილზე სხვა მიიღეს. 2 მცირეწლოვანი შვილის მამა უმუშევარი დატოვეს. მიზეზი შემდგომ გაირკვა დათხოვნილი რკინიგზელი პროფკავშირების გამგეობის წევრი იყო, მან არაერთგზის დააყენა მწვავე მოთხოვნები ადმინისტრაციის წინაშე, კოლეგების სოციალური პირობების გაუმჯობესების თაობაზე. მოუწესრიგებელია ტუალეტები, მორიგე მემანქანეების მოსაცდელი ოთახები. გადასახალისებელია სამუშაო ტექნიკა, პრობლემების სააშკარაოზე გამოტანის გამო სიმართლის მთქმელი სამსახურიდან მოხსნეს. ყველას, ვინც კი რაიმე პრეტენზიას გამოთქვამს, კარებისკენ უთითებენ, — გვითხრეს რკინიგზის პროფკავშირებში.



## მუშები ხელსაწყოებს საკუთარი ფულით ყიდულობენ

პროფესიულ კავშირებში ისიც თქვეს, რომ სადგურების მორიგეების აბსოლუტურ უმეტესობას არა აქვს სპეცტანსაცმელი, იგრძნობა ინდივიდუალური დაცვის საშუალებების ნაკლებობა. ჩასაცმელის, ისევე როგორც, სამუშაო იარაღების შეძენას თანამშრომლებს ავალებენ. მძიმე მდგომარეობაა მოძრავი შემადგენლობების გამართულობის კუთხითაც. ეს კი რისკის ქვეშ აყენებს, როგორც ხელმძღვანელი ასევე მომსახურე პერსონალის უშიშროებას. ვინც დასახელებული საკითხები წინ წამოწიონ, ყველა გაანთავისუფლეს, აცხადებს რკინიგზის პროფკავშირების გამგეობის წევრი კახა კახაძე. განთავისუფლებულთათვის კადრების სამმართველოში ერთი პასუხი აქვთ. — შრომის კოდექსის 37-ე მუხლი. რომლის მიხედვითაც დამქირავებელს ყოველგვარი წინასწარი გაფრთხილების გარეშე აქვს უფლება გაწყვიტოს კონტრაქტი დაქირავებულთან. (სხვათაშორის კანონი ამ მონურ ცვლილებას „ნაცუმრავლობასთან" ერთად პარლამენტში მყოფმა ე.წ. ოპოზიციურმა პარტიებმაც დაუჭირეს მხარი). მასმედიასთან საუბარში რკინიგზის ადმინისტრაცია აცხადებს, რომ შემცირებები რკინიგზაზე ტვირთბრუნვების კლებითაა გამოწვეული, ამის გამო მათ ამგვარი თანამშრომელი აღარ სჭირდებათ.

პროფკავშირების ლიდერებთან საუბარში ისიც გაირკვა, რომ რკინიგზაში მოქმედებს უვადო ე.წ. მუდმივი ხელშეკრულების წესი, რაც კანონის უხეში დარღვევაა. პროფესიონალთა განმარტებით, ამ კონტრაქტზე ხელის მოწერა მხოლოდ ადმინისტრაციის რჩეულთა ხვედრია. პროფესიული კავშირის აქტივისტები არც იმას მალავენ, რომ რკინიგზა მდიდარი ორგანიზაციაა. აქვს მოგება, რომელიც ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების ნაცვლად „გერბუშკის" ჯიბეებში ილექება. ფანტასტიკური პრემიები იწერება ხელმძღვანელთათვის. თანხების ურთიერთგაცემაზე ერთი და იგივე პირები აწერენ ხელს. მარტო შარშან პრემიალურების სახით 250 ათას ლარზე მეტი გაიცა. წახალისებულთა შორის თვალის ასახვევად 1-2 მუშას თუ გამოურევენ და რაღაც 150-200 ლარს თუ გაიმეტებენ. მაშინ, როდესაც თვითონ 4-5 ათასიანი ხელფასის ტოლ თანხებს იწერენ გრაფაშიც, სხვადასხვა დანახარჯები, გასავალი 10 ათასობით ლარია. ზემდგომები ყველაფერს ასაიდუმლოებენ. ხმის ამომღებს კი... — აცხადებენ „საქართველოს რკინიგზის" პროფკავშირებში.

ის, რომ რკინიგზის ხელმძღვანელობის გუნდი მთლად სინქრონულად ვერ მუშაობს, მუშა-მოსამსახურეთა განთავისუფლების შესახებ გაკეთებული განცხადებებიდანაც სჩანს. თუ ადმინისტრაცია ამბობს, რომ ხალხის სამსახურიდან გაშვების ძირითადი მიზეზი ტვირთბრუნვის შემცირებააო, პრესსამსახურში მიაჩნიათ, რომ კომპანია წარმატებულად ვითარდება და სისტემატიურად ახდენს სტრუქტურულ ოპტიმიზაციას ნებისმიერ დონეზე, რათა სტრუქტურა უფრო მოქნილი გახდეს. ეს კი გულისხმობს სამუშაო ადგილების შემცირებას, მაგრამ, სამაგიეროდ, იქმნება ახალი სამუშაო ადგილები, კონკურენციის წესით ხდება ვაკანსიების შევსება. მომავალ თანამშრომელთა შერჩევა, მხოლოდ ყოფილ თუ მოქმედ კრინიგზელთა შორის ხდება. ამჟამად, აცხადებენ რკინიგზის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურში, კომპანია 2,8 მლდ ლარის ინვესტიციებს ახორციელებს. დამატებით დასაქმდება 6 ათასამდე ადამიანი.

## ვაგონი მიჰქრის

რკინიგზის ხელმძღვანელობა ძირითადად ტვირთების გადაზიდვაზეა ორიენტირებული. ნაკლებად ადარდებთ შიდა სამგზავრო გადაზიდვები. ისინი ხომ ტვირთებთან შედარებით ნაკლებად მომგებიანია. ტრანსპორტელები ქვეყნის უმაღლეს ხელმძღვანელობასაც ატყუებენ, როდესაც უპატაკებენ მათ, რომ მგზავრთა გადაყვანის რაოდენობამ შემადგენლობების 100 პროცენტს მიაღწია, ხდება ასეთი რამ, გამწევს (ელმავალს, თმობავალს) ჩააბამენ ზუგდიდის, ფოთის, სენაკის, ოზურგეთის ვაგონებს (1-2 შესაძოა 3-იც). სამტრედიიდან ხდება შემადგენლობების ქალაქების მიმართულებით ჩამოხსნა, ამით რკინიგზა რამოდენიმე კურდღელს კლავს, ზოგავს ელექტროენერგიას, საწვავ-საპოხს, ამცირებენ მუშახელსა და მომსახურე პერსოალს, ხელისუფლებას კი უპატაკებენ, რომ შემადგენლობები 100 პროცენტითაა დატვირთული — ამბობს თბილისის რკინიგზის ყოფილი მოლარე ელენე მსხილაძე და იქვე დასძენს: რომ იცოდეთ, რა ამბავია ვაგზლის სალაროებთან. ბილეთების შეძენა შეუძლებელია გზად გამავალ სადგურებში (გორი, ხაშური და ა.შ.) ბილეთის კითხვაც არ ღირს. ტრანსპორტის მამებმა მოქალაქეებისათვის სერვისის გაუმჯობესების მაგივრად ყველაფერი ყირაზე დააყენეს, მათ თავიანთი უაზრო გადაწყვეტილებით სარკინიგზო ქსელს მოსწყვიტეს სამხრეთ საქართველო, გააუქმეს რა თბილისი-ვალეს რეისი. მოწყვეტილნი აღმოჩნდნენ: ვალე, ახალციხე, ახალქალაქი, ადიგენი, ნინოწმინდა. დაინიშნა შემოკლებული რეისი თბილისი-ბორჯომი, 6 ვაგონის შემადგენლობით. საგარეუბნო მატარებელში სრული ქაოსია, სალაროებში ბილეთები არ იყიდება. მგზავრობის საფასურს რკინიგზელები დაცვის თანამშრომელთა თანხლებით ხელზე კრეფენ. მგზავრობის საფასურის ამგვარი გადახდა ბევრმა მათგანმა არალეგალური შემოსავლის წყაროდ გაიხადა. ამავე მიზანს ემსახურება საგარეუბნო მატარებლით ტვირთის გადატანა (სხვადასხვა პროდუქტი, ხილი). ფასები შეთანხმებითაა. რკინიგზელებსა და შსს-ს დაცვის სამსახურს ფულს უხდიან ხელზე მოვაჭრეებიც (ქადა, ხაჭაპური, მზესუმზირა, და ა.შ.).

## პროფკავშირების დამხმარე არავინაა

ხელისუფლების უსახური დინამატად ქცეულ საქართველოს გაერთიანებულ პროფკავშირებს და მის თავმჯდომარე პეტრიაშვილს არ აინტერესებთ თავიანთი დარგობრივი წევრების ბედი (პედაგოგები, მედიკოსები და ა.შ.) ამის ფონზე მისასალმებელია რკინიგზის პროფესიული კავშირის ბრძოლა თავისი კოლეგების ინტერესებისა და უფლებების დაცვის კუთხით. მისი თავმჯდომარე ჰამლეტ ლომიძე დაუფარავად საუბრობს პრობლემებზე. იგი აცხადებს, რომ გაუმართლებელია დარგის მუშაკთა კანონის გვერდის ავლით განთავისუფლება და თხოვნათა შესახებ პროფკავშირს საქმის კურსში არ აყენებენ. დარგში არსებულ ყველა პრობლემებზე მოხსენებითი ბარათები მისწერეს ადმინისტრაციას, მაგრამ მათგან რეაქცია არ არის. პასუხის გაცემაც კი არ იკადრეს. არადა, მათ შორის ხელშეკრულებაა გაფორმებული. რკინიგზის ხელმძღვანელობა არ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებას. გასაგებია, — ამბობს ლომიძე, რომ ბევრი საკითხის მოგვარებას თანხები სჭირდება, მაგრამ იქვე დასძენს, შემოსავალი დიდია, გასავალიც საკმაოა. მაგრამ სად მიდის ფულები, უცნობია. საერთო თანხის მიმოქცევის შესახებ ინფორმაცია ყველასათვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს. იგნორირებულია გამჭირვალობის პრინციპი...

ამ საქმეში ლომიძეს, ცხადია, ვერ ექნება „ვარდოსნების" ხელდასმული პეტრიაშვილის იმედი. თუმცა არც თვითმარქვია ოპოზიციური პარტიები იკლავენ დიდად თავს ვითარებაში გასარკვევად.

**ზაზა ბილიხოძე**

# facebook

# xa l xis azriT

რაც უფრო დიდხანს გაგრძელდება ივანიშვილისთვის მოქალაქეობის აღდგენასთან დაკავშირებული გაუგებრობა, სააკაშვილის ხელისუფლება, სავარაუდოდ, სულ უფრო დაემსგავსება დადან კარამბოლოს კუსტურიცას ცნობილი ფილმიდან, რომელიც ზემოთაღწერილ ორმოში ჩავარდა. ილია II-მ სააკაშვილს შექმნილი მდგომარეობიდან პრაქტიკულად ერთადერთი შესაძლებელი გამოსავალი შესთავაზა, რომელიც შედარებით უმტკივნეულო და ნაკლებად სამარცხვინო იქნება. საინტერესოა, შეისმენს რეჟიმი მის მოწოდებას თუ ისევ ფართხალს განაგრძობს?

რა ზრდილობიანი პრეზიდენტი გვყავს?! როცა ბავშვია ოთახში, როგორც კი დავინახავ, ტელევიზორს ვთიშავ, არ მინდა მისი მანერები გადაიღოს, მისი ლექსიკით მეტყველებდეს ან ცხვირს ხელით იხოცავდეს...

სირცხვილი ის კი არ არის, შენგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო რომ აღმოჩნდი სოციალურად დაუცველ მდგომარეობაში, სირცხვილი ის არის, რომ არ აპროტესტებ ამას და საკუთარ და ანალოგიურ მდგომარეობაში აღმოჩენილი თანამოქალაქის უფლებებსა და ადამიანურ ღირსებას არ იცავ.

ერთი ამათ დამიხედეთ,
ნეო-პოლიტ-ფანტომასებს,
აგვალოლდნენ ტილებივით,
მერე - თავზეც გადმოგვაფსეს,
სხვა სიკეთის ვერშემძლენი
უმატებენ მარტო ფასებს
და ფუტურო იმედებით
აბრიყვებენ ფართო მასებს.
ჰოდა ჟამი მოახლოვდა
ტაკოგასატოკებიო,
შლოპანცების ქვეშ გავფინოთ
აკო-პაკო-გოკებიო!!!

რა ძუძუ აწოვა ასეთი ედიკამ-ამ ბოვშებს...ან (ნაღდად) ძუძუ აწოვა კი ბებერმა მელამ?!

იქნებ თქვენთვის მისაღები და მოსაწონია სააკაშვილის პრეზიდენტობა, მაგრამ ყველაფერს აქვს დასაწყისი და დასასრული. ასე რომ, განახლების დრო მოდის, სააკაშვილისთვის საქართველოს პრეზიდენტობა სამარადჟამოდ არავის უჩუქებია. არ იქნება ბიძინა? იქნება სხვა. შეეგუეთ ცვლილებებს.

ვწუხვარ, თქვენი საცოდაობით აღარა ვარ, რა გიყოთ, გემი იძირება და გაიქეცით ჩაილურის წყლის დასალევად.... სანამ დამსგავსებიხართ დუჟმორეულ კაპიტანს,ისე მუცლით მხოხავ ე.წ. მთავარსარდალს თვითმფრინავის ხმაზეც კი, სჯობს ჩაძირული გემის კაპიტნობა...''იტო ხლებ''...ახალგაზრდები ხართ და მომავალს ნუ ინგრევთ მაგ ზიზილ-პიპილო ილუზიებით,გონს მოეგეთ, რომ არ დაგიდგეთ დრო ძალიან შეგრცხვეთ ამ უსინდისო საქციელებით, გარწმუნებთ, არაფერი არაფრად არ ღირს ქვეყნის და ხალხის სიყვარულის ფასად!

30 ნოემბერს, ოთხშაბათს, სამების ტაძრის ახალგაზრდულ ცენტრში გაიმართება შეხვედრა გალაკტიონ ტაბიძის პრემიის ლაურეატთან პოეტ ვახტანგ ხარჩილავასთან.

დასაწყისი 19.00 საათზე.

დასწრება თავისუფალია.

საქართველოს მწერალთა კავშირი

# kaxa benduqiZe genmodificirebuli produqciis bizness l obirebs?

***კახა ბენდუქიძის უსაზღვრო მადის შესახებ ყველას კარგად მოეხსენება. მას ახალი ბიზნეს-ინტერესი გასჩენია, რომლის შესახებაც „საერთო გაზეთს" არასამთავრობოთა კოალიცია „ახალგაზრდები სამართლიანი ცვლილებებისთვის" წარმომადგენელი გიორგი ფარესიშვილი ესაუბრა.***

**გიორგი ფარესიშვილი:** „კახა ბენდუქიძეს იმდენი ბიზნესი აქვს საქართველოში, რომ მათი ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს. მისი ეკონომიკის მინისტრობის პერიოდიდან დაიწყო საქართველოს ბუნებრივი რესურსების და მთლიანად ეკონომიკის გაჩანაგება. სასაცილოა ამ ხელისუფლების მხრიდან ბიძინა ივანიშვილის რუსეთთან ურთიერთობაზე საუბარი, როდესაც რუსეთის პირდაპირი აგენტი ბენდუქიძე მთავრობაში უზით.

ახლა კი იმის შესახებ ვისაუბროთ რა ახალ ბიზნესს იწყებს ბატონი ბენდუქიძე, თუმცა უფრო უპრიანი იქნებოდა ის გამოგვეძიებინა, რა ბიზნესებს ფლობს იგი უკვე იმ სფეროში, რასაც გენომოდიფიცირებული პროდუქტები



ჰქვია. არსებობს ე.წ. კარტახენას ოქმი, რომელიც მექსიკაშია მიღებული და სწორედ გენომოდიფიცირებული პროდუქციის წინააღმდეგაა მიმართული. ამ ოქმზე თითქმის ყველა ევროპულ ქვეყანას, მათ შორის საქართველოსაც აქვს ხელი მოწერილი, მაგრამ უბედურებაა ისაა, რომ მარტო ხელის მოწერა არ კმარა. თუ შესაბამისი კანონიც არ იქნა მიღებული, ეს ოქმი არ იმოქმედებს.

**— რას ითვალისწინებს ხსენებული ოქმი?**

— როდესაც ქვეყანაში შემოდის გენომოდიფიცირებული პროდუქცია, ის აუცილებლად მარკირებული უნდა იყოს, ანუ მომხმარებელმა უნდა იცოდეს, რას ყიდულობს. ამგვარი საკვები სპობს ადამიანის ჯანმრთელობას, ხოლო თესლი აჩანაგებს სოფლის მეურნეობას. არსებობს ძალზე სერიოზული გარემოს დაცვითი საერთაშორისო ორგანიზაცია „ფოე ევროპა", რომელმაც დაახლოებით ორი თვის წინ მოგვწერა, რომ ინგლისში არსებობს ძალზე დიდი კომპანია „აქვა ბაუნტი", რომელიც გენომოდიფიცირებულ ორაგულს აწარმოებს. კახა ბენდუქიძე მოლაპარაკებებს აწარმოებს ამ კომპანიასთან და თითქმის გადაწყვეტილია, რომ მის დიდ წილს ყიდულობს. როგორ ფიქრობთ ბენუქიძე ამ პროდუქციის ბაზრად საქართველოს არ გამოიყენებს? ვანო მერაბიშვილი ხელკეტებით ასახიჩრებს და ხოცავს ხალხს, სააკაშვილი და მისი მთავრობა აშიმშილებს, ბენდუქიძე კი გენომოდიფიცირებული პროდუქციით მოწამლავს და სიცოცხლეს შეუმოკლებს.

ერთ ფაქტს გეტყვით, რუსეთში ძალზე საინტერესო კვლევები ჩატარდა. ვირთაგვებს გენომოდიფიცირებული სოიო აჭამეს. ამ ვირთაგვების ნაწილი მალევე დაიხოცა. გადარჩენილმა ნაწილმა შობადობა მოასწრო, მაგრამ მათი ნაშიერების ნაწილი დაიხოცა, გადარჩენილები კი სტერილურები დარჩნენ, ანუ გამრავლების უნარი არ ჰქონდათ. ტყუილად კი არ ამბობენ ევროპელი მეცნიერების თითქმის 80%, რომ გენომოდიფიცირებული პროდუქტები ყოვლად საზიანოა ადამიანის ჯანმრთელობისთვის და გააფრთხილეთ მაინც ხალხი რას აჭმევთო. პირველად ხომ ცხოველებზე ტარდება ცდები და ამ კვლევებმა ცხადყო, რომ ამ პროდუქციის მიწოდებით, შთამომავლობასაც დავკარგავთ. აი, ამ ბიზნესით ცდილობს ბენდუქიძე დამატებით ჯიბის გასქელებას.

დიდი ეჭვი მაქვს, რომ ბენდუქიძე მანამდეც იყო დაკავებული ამ ბიზნესით, რადგან წლებია პარლამენტში იბლოკება კარტახენას ოქმის შესაბამისი კანონის მიღება. თავიდან „მწვანეთა მოძრაობამ" შეიტანა ეს კანონპროექტი. შემდეგ თუ არ ვცდები ქრისტიან-დემოკრატები მუშაობდნენ ამ საკითხზე. ბოლოს ნაციონალი დეპუტატი გიორგი გოგუაძე მუშაობდა და მისი კანონპროექტიც კი დაბლოკეს. ამიტომაც ვფიქრობ, რომ ბენუქიძე იყო და არის ერთ-ერთი იმათთაგანი ვინც მფარველობს გენომოდიფიცირებული საკვების და სათესლე პროდუქტის იმპორტს საქართველოში. მას აქვს უდიდესი გავლენა საქართველოს ეკონომიკაზე, რომლისგანაც მხოლოდ სახელია დარჩენილი.

ეს სათესლე მასალა კიდევ ცალკე უბედურებაა. თუ სადმე დაითესა, მეზობელ ნაკვეთებზეც იმტვერება ნათესები და იქ მოყვანილი პროდუქტიც გენომოდიფიცირებული ხდება.

**— ხელისუფლების მიერ ფართოდ რეკლამირებულ ჰიბრიდულისიმინდის პროგრამა როგორ ჩაფლავდა, ყველამ კარგად ვნახეთ. ახლა გენომოდიფიცირებული თესლების შემოტანას გეგმავენ?**

— გლეხებისთვის ძალით შესაღებული სიმინდის თესლი მართლაც ჰიბრიდული იყო თუ გენომოდიფიცირებული, ეს კიდევ საკითხავია და გეტყვით რატომაც. ეს ერთჯერადი სათესლე მასალა (რომელიც ვითომდა დაურიგდა გლეხებს, სინამდვილეში კი ერთი კილო 10 ლარი ღირდა) არის კომპანია „პიონერის" პროდუქცია. ეს კომპანია კი იმ უდიდესი კორპორაციის სახელად „მონსანტოს" ფილიალია, რომელიც გენური ინჟინერიით ახდენს პროდუქციის დამუშავებას და გამოყვანას. აქედან გამომდინარე დიდი ალბათობა



არსებობს, რომ ეს თესლი ჰიბრიდული კი არა გენომოდიფიცირებული იყო. საქართველოს ხელისუფლებამ ამ საეჭვო მასალის შემოტანითაც დიდი ფული იშოვა და ახლა ცდილობენ შთამომავლობის ბიზნესად გადააქციონ. თუ სიმინდის ქართული ჯიშები დაკნინდა და გაჩანაგდა, მოგეხსენებათ ხალხს როგორ აიძულებდნენ ჰიბრიდული სიმინდის თესლის შესყიდვას, გლეხობა მათზე დამოკიდებული რჩება, რადგან მათი მოწეული სიმინდი სათესლედ არ გამოდგება, ყოველ წელს ხელახლა უნდა იყიდონ. ჩასული ვიყავი სამეგრელოსა და აჭარაში, სადაც ვერ ვნახე ადამიანი, გარდა გამგეობების თანამშრომლებისა, რომელიც იტყოდა, რომ ჰიბრიდულ სიმინდს კარგი მოსავალი ჰქონდა. კარგი მოსავალი იმ შემთხვევაში მოდის, თუ ინსტრუქციას სრულად დაიცავენ, მაგრამ ამას უამრავი დამატებითი ხარჯი სჭირდება.

უარესს გეტყვით, მომავალი სეზონისთვის ხელისუფლება გენომოდიფიცირებული სოიოს თესლის შემოტანას აპირებს და მასაც ალბათ ისევ მოტყუებითა და იძულებით შეასყიდიან გლეხობას. ამ სოიომ კი რაც დამართა ვირთაგვებს, უკვე გითხარით. ალბათ შეეცდებიან ესეც ჰიბრიდულ თესლად შეატყუონ მოსახლეობას. ამიტომაც ვაფრთხილებ მათ, რომ ეს ნამდვილად გენომოდიფიცირებული იქნება და ნუ დაუჯერებენ. სოფლის მეურნეობის სრული დაქცევის ხარჯზე ესენი საშვილიშვილო საოჯახო ბიზნესს იწყობენ. ვგულისხმობ სააკაშვილს, გილაურს და იმ რამდენიმე ადამიანს, რომელთა ინიციატივითაც ხდება ეს ყველაფერი შემოდის.

მე ამ თემაზე მუშაობას აუცილებლად გავაგრძელებ, რადგან არსებობს ძალზე დიდი ეჭვები, რომ საქართველოშიც არსებობს ლაბორატორიები, სადაც გენური ინჟინერიით იქმნება პროდუქცია. ისიც გამოსაძიებელია აქამდე რა ბიზნესები ჰქონდა გენომოდიფიცირებული პროდუქციის კუთხით ბენდუქიძეს (არ არის გამორიცხული, რომ გენმოდიფიცირებული ორაგული მანამდეც შემოდიოდა, რადგან გაყინულ და ცელოფნის პარკებში დაფასოებულ ორაგულს, რომელიც თბილისში იყიდება უსიამოვნო გემო აქვს და გულძმარვასაც იწვევს – მ.ს.), მართლაც არსებობს თუ არა ეს ლაბორატორიები და ვინ მფარველობს მათ.

**— ეს ეჭვები საიდან გაჩნდა?**

— ამჟამად თავს შევიკავებ იმ რამდენიმე მეცნიერის დასახელებისაგან, რომლებიც გენური ინჟინერიით მიღებული პროდუქციის მომხრეა. ისინი ყველა ილიას უნივერსიტეტში მუშაობენ. როგორც გითხარით ევროპელი და ქართველი მეცნიერების უდიდესი ნაწილი გენომოდიფიცირებული პროდუქციის წინააღმდეგია, რადგან ყველანაირი ცდებით და გამოკვლევებით დადგინდა, რომ ეს ძალზე ცუდად მოქმედებს ადამიანების ჯანმრთელობაზე და სოფლის მეურნეობაზე. გიგი თევზაძის ხელქვეითი მეცნიერებს კი, რომლებიც საკუთარ თავს ლიბერალებს უწოდებენ ამ პროდუქციის საწინააღმდეგო არაფერი აქვთ. ამ ე.წ. ლიბერალების ჯგუფის სულის ჩამდგმელები კახა ბენდუქიძე, გიგი თევზაძე, ლევან რამიშვილი და თეა თუთბერიძე არიან. მე მათ ლიბერალებს ვერაფრით დავარქმევდი. ლიბერალობა სულ სხვა რაღაცას ნიშნავს. ესენი ლიბერალები კი არა, სრულიად გადაგვარებული ხალხია. ამ „მეფის კარზე" გავლენიანი ხალხის ჯაჭვის რგოლები არიან ხსენებული მეცნიერების მცირე ჯგუფიც, ამიტომაც არ გამოვრიცხავ, რომ ასეთი ლაბორატორიები საქართველოში მართლაც არსებობდეს და მუშაობდეს.

**მანანა სუხიაშვილი**

ბანკი ქართუ
CARTU BANK

**სათავო ოფისი**
ჭავჭავაძის გამზ. №39ა
0162, თბილისი
ტელ.: (+995 32) 292 55 92/91/90
(+995 95) 92 55 92
ფაქსი: (+995 32) 291 22 79
ელ.ფოსტა: info@cartubank.ge

**ვაკის სერვისცენტრი**
ი. აბაშიძის ქ. №24
0179, თბილისი
ტელ.: (+995 32) 225 06 14/15
ფაქსი: (+995 32) 225 06 15
ელ.ფოსტა: vake@cartubank.ge

**საბურთალოს სერვისცენტრი**
პეკინის ქ. №14ბ
0171, თბილისი
ტელ.: (+995 32) 292 55 92
ფაქსი: (+995 32) 292 55 93
ელ.ფოსტა: saburtalo@cartubank.ge

**მთაწმინდის ფილიალი**
ვეკუას ქ. №1, 0105, თბილისი
ტელ.: (+995 32) 292 55 92/91/90
ფაქსი: (+995 32) 292 19 38
ელ.ფოსტა:
mtatsminda@cartubank.ge

**ისნის სერვისცენტრი**
ქეთევან დედოფლის ქ. №50
0198, თბილისი
ტელ.: (+995 32) 292 55 92
ფაქსი: (+ 995 32) 224 11 34
ელ.ფოსტა: lilo@cartubank.ge

**ქუთაისის ფილიალი**
ფალიაშვილის ქ. №4
4600, ქუთაისი
ტელ.: (+995 431) 25 65 65
ფაქსი: (+995 431) 25 65 60
ელ.ფოსტა: kutaisi@cartubank.ge

**ბათუმის ფილიალი**
გრიბოედოვის ქ. №2
6000, ბათუმი
ტელ.: (+995 422) 27 59 00
ფაქსი: (+995 422) 27 65 04
ელ.ფოსტა: batumi@cartubank.ge

**გორის სერვისცენტრი**
სტალინის გამზ. №10/14
1400, გორი
ტელ.: (995 470) 27 76 71
ფაქსი: (995 470) 27 76 71
ელ.ფოსტა: gori@cartubank.ge

**თელავის სერვისცენტრი**
ჭავჭავაძის მოედანი
0022, თელავი
ტელ.: (995 450) 27 09 00
ფაქსი: (995 450) 27 09 01
ელ.ფოსტა: telavi@cartubank.ge





## გამოვიდა ჟურნალ „ცისკრის“ მე-10 ნომერი




„ასი ლექსი, რომელიც ზეპირად უნდა იცოდეს ქართველმა“ — ამ რუბრიკით გარეკანის მე-2 გვერდზე მოთავსებულია არჩილის ლექსი „ასე სჭირს საქართველოსას, დიდებულთ განა მცირეთა“...

რუბრიკით „უჯრაში ჩაკეტილი ლექსები“ იბეჭდება რაჟდენ გვეტაძის ლექსი „მარო მაყაშვილს“.

„პოეტის თორმეტი რჩეული ლექსი“ — ამ რუბრიკაში წაიკითხავთ თემურ ჩალაბაშვილისა და მარიამ წიკლაურის ლექსებს „ახალი ლექსების“ რუბრიკით გამოქვეყნებულია ელგუჯა მარღიას და გენრი დოლიძის ლექსები.

„გახსოვდეს აფხაზეთი“ — ამ რუბრიკაში იბეჭდება ირმა მებურიშვილის ლექსები.

რუბრიკაში „ინტერვიუ“ გაეცნობით საუბარს სტატისტიკის დეპარტამენტის თავმჯდომარესთან ირაკლი ღვალაძესთან —„ავტორებმა უნდა გააცნობიერონ საკუთარი უფლებები“.

„ლიტერატურული მესხეთის“ რუბრიკაში წაიკითხავთ ავთანდილ ბერიძის, ვახტანგ ინაურის, მერაბ ბერიძის, ალიოზ ოკოშვილის, ბექა ოთანაძის, კობა მოდებაძის, შალვა კელოშვილის, თამარ ლომიძის, მარიტა ჯიქიას ლექსებს და წერილებს, აგრეთვე ახალციხის უნივერსიტეტის სტუდენტების მაია ბლიაძის, ნინო ჯიქურაშვილის, ნინო გვირჯიშვილის და ნინო კაჭკაჭიშვილის ლექსებს.

„თეატრი“, „კრიტიკა“ — ამ რუბრიკით წარმოდგენილია გოგი დოლიძის წერილს „გლახა ჭრიაშვილის არღანი ანუ...“ „პროზა“ — ამ რუბრიკაში მოთავსებულია მიხეილ ანთაძის მოთხრობა „უჯრაში ჩაკეტილი რომანი“ — ამ რუბრიკით გრძელდება ავთანდილ კვასხვაძის რომანი „სიკვდილ-სიცოცხლის როკვა“.

„მემუარების“ რუბრიკაში გრძელდება ჩეკას პირველი თავმჯდომარის კოტე ცინცაძის მოგონებები.

„ასი სამარცხვინო ლექსის“ რუბრიკით წაიკითხავთ გიორგი მაისურაძის ლექსს „დამკვრელის სიტყვა“, რომელიც ჟურნალ „პროლეტარულ მწერლობაში“ გამოქვეყნდა 1931 წელს.